სტუდენტური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

# ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი

- ისტორია
- კულტურა და ცივილიზაცია
- ლიტერატურა
- რელიგია
- პოლიტიკა

აგვისტო, 2020

# სარჩევი

## ისტორია

მიხეილ მარკელია. ფინიკიური ქალაქ- სახელმწიფოები.....6

მათე ქარდავა. ატილას ლაშქრობა იტალიაში და შეხვედრა რომის პაპ ლეო I დიდთან.9

გიორგი ჭიღლაძე. ძინისა და სონგის დინასტიების დაპყრობა მონღოლების მიერ.....12

გიორგი ახალკაციშვილი. „თემურიანობა საქართველოში“. ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის ბრძოლა თემურ ლენგთან.....19

თამთა მახათაძე. იანიჩარები.....23

## რელიგია

კონსტანტინე პატარაია. ზოროასტრიზმი.....27

მარიამ ნადირაძე, მათე ქარდავა. იუდაიზმი ხაზართა სახაკანოში.....29

## კულტურა

მარიამ ნადირაძე, მათე ქარდავა. სამი მთავარი დღესასწაული სამხრეთ კორეაში.....33

ნინო ბუტიკაშვილი. არაბული საზარეულო.....35

## ხელოვნება

ანა ჩაჩიბაია. არაბული კალიგრაფია თანამედროვე ხელოვნებაში.....38

ნათელა ჯოლოხავა. უძველესი ჩინური სამხედრო სტრატეგიები- „შვიდწიგნეული“.....41

თამარ შეყრილაძე, ანა ჩაჩიბაია. ფაჰრელნისა ზაიდი - მხატვარი პრინცესა.....51

ბექარ ბაინდურაშვილი, ნინო ფეიქრიშვილი, სალომე სიდამონიძე. სალაჰ ად-დინის ციტადელი.....55

## ლიტერატურა

საბაჰათინ ალი. მოულოდნელად ჩამქრალი კანდელის ამბავი. თურქულიდან თარგმნა ნინო დარასელიამ.....59

# პოლიტიკა

მილენა იბრაგიმოვა. ფერეიდნელი გურჯები.....67

მარიამ ხაბულიანი. რუსეთ-თურქეთის ენერგოურთიერთობა: პარტნიორობა თუ კონკურენცია.....69

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სარედაქციო კოლეგია:

მათე ქარდავა (რედაქტორი)

გიორგი ახალკაციშვილი (რედაქტორი)

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #36, თსუ, V კორპუსი.

ტელ: 591 94 32 19; 599 87 24 31

ელ. ფოსტა: Axloagmosavleti632@yahoo.com


ისტორია

# ფინიკიური ქალაქ- სახელმწიფოები

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით, ლევანტის რეგიონში, არსებობდა ქალაქ-სახელმწიფოები, რომელთაც მართავდენ ფინიკიელები. ფინიკიელები სემიტური მოდგმის ხალხი იყო, რომლებიც ამ რეგიონში ცხოვრობდნენ ძვ.წ III ათასწლეულიდან ახ.წ. VI საუკუნემდე. ისინი საუბრობდნენ ფინიკიურ ენაზე, რომელიც მიეკუთვნება სემიტური ენების დასავლურ შტოს, თუმცა უკვე ახ.წ II საუკუნეში ფინიკიური შეცვალა არამეულმა ენამ, ხოლო ახ.წ VII საუკუნეში, არაბთა მიერ სირია-პალესტინის დაპყრობის შემდეგ, გადადიან არაბულ ენაზე და ხდება მათი სრული ასიმილაცია. დღეს ფინიკიელთა შთამომავლებად, გენეტიკურად, ითვლებიან ლიბანის მოსახლეობის წარმომადგენლები (განსაკუთრებით, ქრისტიანები - მარონიტები) და, ასევე, მათ შთამომავლებად თვლიან თავს მალტას მცხოვრებნიც. ფინიკიელები გამორჩეული გემთმშენებლები, ძლიერი კოლონიზატორები იყვნენ, ცნობილნი თავისი ქალაქ-სახელმწიფოთა სისტემით, პირველი ანბანური დამწერლობის შექმნით (ძვ.წ XVს.), ზღვაოსნობით (მათ შორის, აღსანიშნავია, აფრიკის გარშემო მოგზაურობა), ხელოვნების ნიმუშებით (ლითონზე ხატვა, კერამიკა, ეგვიტიდან კი შუშის დამზადების ტექნოლოგიის გადმოღება და განვითარება).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინიკიელები ცხოვრობდნენ ქანაანის ტერიტორიაზე, ჰქონდათ თავიანთი ქალაქ-სახელმწიფოები, საიდანაც გავლენას ავრცელებდნენ ხმელთაშუა ზღვისპირეთის რეგიონებზე. ძირითად საყრდენს წარმოადგედნენ ისეთი ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოები, როგორიცაა: ტიროსი, სიდონი, ბიბლოსი, არადი, აკო, ბერუთა (თანამედროვე ბეირუთი), ტრიპოლი, აზჰივი და სხვა. თუმცა ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდათ ტიროს (დღევანსელი სური), სიდონს (თანამედროვე საიდა). ამ ტერიტორიებიდან იწყება ფინიკიური კოლონიზაცია. აღსანიშნავია, რომ თითოეული ქალაქ-სახელმწიფო იყო სრულიად დამოუკიდებელი და ჰქონდა საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, თუმცა რელიგიური პანთეონი, კულტურა, ენა და თვითშეგნება ინარჩუნებდა საზოგადოებრივ ერთიანობას. ფინიკიური სახელმწიფოები ძირითადად გავრცელებული იყო ხმელთაშუა ზღვის აუზში, კერძოდ, ჩრდ. აფრიკაში, სარდინიაში, პირენეის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილზე.

აღსანიშნავია, რომ ფინიკიელებმა კოლონიები დააარსეს ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ ნაპირებზეც. მათი სავაჭრო მარშრუტი ვრცელდებოდა ბრიტანეთის არქიპელაგიდან შავი ზღვის სანაპირომდე.

ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოები არაფრით არ განსხვავდებოდა პოლისებისგან. ქალაქები მდებარეობდა ზღვასთან ახლოს, კლდოვან ადგილებზე, რათა მტრის მოგერიება მარტივი ყოფილიყო. საინტერესოა ის, რომ ფინიკიელები გიგანტურ ნავსადგომებს იშვიათად აგებდნენ, ძირითადად, გემები ჩერდებოდა ნაპირთან ახლოს, ზღვაში. საზოგადოებრივი განვითარება იყო ლოიალური, ფინიკიელები დადებითად იყვნენ სხვების მიმართ განწყობილები, ამიტომ ქალაქ-სახელმწიფოებში სხვადასხვა მოდგმის ხალხი ცხოვრობდა. ამით აიხსნება, რომ ბოლოდროინდელ გენეტიკურ კვლევებში ფინიკიელთა შორის აღმოჩენილი იქნა სამხრეთ-ევროპული გენი. ცნობილია, რომ კართაგენში ბინადრობდნენ და საქმიანობას ეწეოდნენ

შავკანიანი, ლიბიური, ეგვიპტური, ევროპული წარმომავლობის ადამიანები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რელიგიური პანთეონი. ყოველ ქალაქს ჰყავდა თავისი მფარველი ღმერთი. ტიროსი ღმერთი უსოს სცემდა პატივს და ღმერთი მელკარტი მფარველობდა, სიდონი პატივს სცემდა ღმერთ ბაალს, ბერითიში კი თაყვანს სცემდნენ ქალღმერთ აშტარტს. ღმერთების კულტი კოლონიებზეც გავრცელდა.

ყველა ქალაქში აუცილებელი იყო ტაძარი, სადაც ტარდებოდა სხვადასხვა რიტუალი, მათ შორის ადამიანთა მსხვერპლშეწირვაც. აუცილებელი იყო ფინიკიური სასაფალოების არსებობა. ფინიკიური სასაფალოები შედგებოდა კამერიანი და სარკოფაგიანი საფლავებისგან, ძირითადად, გარდაცვლილს ასაფლავებდნენ, თუმცა სხვა ხალხებისგან შემოღებული იქნა კრემაციის რიტუალი, სადაც კერამიკულ ჭურჭელში ჩაყრილ ფერფლს დასაკრძალავ კამერაში დებდნენ. არსებობდა სარკოფაგული წესი. ფინიკიელები თავისთავისთვის კარგ სასაფლაოს ეძებდნენ, სადაც სარკოფაგი ქვიანი იყო.

საინტერესოა, თუ როგორ გამოიყურებოდა ქალაქ-სახელმწიფო. აღსანიშნავია, რომ ქალაქ-სახელმწიფოს ემორჩილებიდა მიმდებარე ტერტორიები და მათ კუთვნილებში იყო ხმელეთის დასახლებები. მაგალითად, ასეთი იყო უშუალოდ ფინიკიაში არსებული ქალაქი არადი (დღევანდელი არვადი, სირია). ის აშენებულია ქანაანელების მიერ ძვ.წ. III ათასწლეულში და ფინიკიელების საკუთრებაში აღმოჩნდა ძვ.წ II ათასწლეულში. ქალაქი მდებარეობდა მცირე კლდოვან კუნძულზე, რომლის ფართობი 6კვ. კმ-მდეა. სტრაბონის ცნობით, ქალაქში მრავალსართულიანი სახლები იყო. ქალაქს არ გააჩნდა ჭა და შეტევის დროს ხმელეთსა და კუნძულს შორის არსებულ აკვატორიაში არსებულ მიწისქვეშა წყაროდან ამოჰქონდათ წყალი. წყლის ქვეშ არსებული წყაროს გამხსნელი იყო დაფარული ტყვიის ნახევარსფეროთი, რათა მტკნარ წყალს ზღვის წყალი არ შერეოდა.ის ტყვისგან გამზადებული მილით ამოდიოდა ნავზე, რის შედეგადაც წყალს აწვდიდნენ ქალაქს. ქალაქში არსებობდა ნავსადგომი, სადაც იყო დიდი ფლოტი. სასაფალოები, ძირითადად, მდებარეობდა ქალაქის შემოგარენში. შემოგარენი კი, სავარაუდოდ, ხმელეთზეც ვრცელდებოდა. მიუხედავად ქალაქის პატარა ზომისა, ის იმორჩილებდა სხვა ქალაქებსაც.



ასევე, საინტერესოა ქალაქი ბიბლოსი. იგი აშენებულია ძვ.წ IV ათასწლეულში, ქანაანელთა მიერ. დღევანდელი ჯუიბეილა, იგივე ბიბლოსი, გუბლი ან გებალი, იმითაა ცნობილი, რომ აქ იყო რელიგიური ცენტრი და თაყვანს სცემდნენ ქალღმერთ აშტარტს. თვლიდნენ, რომ ეს იყო ღმერთი ელომის მიერ შექმნილი უძველესი ქალაქი. აქ იყო ღმერთ ბაალათ-გებალისა და, სავარაუდოდ, ღმერთ რეშეფის ტაძარი.

ქალაქი სიდონი მდებარეობდა კონცხზე. მას ორი ნავსადგური ჰქონდა ჩრდილოეთით და სამხრეთით. სამხრეთის ნავსაგური არ იყო კარგად დაცული, თუმცა მას იყენებდნენ თავშესაფრად. აქ თაყვანს სცემდნენ ღმერთ ბაალ-სიდონსა და ღმერთ ეშმუნს. ის ქანაანის პირველშობილად ითვლება. სავარაუდოდ, რენენის ცნობით, ქალაქს ჰქონდა დიდი კედელი და კლდოვან ნაწილზე სახლობდნენ

ხელოსნები. ის წინარეისტორიული დროიდან არსებობს. ფინიკიელთა დროს აღმავლაბას ძვ.წ X-IX სს. განიცდის.

ტიროსი ფინიკიის უმნიშვნელოვანესი ქალაქია. მისი მფრაველი ღმერთი მელკარტი იყო. ტიროსი, დღვანდელი სური, მდებარეობდა კუნძულთა არქიპელაგზე, მას იცავდა რამდენიმე მცირე კლდოვანი კუნძული, რომელიც მის გარშემო იყო. ქალაქის შექმნის თარიღად ითვლება ძვ.წ XXVIII ს. ან ძვ.წ. XII ს.. ერთნი თვლიდნენ, რომ ის სოლომონის ტაძრამდე 240 წლით ადრე აშენდა, ზოგი კი მის აგებას უკავშირებს ღმერთ უსოს, რომელიც მითის თანახმად, ხის ბორცვით მოვიდა და ადგილი მსხვერპლშეწირული ცხოველების სისხლით ააყვავა. ზოგი კი მიიჩნევდა , რომ არსებობდა მოძრავი კუნძული, რომელსაც ორი კლდე ჰქონდა და იქ იზრდებოდა ზეთის ხე, სადაც ყოვლეთვის არწივი იჯდა. კუნძულის გაჩერების დროს, ვინც მსხვერპლს შესწირავდა არწივს, მოახერხებდა კუნძულის შეერთებას ფსკერთან და ეს მეზღვაურმა უსოსმა მოახერხა.

კოლონიების არსებობა ატლანტის ოკეანის სანაპიროზეც დასტურდება. ძლიერი სავაჭრო გავლენა, საზოგადოებრივი განვითარება და ლოიალური მიდგომა ხელს უწყობდა სახელმწიფოებრივ განვითარებას. რა თქმა უნდა, ფინიკიელებს ჰქონდათ დაპირისპირება სხვა ხალხებთან, თუმცა ყოველთვის იძებნებოდა დიპლომატიურად მოგვარების გზები. დაშვებული იყო შერეული ქორწინება და, განსაკუთრებით, საზოგადოების ელიტარულ ჯგუფებში.

ატლანტის ოკეანეში დასტურდება მადორის კოლონიის არსებობა. ის კუნულზე მდებარეობდა ხმელეთიდან 1,5-3 კმ დაშორებით. მდ. ქსობის შესართავთან. ეს ტერტიორია თანამედროვე, მაროკოს ქალაქების კასაბლანკასა და სინტას შორის მდებარეობს.

აღსანიშნავია ფინიკიური კოლონია კართაგენი, იგივე ქართჰადაშტი, რაც ფინიკიურად ნიშნავს- ახალ ქალაქს. ქალაქი შექმნილია, სავარაუდოდ, ძვ.წ 814-813 წლებში. ქალაქის მფარველი ღმერთი ტინიტი იყო, რომელიც შემდგომში რომაულმა პანთეონმა ჩაანაცვლა. ეს იყო მრავალეთნიკური ქალაქი, ქალაქი გადაჭიმული იყო თანამედროვე ქალაქ თუნისიდან გამრას კონცხამდე. ქალაქს გააჩნდა ნავსადგური და ფლოტი, ნაპირი ტალღების საწინააღმდეგო დამბით იყო დაცული.

საინტერესოა სახელმწიფო მმართველობის ფორმა. სხვა სემიტური სახელმწიფოების მსგავსად, მათაც ჰქონდათ მონარქიული მმართველობა. თუმცა ფინიკიელები დამოუკიდებედლი პოლიტიკის მიუხედავად, ტრიპოლიში აწყობდნენ ქალაქ-სახელმწიფოთა საერთო კრებას, სადაც ფინიკიელი ქალაქ-სახელმწიფოების მმართველები, წყვეტდნენ საერთო ფინიკიურ საკითხებს. ასევე საინტერესოა, რომ ფინიკიელებში ძალზედ დიდი გავლენა ჰქონდათ ყველა ფენისა და საქმიანობის ელიტურ ჯგუფებს. მაგალითად, კართაგენს თავდაპირველად მართავდა მაგონიდთა დინასატია, თუმცა წყობა შემდგომ ოლიგარქიული გახდა. მონარქი მართავდა ქვეყანას ყველა ფენის ელიტარულ ჯგუფთან ერთად. მაგონიდთა დიანსტია შეიქმნა მხედართმთავარ ჰამილკარის შვილების მიერ.



კართაგენი და მის დაქვემდებარებაში მყოფი კოლონიები რომმა დაიპყრო ძვ.წ. 146 წელს. ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოები განაგრძობდნენ არსებობას.

დღეს ფინიკიელთა მიერ დაარსებულ ქალაქ-სახელმწიფოთა არქიტექტურისა და განლაგების აღდგენა ძალზედ რთულია არსებული არქეოლოგიური მასალის სიმწირის გამო.

საინტერესოა, რომ ფინიკიელები აარსებდნენ კოლონიებს და მხოლოდ სავაჭრო სფეროს ავითარებდნენ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ფინიკიელები მეზღვაურები იყვნენ. მათი მთავარი იდეა და მიზანი ზღვაზე ბატონობა იყო.

# ატილას ლაშქრობა იტალიაში და შეხვედრა რომის პაპ ლეო I დიდთან

თანამედროვე ევროპის ჩამოყალიბება, მოგეხსენებათ, საკმაოდ რთული და ჩახლართული საკითხია. მრავალი ისტორიკოსი იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უდიდესი წვლილი ჰუნების ბელადს, ატილას (443-453) მიუძღვის ამ მრავალსაუკუნოვანი პროცესის დაწყებაში.

სანამ უშუალოდ შევეხებოდეთ საკვანძო საკითხს, განვიხილოთ ეს პერიოდი, სანამ რომის პაპი ლეონ I (440-461) შეხვდებოდა ერთ-ერთ უდიდეს დამპყობელს მსოფლიო ისტორიაში.

ჰუნების პირველი საცხოვრებელი ადგილი უნდა ყოფილიყო ჩინეთის მიმდებარე ტერიტორია. ჰანის პერიოდის ჩინურ დოკუმენტებში ნახსენებია ჰსიუნგ-ნუ-ს ხალხი, რომლებიც ძლიერ მებრძოლებად არიან დახასიათებულები. სწორედ ეს ხალხი მიიჩნევა ჰუნების წინაპრებად.

ჰსიუნგ-ნუს ხალხმა ძალიან დიდი ზიანი მიაყენა ჰანის იმპერიას და როგორც ედვარდ გიბონი აღნიშნავს, სწორედ მათი მონათესავე ხალხის გამო უნდა აგებულიყო ჩინეთის დიდი კედელიც. საბოლოოდ, პირველ საუკუნეში ჩინეთმა დაამარცხა მომთაბარეები და ამ მოვლენის შემდეგ ჰსიუნგ-ნუ არცერთ ჩინურ წყაროში არ არის მოხსენიებული.

რთული გამოსაცნობი არ არის, თუ საით უნდა დაძრულიყვნენ ჰუნების წინაპრები.

ისინი გამოემართნენ დასავლეთისაკენ, მაგრამ 3 საუკუნის განმავლობაში, მათ რიგებში გამოჩნდებოდნენ არამონღოლოიდური წარმოშიბის ეთნოსებიც, შესაბამისად, გარკვეული სახის ცვლილები აუცილებლად გაჩნდებოდა ჰსიუნგ-ნუს ტომში.

ჰუნები ადრეული ასაკიდან ეუფლებოდნენ ცხენზე ჯირითს. პუბლიუს ფლავიუს რენატუს ვეგეციუსი საკუთარ ნაშრომში „სამხედრო საქმის შესახებ“ აღწერს ჰუნებს და განიხილავს მათი ბრძოლის მეთოდებს. როგორც ჩანს, ჰუნები არამარტო კარგი მხედრები, არამედ დიდებული მშვილდოსნებიც იყვნენ. შესაძლოა, რომაელი ისტორიკოსი აჭარბებს რიცხვს იმის შესახებ, თითქოს ჰუნებს 300 მეტრის მანძილზე შეეძლოთ მტრის მოკვლა, მაგრამ ფაქტია, ეს ხალხი ცნობილი იყო ბრძოლისუნარიანობით.

როგორც ვხედავთ, IV-V საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები ისტორიკოსისთვის ცნობილია ამ ხალხის შესახებ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჰუნები უკვე ევროპის ტერიტორიაზე იმკვიდრებენ საკუთარ ადგილს.

ჰუნების პირველი მმართველი, რომელზეც ცნობებია შემორჩენილი, არის რუგა. იგი ძლევამოსილი მეფე იყო, მაგრამ არ ვიცით, ბოლომდე გააერთიანა თუ არა ჰუნები, რადგან ბერძენი ისტორიკოსის, ოლიმპიადორუსის ცნობები დაკარგულია. იქ უბრალოდ ნახსენებია რუგა, მისი ძმა მუნძუკი და მუნძუკის ორი ვაჟიშვილი ბლედა და ატილა. რუგა ცნობილია იმით, რომ მან გადალახა მდინარე დუნაი და თავს დაესხა ბიზანტიის იმპერიას.

434 წელს რუგა მოკვდა და იგი შეცვალა ატილას უფროსმა ძმამ, ბლედამ. ეს უკანასკნელი აგრძელებს რუგას პოლიტიკას და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე იბრძვის ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ. 443 წელს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა, გარდაცვალების მიზეზი კი უცნობია. ჰუნების მმართველი ხდება ატილა.

თუკი ჰუნები საკმაოდ წარმატებით იბრძვიან V საუკუნის შუა ხანებში, რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა შექმნილი რომის იმპერიაში. ანტიკური სამყაროს უძლიერესი იმპერია 395 წელს ორ ნაწილად გაიყო, რაც გამოწვეული იყო გერმანულ ტომებთან ბრძოლით და მათთან დამარცხებით. ხოლო V საუკუნეში ქალაქი რომი ურთულესი გამოწვევების წინაშე დადგა და 410 წელს ქალაქი რომი აიღეს ვესტგოთებმა.

რომის პაპი 440-461 წწ-ში არის ლეო I დიდი. შეგახსენებთ, რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ არის გაყოფილი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიები, შესაბამისად, ლეო I ახერხებს, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მიმდინარე მოვლენებსაც ადევნოს თვალი. თეოდოსიუს II-სთან (408-450) და მარკიანესთან (450-475) გაგზავნილი ეპისტოლეებით მან დიდად შეუწყო ხელი ქალკედონის IV მსოფლიო კრების (451) მოწვევას მონოფიზიტების დასაგმობად. კრებაზე, რომელსაც 630 ეპისკოპოსი ესწრებოდა, წაკითხულ იქნა მღვდელმთავარ ლეოს ეპისტოლე უკვე მიცვალებული კონსტანტინეპოლელი პატრიარქის ფლავიანეს (447–449) მიმართ, რომელიც 449 წელს ეფესოში გამართულ ავაზაკთა კრებას ემსხვერპლა. პაპის ეპისტოლეში მოცემული იყო მართლმადიდებლური სწავლება ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ, რომელსაც კრების მონაწილე ყველა ეპისკოპოსი დაეთანხმა.

ლეო I-მა განსაკუთრებით დიდი ძალისხმევა გამოიჩინა ჰუნდა ბელადის, ატილას შესაჩერებლად, რომელიც იტალიაში გადმოდის მას შემდეგ, რაც საფრანგეთში ვერ აღწევს სამხედრო წარმატებას. ატილას ესმოდა, იმისათვის რომ მისი სახელი მთელ მსოფლიოში გამხდარიყო ცნობილი, მას უნდა დაეპყრო ისეთი დიდებული ქალაქი, როგორიც იყო რომი. 452 წელს იგი იტალიის ჩრდილოეთ საზღვართან გამოჩნდა. მისი ჯარი იპყრობს აკვილიას, პადუას და მიიწევს სახმრეთით. იმავე წლის ზაფხულში ატილა გამოჩნდა ქალაქ რომთან, ხოლო ჰუნების ბელადსა და რომის პაპს შორის შეხვედრა გაიმართა მდინარე მინჩოსთან (შეგახსენებთ, რომ ეს ის მდინარეა, რომელმაც მოხიბლა დანტე ალიგიერი და მოგვიანებით, ,,ღვთაებრივი კომედიის“ შექმნაშიც ითამაშა თავისი როლი). ლეო I-ის ამოცანა საკმაოდ რთული იყო, მას უნდა დაერწმუნებინა ჰუნების ბელადი ატილა იმისათვის, რომ გადაერჩინა ქალაქი რომი.

ატილას ეახლნენ ლეო I, ტრიგეციუსი (Trigetius), რომელიც გამოცდილი დიპლომატი იყო და გენადიუს ავიენუსი (Gennadius Avienus), რომელიც მდიდარი და წარმატებული პოლიტიკოსი იყო.

თუკი ადრეულ წყაროებს ვენდობით, მას შემდეგ რაც ატილას აცნობეს დელეგაციის მოსვლის შესახებ, იგი კარვიდან არც გამოსულა, პირიქით, წამოწვა და ალოდინა მათ. ატილა მოხიბლა ლეო I-ის ჩაცმულობამ, მაგრამ ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც წმინდა პეტრე და პავლე გამოჩნდნენ რომის პაპის გვერდით და მოკვლით დაემუქრნენ ატილას, თუკი არ დაემორჩილებოდა მოთხოვნებს.

იმავე პერიოდის წყაროებში აღნიშნულია, რომ არა ქრისტიანობამ, არამედ რელიგიამ ითამაშა დიდი როლი მშვიდობის შენარჩუნებაში.

როგორც ჩანს, ატილა კვლავ აპირებდა, შეჭრილიყო ქალაქ რომში, მაგრამ მისმა მიმდევრებმა აიძულეს ხელი აეღო ამ გაზნრახვაზე. მათ გაახსენდათ, რომ ალარიხი რომის აღების შემდეგ მალევე გარდაიცვალა და ეშინოდათ, რომ იგივე მოხდებოდა ატილას შემთხვევაშიც.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ამგვარი ახსნა არის რელიგიური სპეკულაცია, რომელსაც ქრისტიანი ისტორიკოსები გვაწვდიან. ფაქტია,

ატილას არმია არც ისე კარგ მდგომარეობაში იყო, რადგანაც ჯარის რიგებში საკვების ნაკლებობა შეიმჩნეოდა, რასაც ემატებოდა დაბინძურებული წყალი და სიცხე. ჯერ კიდევ 451 წელს ატილა დამარცხდა კატალაუნის ველზე ბიზანტიის იმპერიასთან, მან მაშინვე დაიწყო ახალი ჯარის შეკრება და გადავიდა გალიაში, იქიდან კი იტალიაში. როგორც ჩანს, თავად ჯარსა და სარდლებს არ ჰქონდათ უკვე სურვილი, გაეგრძელებინათ ბრძოლა და ეს იყო მთავარი მიზეზი, თუ რატომაც ვერ შევიდა ბელადი მეორედ იტალიაში. თუმცა ფაქტია, რომ რომის პაპმა თავის მიზანს მიაღწია და ჰუნების ბელადი მეორედ არ გამოჩენილა იტალიაში.

# ძინისა და სონგის დინასტიების დაპყრობა მონღოლების მიერ

ჩინეთი მონღოლთა დაპყრობების ერთ-ერთი პირველი სამიზნე გახდა. ჩინგიზ ყაენმა ჯერ კიდევ 1205 წელს განახორციელა პირველი წარმატებული ლაშქრობა დასავლეთ სიას (西夏) იმპერიის წინააღმდეგ, რომელიც თანამედროვე ჩინეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მონღოლებმა აღნიშნული იმპერია რამდენჯერმე დალაშქრეს და საბოლოოდ ჩინგიზ ყაენის გარდაცვალებიდან მალევე- 1227 წელს საბოლოოდ გაანადგურეს იგი (3 : 262). მეორე ჩინური იმპერია, რომლის წინააღმდეგაც მონღოლებმა ჩინგიზის მმართველობის პერიოდში მოაწყვეს დიდი ლაშქრობები იყო ძინის იმპერიაა (金朝). 1215 წელს მონღოლებმა დედაქალაქი პეკინი (北京) აიღეს და ძინის იმპერიასაც ცენტრის ქაიფენგში (开封) გადატანა მოუწია. თუმცა, მიუხედავას ამისა, ჩინგიზის სიცოცხლეში მონღოლებმა მაინც ვერ შეძლეს ძინის საბოლოოდ დაპყრობა.

ყაენის გარდაცვალების დროს ჩინეთის ტერიტორიაზე ორი იმპერია არსებობდა. პირველი- მონღოლების მიერ დასუსტებული ძინის იმპერია, ხოლო მეორე- სამხრეთით მდებარე ძლიერი სონგის იმპერია (宋朝. ჩინგიზ ყაენის გარდაცვალების შემდეგ, მონღოლებს შორის ახალი ყაენის არჩევასთან დაკავშირებით პრობლემები შეიქმნა. ეს ყველაფერი 1229 წლამდე გაგრძელდა, მანამ სანამ, ყაენის ტიტული ჩინგიზის მესამე ვაჟმა- უგედეიმ არ მიიღო.

*უგედეი ყაენი 1229-1241*

გასათვალისწინებელი ფაქტია ის, რომ მიუხედავად მონღოლების წინააღმდეგ განცდილი არაერთი მძიმე მარცხისა, ძინის იმპერიას მათი უზენაესობა არ უღიარებია. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მიუხედავად უგედეის (1229 – 1241) არჩევამდე მონღოლებს შორის არსებული დაძაბული მდგომარეობისა, ისინი მაინც აგრეძელებენ ძინის წინააღმდეგ ბრძოლას. თუმცა, ამ პერიოში ეს შედარებით სუსტი სახით ხორციელდებოდა. 1229 წელს ძინის იმპერატორმა აიწონგმა (哀宗-1224 – 1234) საჩუქრებით გაგზავნა თავისი წარმომადგენლები ახლად დასმული ყაენის- უგედეის წინაშე, მაგრამ ყაენმა ისინი არ მიიღო და უკან გააბრუნა (2 : 295).

მონღოლებმა, მას შემდეგ, რაც 1227 წელს დასავლეთ სია განადგურეს, ძინის იმპერიას შეუტიეს. მათ შეტევა შაანსის[1] (陕西) პროვინციის გავლით დაიწყეს და სონგის საზღვრამდე მიაღწიეს. 1228 წელს მონღოლებმა 8000 კაციანი შენაერთით განახორციელეს ახალი შეტევა და კვლავ წაიწიეს სამხრეთით, თუმცა ძინის კავალერიასთან მძიმე მარცხი იწვნიეს. ეს ძინისათვის პირველი დიდი გამარჯვება იყო თვრამეტწლიანი ომის განმავლობაში.

[1] შაანსის პროვინცია (陕西)- მდებარეობს ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

1230 წელს ძინის დინასტიამ მონღოლები კვლავ დაამარცხა ორჯერ. მონღოლების გამოგზავნილი დესპანი ჯერ დაატუსაღეს, ხოლო შემდეგ შეურაცხმყოფელი შინაარსის შემცველი წერილით გაგზავნეს უკან (1 : 118).

ამის გამო უგედეიმ გადაწყვიტა 1231 წელს ძინის დინასტიის წინააღმდეგ ახალი მძლავრი შეტევა დაეწყო. ჯარი ორ ნაწილად გაიყო: პირველ ნაწილს ყაენი თვითონ გაუძღვა შაანსის პროვინციის მიმართულებით, ხოლო მეორეს კი - თავისი ძმა თული შანსისკენ[2] （山西）(3 : 263). საბოლოო მიზანი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან იერიშით დედაქალაქ ქაიფენგის აღება იყო. მონღოლებმა გადალახეს მდინარე ხუანხე（黄河, შაანსის პროვინციაში სამოცამდე ციხესიმაგრე დაიკავეს.




*მონღოლებისა და სონგის არმიების მოძრაობა ძინის წინააღმდეგ*

1232 წელს მონღოლებმა ძინის არმია სანფენგშანის ბრძოლაში （三峰山之战）გაანადგურეს და დედაქალაქ ქაიფენგს შემოარტყეს ალყა. ყაენმა ქალაქში დესპანი გაგზავნა და დანებებისკენ მოუწოდა, მაგრამ საპასუხოდ დესპანი ქალაქში სიკვდილით დასაჯეს (2 : 296). ალყის გაჭიანურებასთან ერთად დედაქალაქში სიტუაცია მძიმდებოდა. გარე სამყაროსაგან მოწყვეტილ დედაქალაქში ფეხმოკიდებულ შიმშილიანობას, ეპიდემიის გავრცელებაც ზედ დაერთო. იმპერატორმა 1233 წლის დასაწყისში ქალაქის დატოვა. მისი გაქცევიდან მალევე- თებერვლის ბოლოს მონღოლებმა დედაქალაქიც აიღეს (5 : 23). 1233 წლის აგვისტორში იმპერატორმა აი წონგმა აღმოსავლეთით, ცაიჭოუს（蔡州）შეაფარა თავი.

დედაქალაქის აღების შემდეგ, მონღოლებმა ძინის დინასტიის გავლენის ქვეშ მყოფ უკანასკნელ პროვინცია ხენანზე（河南）შესატევი გეგმის შემუშავება დაიწყეს. პროვინციას ჩრდილოეთიდან მდინარე ხუანხე, ხოლო დასავლეთით დიდი მთები იცავდა. საბოლოოდ, ძინის ყოფილი გენერლის ლი ჩანგის ინიციატივით, გადაწყდა, რომ ხენანს სამხრეთიდან შეუტევდნენ თულის მეთაურობით, ხოლო უგედეი კი ჩრდილოეთიდან გაუძღვებოდა არმიას. უგედეიმ ამავდროულად სონგის იმპერიას გაუგზავნა დესპანი, რათა ამ უკანასკნელს მონღოლებისთვის სონგის საზღვარზე გავლის ნება მიეცა ხენანზე შესატევად. თუმცაღა, დესპანი საზღვრის გადალახვიდან მალე მოკლეს. ამან მონღოლები გააკვირვა, რადგან წინათ სწორედ სონგი სთავაზობდა მონღოლებს ძინის წინააღმდეგ ალიანსს (2 : 297).

*თული- ჩინგიზ ყაენის მეოთხე ვაჟი ბორტესაგან (მთავარი ცოლი)*

[2] შანსის პროვინცია （山西）- მდებარეობს ჩრდილოეთ ჩინეთში

1233 წლის მეორე ნახევარში მონღოლებმა ხენანს შეუტიეს. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა ძინის იმპერატორმა დახმარებისთის ყოფილ მეტოქეს- სონგის იმპერიას მიმართა და თან გააფრთხილა, რომ მონღოლების შემდეგი სამიზნე, სწორედ ისინი იქნებოდნენ. ამ უკანასკნელმა კი ძველ მტრობათა გამო უარი შეუთვალა.

საბოლოოდ, თულის მოუწია, რომ სონგსა და ძინს შორის სასაზღვრო ზოლზე გაევლო, რათა თავი აერიდებინა სონგის ჯართან დაპირისპირებისგან. მან მოახერხა ხუას მთიანეთის გადალახვა, მოკლე ხანში დაიკავა 140 ციხესიმაგრე, გზად კი ადგილობრივ მოსახლეობას სასტიკად უსწორდებოდა (1 : 119) (5 : 24). ჩრილოეთით უგედეიმ მდინარე ხუანხე გადალახა. იმპერატორ აიწონგს შესთავაზეს, რომ დარჩენილი ძალები ნანძინის (南京) გარშემო ქალაქებში გაემაგრებია. მაგრამ იმპერატორმა ხენანში მყოფ მისი მომხრეების მიტოვებაზე უარი განაცხადა (2 : 297). მან მთლიანი ხენანის დასაცავად ჯარი სამხრეთითა და ჩრდილოეთით გააგზავნა.

ჩრილოეთით უგედეის 130 000 კაციან ძინის არმიასთან მოუწია შებმა. მონღოლები თავდაპირველად დამარცხდნენ და უკან დაიხიეს, მაგრამ ძინის არმიამ ნაადრევად დაიწყო გამარჯვების ზეიმი და მათ არ დაედევნა. ამან კი მონღოლთა სამხრეთისა და ჩრდილოეთის არმიებს გაერთიანების საშუალება მისცა. მონღოლთა გაერთიანებულმა არმამ შეძლო ძინის არმიის სასტიკად დამარცხება და მიმართულება ცაიჭოუსაკენ აიღეს, სადაც იპერატორი აიწონგი იმყოფებოდა (1 : 120). ამჟამად, მონღოლებს გზად სონგის არმიაც შეუერთდა და 1234 წლის 9 თებერვალს ერთიანად შემოატყეს ალყა ძინის ბოლო დასაყრდენს ( 8 : 245). 16 დღიანი ალყის შემდეგ მონღოლები სუბუდაის მეთაურობით ცაიჭუოში შევიდნენ და დასახლება მიწასთან გაასწორეს. იმპერატორმა აიწონგმა თავი მოიკლა, ხოლო მის მემკვიდრედ დატოვებული ვანიან ჩენლინი (完颜承麟) მონღოლებთან შეტაკებაში დაიღუპა ქალაქში ბრძოლის დროს (3 : 264).

1235 უგედეი ყაენის მოწოდებით ყურულთაი მოეწყო. ერთ-ერთი მთავარი საკითხი კი სონგის წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობა იყო. ძინის წინააღმდეგ ალიანსის შეკვრისას გადაწყდა, რომ ხენანი სონგს უნდა რგებოდა. თუმცა, მონღოლები დაპირების შესრულებას სულაც არ აპირებდნენ (1 : 136). ამან გამოიწვია სონგის ლაშქრობა ხენანში. თუმცა, ჩანს რომ სონგის იმპერატორ ლიწონგის (李总- 1224 – 1264) მიზანი კიდევ უფრო შორს მიდიოდა. მას სურდა სამი უძველესი ქალაქის ჩანგანის（长安）, ლოიანგისა（洛阳） და ქაიფენგის დაკავება (2 : 311). სონგის დინასტიის დიდი შეცდომა იყო ის, რომ ჩრდილოეთში სალაშქროდ ასეთი ნიშვნელოვანი პუნქტების დასაკავებლად ძალიან მცირე შენაერთები გააგზავნა. ბუნებრივია ქაიფენგისა და ლოიანგის დაკავებას, მის შენარჩუნებას მხოლოდ ლი წონგის მიერ გაგზავნილი 10000 – 15000 კაციანი არმია ვერ შეძლებდა, რის გამოც ლაშქრობა სრული კრახით დასრულდა (4 : 858).

რა თქმა უნდა, მონღოლები სონგის ამ უეცარ შემოჭრას უპასუხოდ არ დატოვებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დამარცხებულ იმპერატორს ახლა მონღოლებთან მშიდობის დამყარება სურდა, მაგრამ მონღოლებს სხვა მიზნები ჰქონდათ. 1235 წელს უგედეი ყაენმა სონგის წინააღმდეგ არმია გაგზავნა. ამჯერად მონღოლები სონგის საზღვრისპირა რეგიონების დარბევის შემდეგ უკან დაბრუნდნენ (1 : 136). ახალი და უფრო დიდი ლაშქრობა მონღოლებმა შემდეგ წელს მოაწყვეს. უგედეის მესამე ვაჟს ხოჩუს მეთაურობით მონღოლთა მრავალრიცხოვანმა არმიამ სონგის ჩრდილოეთ საზღვრის ცენტრალური ზონიდან ჩენგტუმდე[3] (成都) მიაღწია. გზად სონგის არმია არაერთხელ გაანადგურეს, თუმცა ხოჩუს უეცარმა გარდაცვალებამ მონღოლებს უკან დახევა აიძულა. 1237 წელს მონღოლებმა მდინარე ხუაიხეს რეგიონში შეძლეს შესვლა, მაგრამ ამავე წელს სონგის ახალმა არმიამ შეძლო მტრის უკუგდება (7 : 55). საბოლოოდ, 1238 წელს სონგის იმპერატორი დათანხმდა მონღოლებისთვის ხარკის გადახდას.

მონღოლებთან ბრძოლაში აშკარა გახდა, რომ სონგის სასაზღვრო დაცვის სისტემა ძალიან სუსტი იყო. მაგრამ, სუნგის არმიამ სწრაფი გადაჯგუფებების წყალობით ამჯერად შეძლო მეტოქის მოგერიება. ეს გაკვეთილი მონღოლებმა სამომავლოდ კარგად გაითვალისწინეს.

*გუიუქ ყაენი*

მიუხედავად 1238 წლის შეთანხმებისა, მონღოლები 1239 წლიდან ყოველწლიურ შეტევებს ახორციელებდნენ სონგის იმპერიაზე. თუმცა, ჩანს, რომ იმპერიის დარჩენილი სამხრეთი ნაწილის დაპყრობაზე წასლას ჯერ არ აპირებდნენ. ამას კარგად გვიჩვენებს 1242 წელს მონღოლების მიერ ქალაქ ხანგჭოუს[4] (杭州) აღება. აქ მოწყობილი სასტიკი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ მათ უკან დაიხიეს (5 : 866).

1241 წელს უგედეი ყაენი გარდაიცვალა. თუმცა, მის გარდაცვალებას სონგისთვის მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოჰყოლია. მონღოლების კვლავ აგრძელებდნენ სონგის ჩრდილოეთ და დასავლეთ სასაზღვრო რეგიონების რბევას, ზოგჯერ კი ქვეყნის შიდა რეგიონებშიც აღწევდნენ. ასეთი სურათი იყო სამხრეთ ჩინეთში 1246 წლის ჩათვლით. ამ წელს, ახალი ყაენის გუიუქის არჩევას, მონღოლებს შორის მწვავე შიდაბრძოლა მოჰყვა (6 : 212). ჩრდილოეთ ჩინეთი ისეთ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა, რომ არამარტო ცხენების, არამედ ცოცხალი სამხედრო ძალის დიდი დეფიციტი შეიქმნა. ამით ისარგებლა სონგის დინასტიამ, რომელმაც ჯარისა და

[3] ჩენგტუ (成都) - ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთით, სიჩუანის პროვინციაში დედაქალაქი.

[4] ხანგჭოუ (杭州) - ჩინეთის ამოსავლეთ ნაწილში, ჭეძიანგის პროვინციაში დედაქალაქი.

საზღვრების, განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილის, გაძლიერება-გამაგრება დაიწყო.

მდგომარეობა შეიცვალა, როდესაც 1251 წელს ჩინგიზის ყაენის შვილიშვილი და თულის ვაჟი მენგუ (1251 – 1259) გახდა ყაენი. სწორედ ამ დროიდან ჩნდება დიდ პოლიტიკურ სარბიელზე მენგუს ძმა ყუბილაი. ყუბილაის მეთაურობით მოეწყო ლაშქრობა ტალის[5] (大理) სამეფოს წინააღმდეგ 1253 წელს. ტალის სამეფო სონგის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა (9 : 253). მისი დაპყრობით მონღოლებმა სუნგს დიდი დარტყმა მიაყენეს. ამგვარად, მონღოლებმა არა მარტო ჩაუკეტეს იმპერიას დასავლეთისკენ გამავალი სავაჭრო გზა, არამედ ასევე კარგი პოზიცია შეიქმნეს სონგზე შესატევად.

*მენგუ ყაენი*

მონღოლებს ტალის სამეფოს მთლიანად დასაპყრობად სამი წელი დასჭირდათ. 1258 კი მონღოლებმა სონგის სამხრეთით მდებარე ვიეტნამი დაიკავეს. მისი მმართველი კი იძულებული გახდა მონღოლთა ყაენის უზენაესობა ეღიარებინა. ამით დასრულდა მონღოლთა სამზადისი სონგზე შეტევის დასაწყებად. 1258 წელს ყარაყორუმიდან მენგუ თვითონ დაიძრა ლაშქრით სამხრეთისაკენ. ყაენმა შეტევა სონგზე ჩრდილოეთ-დასავლეთიდან- სიჩუანიდან[6] (四川) დაიწყო. მონღოლთა იმ ნაწილმა კი, რომლებმაც ვიეტნამში ილაშქრეს, სონგს სამხრეთიდან შეუტიეს. ყუბილაიმ თანამედროვე ხუპეის[7] (湖北) პროვინციის ტერიტორიაზე, სუნგის ჩრდილოეთით გახსნა ახალი ფრონტი. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, თანამედროვე ანხუეის[8] (安徽) პროვინციის ტერიტორიიდან, კი მონღოლების მეოთხე არმიამ შეუტია (3 : 407). სონგის იმპერია დიდი საფრთხის წინაშე იდგა- სასაზღვრო რეგიონების თავდაცვის სისტემა თითქმის მთლიანად მოიშალა. უიმედოდ დარჩენილი დინასტია 1259 წლის აგვისტოში ბრძოლაში დაჭრილი მენგუ ყაენის გარდაცვალებამ იხსნა (6 : 364).

ყაენის გარდაცვალებას მონღოლებს შორის კვლავ დიდი არეულობა მოჰყვა. ყუბილაი, როგორც გარდაცვლილი ყაენის უმცროსი ძმა, მის მეკვიდრეობას ესწრაფვოდა, მაგრამ მონღოლებს შორის არსებულმა გაღრმავებულმა დაქსაქსულობამ ეს ყველაფერი თითქმის შეუძლებელი გახადა. მან ქაიფენგში 1260 წელს თავი დიდ ყაენად გამოაცხადა, მაგრამ მისი ძალა მხოლოდ ჩრდილოეთ და ცენტრალურ ჩინეთზე ვრცელდებოდა (7 : 61).

---

[5] ტალის სამეფო (大理国) - მდებარეობდა თანამედროვე იუნანის პროვინციის ტერიტორიაზე, ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (937 – 1253).

[6] სიჩუანის პროვინცია (四川) - მდებარეობს სამხრეთ - დასავლეთ ჩინეთში.

[7] ხუპეის პროვინცია (湖北) - მდებარეობს ჩინთის ცენტრალურ ნაწილში. მდინარე იანძის შუა წელზე.

[8] ანხუეის პროვინცია (安徽)- მდებარეობს ჩინეთის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე იანძის ქვემო წელზე.

*ყუბილაი ყაენი*

მონღოლებმა აქტიურ სამხერო შეტევებს სონგის წინააღმდეგ 1265 წლიდან გააგრძელეს სიჩუანში, რომელიც ნაწილობრივ დაიბრუნა სონგის იმპერიამ მენგუს გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ ფართომასშტაბიანი დაპირისპირება 1268 წლიდან დაიწყო. მონღოლებმა ამ წელს სიანიანგს（咸阳, სონგის ჩრდილოეთით მდინარე ხანის[9] （汉水） ნაპირზე მდებარე უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტს შეუტიეს (3 : 431). თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სიანიანგისთვის ბრძოლა სონგის წინააღმდეგ წარმოებულ ომებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი იყო. მონღოლების მიერ მოწყობილი კამპანია 5 წელი გაგრძელდა. ამ პერიოდის განმავლობაში ქალაქის მისადგომებთან თუ ხანის მდინარეზე მხარეებს შორის არაერთი ბრძოლა გაიმართა. სონგის დინასტიას კარგად ესმოდა, რომ სიანიანგის დაკარგვას მძიმე შედეგები მოჰყვებოდა. ყუბილაიმ დამხმარე ძალები ახლო აღმოსავლეთიდანაც კი მოიხმო. საბოლოოდ, 1273 წელს ქალაქი მონღოლებს ჩაბარდა (7 : 64) . აღნიშნულმა მარცხმა სონგის სამხედრო შესაძლებლობები მნიშვნელოვნად დაასუსტა.




*მონღოლთა და სონგის არმიების მოძრაობა 1234-1279 წლებში*

1271 წელს, სიანგიანგის ალყის თანადროულად, ყუბილაი ყაენმა კიდევ ერთი ძალიან ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა. მან ყველა ჩინური ტრადიციის დაცვით ახალი დინასტია- იუენი（元） დააარსა. ამ ნაბიჯით მან სცადა შეეცვალა ჩინელი ხალხის თვალში მონღოლებისა და სონგის დინასტიის დაპირისპირებისადმი აღქმა.- თუ მანამდე ეს იყო ბრძოლა უცხო დამპყრობელთან სამშობლოს დასაცავად, ამერიდან ამ ომს ორ დინასტიას შორის „ზეციური მანდატისათვის“ [10] დაპირისპირების სახე მიეცა.

1274 წელს სონგის იმპერატორი ტუწონგი（度宗） გარდაიცვალა. ტახტზე მისი 4 წლის ვაჟი კონგი აიყვანეს, რეგენტი დედამისი გახდა. იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ მოაწყო ყუბილაიმ ახალი ლაშქრობა სონგის წინააღმდეგ, რომელსაც სარდლი ბაიანი ჩაუყენა სათავეში. 100 000 კაციანი არმიითა და დამატებით 10 000 გემით შემდგარი ფლოტით მონღოლებმა წლის დასაწყისში მძიმედ დაამარცხეს სუნგის არმია. მარტში კი ასევე დაამარცხეს

[9] სამხრეთ ჩინეთში მდებარე, მდინარე იანძის ერთ-ერთი შენაკადი.

[10] 天命-ზეციური მანდატი- ჩინურ კოსმოლოგიაში ზეცა უმაღლესი ღვთაებაა, იმპერატორი კი ზეცის შვილია. შესაბამისად მისი ხელისუფლება ზეცისგანაა დადასტურებული. როცა ჩინეთში ახალი დინასტია ძველს ანაცვლებდა, მისი გამარჯვება „ზეცისაგან“ წინასწარგანსაზღვრულად მიიჩნეოდა და „ზეციური მანდატიც“ მას გადაეცემოდა.

130 000 კაციანი სონგის არმია ძია სიტაოს მეთაურობით. აპრილში მონღოლებმა ნანძინგს მიაღწიეს, მაგრამ ყუბილაიმ ჯარი მაინც უკან გამოიხმო (5 : 41). ამ ეტაპზეც კი მონღოლმა ყაენმა მაინც გაითვალისწინა ის დიდი საფრთხე, რასაც სონგის მობილური და სწრაფად ორგანიზებადი არმია წარმოადგენდა.

საბოლოო მძლავრი შეტევა მონღოლებმა სონგის წინააღმდეგ 1275 წელს წამოიწყეს. მონღოლთა ჯარის ნაწილმა ბაიანის მეთაურობით ალყა შემოატყეს დედაქალაქს. ნაწილი კი ჭეძიანგიდან[11] (浙江) სამხრეთით დაიძრა. 6 დეკემბერს მონღოლებმა სონგის უკანასკნელი მძლავრი დასაყრდენი ჩანგჭოუ[12] (常州) აიღეს და ქალაქის მოსახლეობას სასტიკად გაუსწორდნენ. ბაიანის მეთაურობით წამოწყებული ალყა სონგის დედაქალაქ ხანჭოუს გარშემო 1276 წლის 5 თებერვალს ქალაქის დანებებით დასრულდა. სონგის იმპერატორი კი მონღოლებმა ტყვედ ჩაიგდეს, რომელიც მონღოლებთა იძულების გამო ტახტიდან გადადგა (8 : 245).

სონგის დინასტიის არმიის ნაწილი წინააღმდეგობის გაწევას მაინც აგრძელებდა. მათ იმპერიის უკიდურეს სამხრეთში სამი წლის განმავლობაში განაგრძეს ბრძოლა მონღოლთა წინააღმდეგ. საბოლოოდ კი 1279 წელს იამენის საზღვაო ბრძოლაში (崖门之战) სონგის ფლოტი დამარცხდა და მონღოლებმა ამით საბოლოო გამარჯვება მოიპოვეს. ყობილაი ყაენს 1271 წელს უკვე ჰქონდა ოფიციალურად დაარსებული იუენის დინასტია, ხოლო 1279 წელს იამენთან მოპოვებული გამარჯვებით ჩინეთი საბოლოოდ გააერთიანა.

ჩინეთის დაპყრობა მონღოლებისთვის ხანგრძლივ და მძიმე პროცესს წარმოადგენდა, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ტერიტორია ერთიანი იმპერიის ქვეშ არ იყო გაერთიანებული, მონღოლებს 70 წელზე მეტი დასჭირდათ საბოლოო გამარჯვების მისაღწევად. დამპყრობლები ყველგან დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ ჩინელების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ ძინისა და სონგის იმპერატორებს, მიუხედავად მრავალი მარცხისა, არანაირად არ სურდათ დიდი ყაენის სუვერენიტეტის აღიარება. განსაკუთრებით გაჭიანურდა სონგის იმპერიის დაპყრობა. ეს ერთის მხრივ, იმპერიის მიერ გაწეულმა მძლავრამ წინააღმდეგობამ, მეორეს მხრივ კი, მონღოლთა შორის არსებულმა ხშირმა დაპირისპირებებმა განაპირობეს.

*იუენის დინასტია 1294 წელს, ყუბილაის გარდაცვალებისას*

[11] ჭეძიანგის პროვინცია (浙江) - მდენარეობს ჩინეთის აღმოსავლეთ ნაწილში.

[12] ქალაქი ჩანგჭოუ (常州) - მდემარეობს სამხრეთ ჩინეთში, ძიანსუს პროვინციაში.

# „თემურიანობა საქართველოში“. ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის ბრძოლა თემურ ლენგთან.

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ მძიმე პერიოდად ითვლება XV-XVI საუკუნეები, როდესაც ჩვენი ქვეყნის გარშემო მთელი რიგი ძლიერი ისლამური სახელმწიფოები ცდილობენ ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონობის მოპოვებას. XIV ს-ის ბოლოს და XV-ის დასაწყისში საქართველოს სამეფოს დიდი ზარალი მიაყენა თემურ-ლენგის (1370-1405) ლაშქრობებმა, რომელიც ჩვენი ქვეყანის ისტორიაში „შავ პერიოდად“ იწოდება. თემურის საქართველოში ლაშქრობები 1386 წლიდან 1403 წლამდე გაგრძელდა. ადგილი ჰქონდა 8 შემოსევას. საქართველოს ორი ძლიერი მეფე, ბაგრატ V (1360-1393) და მისი ვაჟი გიორგი VII (1393-1407), ცდილობდნენ „ხეიბარ თემურისათვის[13] წინააღმდეგობის გაწევას.[14] „მტერმა გადათხარა საქართველოს მთა და ბარი, გაავერანა ბაღ-ვენახები, გადაბუგა და დაანგრია საუკეთესო ნაგებობები, გაჟლიტა მცხოვრებთა დიდი რაოდენობა. 700 სოფელი და ქალაქი მიწასთან იყო გასწორებული“. ივ. ჯავახიშვილი გადმოგვცემს, რომ თვით თემურ-ლენგის ისტორიკოსის თქმით, თემურს ინდოეთში არ დაუნგრევია იმდენი შენობა, რამდენიც საქართველოში.[15] ბაგრატი 1386 წლის შემოსევის დროს დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა თემურს. დატყვევებული მეფე ყარაბაღში გადაიყვანეს, სადაც „ხეიბარმა“ მას გამაჰმადიანება მოსთხოვა. რა თქმა უნდა, მეფე თავდაპირველად უარზე იყო, მაგრამ ტყვეობიდან განთავისუფლების ერთადერთი შანსი ისლამის მოჩვენებით მიღება იყო. მსგავსი სახით „გამუსლიმება“ საქართველოს ისტორიაში არაერთ მეფეს მოუწია. ბაგრატმა ამალითურთ ისლამი მიიღო.[16] თემურმა ბაგრატი გაანთავისუფლა და 12 ათასიანი მხედრობით საქართველოში გამოუშვა, რათა საქართველოს გაემუსლიმებინა. ბაგრატმა უფლისწულ გიორგის, თავის ვაჟს, შიკრიკი გაუგზავნა, ჯარის შეკრება და თემურ-ლენგის 12 ათასიან ლაშქარზე თავდასხმა დაავალა. ბატონიშვილმა კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მისიას, მამა გაანთავისუფლა და მაჰმადიანთა ჯარი დაამარცხა. მამა-შვილის ასეთი ქმედება დღესაც ისტორიკოსთა განხილვის საკითხია. ძირითადად, თავს იჩენს სამი ვერსია : 1. უკიდურესი პატრიოტიზმი, 2. რელიგიისადმი უსათუო თაყვანისცემა და 3. სუსტი დიპლომატია. ფაქტია, რომ ამ ქმედებას თემურ-ლენგი უპასუხოდ არ დატოვებდა. ეს უკანასკნელი 1387 წლის მარტში მეორედ შემოიჭრა საქართველოში და დაიწყო შურისძიება.[17] ბაგრატმა კარგად იცოდა, თუ რა შედეგს გამოიღებდა თემურის ღალატი და წინასწარ გახიზნა მოსახლეობა, ჯარი გაამზადა საომრად და ციხეები გაამაგრა.[18] ქართველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს, მაგრამ ამ უკანასკენლთა რიცხვობრივმა უპირატესობამ დიდი როლი ითამაშა ომის მსვლელობაში. ქართველები დამარცხდნენ და ციხეებს

---

[13] კოჭლობის გამო თემურს „ლენგი“ შეარქვეს, რაც სპარსულად (ლენგ / ლანგ) - კოჭლს / ხეიბარს ნიშნავს.

[14] ბერძენიშვილი, ნ., ჯავახიშვილი, ი., ჯანაშია, ს., - „საქართველოს ისტორია - უძველესი პერიოდიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. ნაწილი I“. ს. ჯანაშიას რედაქციით. გვ. 325-326.

[15] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები დაურთო ქრ. შარაშიძემ. თბილ. 1961. გვ. 146-147.

[16] აბაშიძე. ზ, ბახტაძე. მ, ჯანელიძე. ო - „საქართველო და ქართველები“. ზაზა აბაშიძის რედაქციით. თბ. 2020 (მესამე გამოცემა). გვ. 232-233.

[17] იქვე, გვ. 233.

[18] იქვე.

შეაფარეს თავი. „ხეიბარი“ 1394 წლამდე საქართველოში აღარ გამოჩენილა, რადგანაც ის გააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებდა ოქროს ურდოს გამგებლის - თოხთამიშის ( მმართველი - 1380-1395 წწ. გარდ. 1406 წ.) წინააღმდეგ და ირან-ერაყ-სირიის ტერიტორიაზე.[19]

შეიძლება ითქვას, რომ 1394 წლამდე საქართველოს ოქროს შუალედი ჰქონდა და ჭრილობებს იშუშებდა, მაგრამ თემურ-ლენგის 40 ათასიანი მხედრობა, რომელსაც, თავდაპირველად, მისი სარდლები მეთაურობდნენ, სამცხეში შემოვიდა. მოგვიანებით, თავად თემურის სარდლობით ქვემო ქართლში გადავიდნენ და არაგვის ხეობამდე მივიდნენ. ამ დროს საქართველოს უკვე ერთპიროვნულად გიორგი VII განაგებს. გათურქებული მონღოლის (თემურ-ლენგის) მხედრობა გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდა. საქართველოში მას დიდი წინააღმდეგობა გაუწეის, როგორც წინა ლაშქრობების დროს. 1395 წელს დარუბანდი გაიარა, ჩრდ. კავკასიას შეესია და მდ. თერგთან დაამარცხა თოხთამიში. ამ უკანასკნელის დამარცხების შემდეგ თემურმა აიღო ოქროს ურდოს დედაქალაქი სარაი-ბერქე, რის შემდეგაც დაბრუნდა ჩრდ. კავკასიაში და მთლიანად მოაოხრა და გაამუსლიმა მოსახლეობა, რა თქმა უნდა, ჩვეული სასტიკი მეთოდებით. 1397 წელს თემური კვლავ ინდოეთში ლაშქრობს. ამით ისარგებლეს ამიერკავკასიის გამგებლებმა და აჯანყება დაიწყეს. დახმარება მეფე გიორგის სთხოვეს. ამ უკანასკნელმა შეჰყარა ლაშქარი და ალინჯის ციხე აიღო, იქ მყოფი მეომრები კი ამოჟლიტა. ციხეში ქართული გარნიზონი ჩააყენა. იმავე წელს, ციხიდან უკან გაბრუნებულ გიორგის ბრძოლა გაუმართა მირან-შაჰმა (თემურ-ლენგის შვილი, იმ დროს ირანის გამგებელი), სადაც, აგრეთვე, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ისტორიამ გვაჩვენა, რომ სასტიკი თემურ-ლენგი აჯანყებებს უსისხლოდ არ ტოვებდა. ინდოეთში გამარჯვებული თემური სამარყანდში ძალებს იკრეფდა და 1399 წელს კვლავ გამოჩნდა საქართველოს საზღვრებთან და კახეთ-ჰერეთი დალაშქრა. გამარჯვებული დიდი ალაფით დედაქალაქ სამარყანდში გაბრუნდა.[20] 1400 წლის გაზაფხულზე მეექვსედ დაიძრა საქართველოსკენ. საზღვართან გაჩერდა და შიკრიკი აფრინა მეფე გიორგისთან, რომელსაც დამორჩილება სთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოოხრებას ჰპირდებოდა : „მე ვარ მეფე შენი და მოვედ ჩემდა და შემომირიგდი და მოგცემ საბოძვარსა მრავალსა და დიდად პატივ გცემ“; და უკუთუ არა მორჩილ მექმნები, უბრძანებ ლაშქართა ჩემთა და მოვაოხრებ სრულიად ქუეყანასა შენსა.[21] გიორგიმ მტკიცე უარი განუცხადა და „ხეიბარ თემურს მოახსენა“ : „მე მეფისა შენსა უმცირესი არა ვარ, და არცა ძალუც მოოხრება ქუეყანისა ჩემისა და ვინთაგან უთქუამს, უკუთუ არა აღასრულოს საქმე იგი, იყოსმცა დიაცი და არა კაცი“. აქ უკვე ნათლად ისახება მეფის თავდადება და სიმამაცე, მაგრამ ამ სიტყვების ავტორი

[19] იქვე

[20] იქვე. გვ, 234.

[21] იქვე.

ივიწყებს, თუ ვის ჰკადრებს „დიაცობას“ და „არა კაცობას“. თემურს შიკრიკმა მოახსენა გიორგი მეფის ნაბრძანები და ზემოთ აღნიშნული სიტყვების გაგონებაზე, იგი განრისხდა და მთელი მხედრობით საქართველოში შემოიჭრა. მნიშვნელოვანი ბრძოლა გოგჩის ტბასთან გაიმართა, სადაც ქართველებმა თემურის მოწინავე ფლანგები მთლიანად გაანადგურეს. ამ შემთხვევაში ქართველებს ბუნება მიეხმარა და ქარი მაჰმადიანთა წინააღმდეგ მიაპყრო, რომლებსაც თვალ-პირი ქვიშით ევსებოდათ და ბრძოლას მარდად ვერ ახერხებდნენ : „აყრიდა მტუერსა პირსა ლაშქარსა ლანგ თემურისასა“.[22] მიუხედავად ასეთი უპირატესობისა, ქართველები დამარცხდნენ. მეფე გიორგი უბრძოლველად არაფერს თმობდა, ხოლო, ამჯერად, თემურს უკვე გიორგის დატყვევება და დასჯა ჰქონდა ჩაფიქრებული, რომელსაც ფეხდაფეხ მისდევდა, მაგრამ ვერ დაიჭირა. 1401 წელს თემური მეშვიდედ შემოვიდა საქართველოში, მაგრამ ამჯერად გიორგის მასთან გასამკლავებელი ძალები არ ეყოფოდა და დაზავება არჩია. ეს გარემოება თემურსაც აწყობდა, რადგანაც დაგეგმილი ჰქონდა ოსმალეთში ლაშქრობა.

1402 წელს ოსმალებს ალყა კონსტანტინოპოლისთვის ჰქონდათ შემორტყმული და თემურის ანატოლიაში (მცირე აზია / დღევანდელი თურქეთი) ლაშქრობამ კონსტანტინოპოლი დაცემისგან იხსნა. ოსმალეთის სულთანმა ბაიაზიდ I „ილდირიმმა“[23] (1389-1402) ბიზანტიის დედაქალაქს ალყა მოხსნა და 28 ივლისს ანკარასთან (ანგორასთან) შეებრძოლა „ხეიბარ“ თემურს. ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა, ხოლო სულთანი ბაიაზიდი ტყვედ ჩავარდა და მალევე თავი მოიწამლა. დატყვევებული სულთანი თემურ ლენგს მიჰგვარეს, რომელმაც ბაიაზიდს დამცინავად მიმართა - : „დიდმა ალაჰმა, - თქვა მან -, ნახევარი მსოფლიო მიბოძა მე, კოჭლს და ნახევარიც შენ, ცალთვალას; კურთხეულ იყოს სახელი მისი“. სულთანმა დატყვევების სირცხვილს ვერ გაუძლო და თავი მოიწამლა.[24] გათურქებულმა მონღოლმა ბაიაზიდის შვილებს დაუნაწილა იმპერიის ტერიტორია და მათ შორის დიდი შუღლი ჩამოაგდო, რამაც ოსმალეთის გაძლიერების ტემპი საგრძნობლად დაასუსტა. 1403 წელს თემური უკანასკნელად შემოიჭრა საქართველოში და 3 აგვისტოს ბირთვისის ციხეს მიადგა და მის ალყას თავად მეთაურობდა. ბირთვისის აღება ძალიან რთული აღმოჩნდა (ის ერთ-ერთი მიუდგომელი ციხეა საქართველოს ციხე-სიმაგრეების სიაში). ის აღმართული იყო 75 მეტრიან მაღალ და ციცაბო კლდეზე და მის მთავარ კარიბჭესთან მისვლა ერთი დაკლაკნილი გზით იყო შესაძლებელი. იმდენად ძლიერი და კარგად გამაგრებული იყო, რომ თემურ-ლენგის ისტორიკოსი, ნეზამ ად-დინი შამი („ზაფარ-ნამეს“ / „გამარჯვების წიგნის“ ავტორი), რომელიც ესწრებოდა პროცესს,[25] მასზე წერდა, რომ „ქვეყნიერების მომვლელი მოგზაურები უფრო ძლიერსა და მიუვალ ციხეს ვერ ასახელებდნენ“.[26] 1403 წლის 12 აგვისტოს ბირთვისის ციხე დაეცა.[27] სექტემბრის თვეში თემური

[22] იქვე. გვ.235.

[23] თურქ - Yıldırım - ნიშნავს ,,მეხს“, „ელვას“. სულთან ბაიაზიდს ეს სახელი სისწრაფისა და მოქნილი მანევრების გამო შეარქვეს.

[24] სვანიძე, მ. თურქეთის ისტორია. 2007. გვ, 28-29.

[25] ნიზამ ად-დინ შამი - "ზაფარ-ნამე" ("გამარჯვების წიგნი") 1937 წ. პრაღის გამოცემა - გვ.280-281.

[26] აბაშიძე. ზ, ბახტაძე. მ, ჯანელიძე. ო - „საქართველო და ქართველები“. ზაზა აბაშიძის რედაქციით. თბ. 2020 (მესამე გამოცემა). გვ. 236.

[27] იქვე, გვ. 237.

დასავლეთ საქართველოში გადავიდა, მეფე გიორგის დატყვევების სურვილით განაგრძო გზად შემხვედრი ტერიტორიების აოხრება. მაგრამ ზამთრისა და დიდთოვლობის გამო ლაშქრობა ვეღარ განაგრძო და 12 დეკემბერს გიორგი VII-სთან ზავი გააფორმა, რომლითან ამ უკანასკნელს ხარკი უნდა გადაეხადა (როგორც 1401 წლის ზავის შეთანხმებაში). ეს იყო „ხეიბარ“ თემურის უკანასკნელი ლაშქრობა საქართველოში. 1405 წელს ის ჩინეთის დასაპყრობად გაემართა, მაგრამ 18 თებერვალს გარდაიცვალა.[28]



*გიორგი VII-ის ხელრთვა*

*ბირთვისის ციხე*

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი VII-ის ცხოვრება და მმართველობა მეტად მძიმე და ქაოსიანი აღმოჩნდა. მან დატოვა პატრიოტისა და ნამდვილი ქრისტიანი მეფის სახელი, რომელიც თემურ-ლენგის შემდეგ კიდევ იგერიებდა ახალ, მუსლიმ დამპყრობლებს - შავბატკნიანებს (აყ-ყოიუნლუ), რომლებთან ბრძოლაშიც გმირულად დაიღუპა (1407).

თემურ ლენგის რვა დამანგრეველი ლაშქრობის შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა ისეთი სახელწოდებები, როგორებიცაა : ნასახლარი, ნაქალაქარი, ნასოფლარი, ნავენახევი და ა.შ.

[28] იქვე, გვ. 238.

# იანიჩარები

ოსმალეთის შეიარაღებულმა ძალებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ამ ძლევამოსილი იმპერიის ჩამოყალიბებაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უზარმაზარ ტერიტორიებს განაგებდა. ოსმალეთის ჯარი იყო ის ერთ-ერთი ფუნდამენტური ძალა, რომელმაც განაპირობა იმპერიის მრავალსაუკუნოვანი განვითარება. ის ორი ძირითადი ნაწილისგან შედგებოდა, პირველი იყო ფეოდალური ლაშქარი, რომელიც მხოლოდ ომის დროს იკრიბებოდა და მეორე - მუდმივი ჯარი, რომელიც სულთნის კმაყოფაზე იმყოფებოდა. მათ ,,ქაფიკულულუს“ ანუ სულთნის კარის მონების ჯარს უწოდებდნენ. მის შემადგენლობაში რამდენიმე სახეობის ჯარი შედიოდა, მათ შორის იანიჩართა კორპუსიც (ასევე, თოფჩუები, სილაჰდარები, ჯებეჯიები და სხვ.).

იანიჩართა კორპუსი იყო ოსმალეთის იმპერიის რეგულარული, კარგად გაწრთვნილი ქვეითი ჯარი, რომელიც ჩამოყალიბდა სულთან მურად I-ის (1362-1389) დროს, 1361 წელს და არსებობდა XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე. თავდაპირველად, მას აკომპლექტებდნენ ტყვედ წაყვანილი ახალგაზრდებისგან, ხოლო შემდეგ ჩამოყალიბდა ,,დევშირმეს“ ინსტიტუტი და დაიწყეს დაპყრობილი ქვეყნებიდან ახალგაზრდების ძალდატანებით წამოყვანა. მათ შესაკრებად ორი გზა არსებობდა, პირველი, ყოველ ხუთ წელიწადში თურქი ჩინოვნიკები მიემგზავრებოდნენ ბალკანეთის პროვინციებში და სახლებიდან მოჰყავდათ 6-10 წლის ქრისტიანი ბიჭები, ხოლო მეორე გზა იყო უკვე მოტაცებული ბიჭების მოვაჭრეებისგან ყიდვა. მოზარდი ბიჭები მიჰყავდათ ცენტრალურ ანატოლიაში, სადაც ანაწილებდნენ სოფლებში, ოჯახებში, რათა მიეღოთ და შეესწავლათ ისლამური წეს-ჩვეულებები და აღზრდილიყვნენ თურქულ ტრადიციებზე. ისინი მკაცრი დისციპლინის ქვეშ გადიოდნენ შვიდწლიან მომზადებას, შემდეგ ახალგაზრდები მიჰყავდათ დედაქალაქში მათი ფიზიკური სიძლიერისა და უნარ-ჩვევების შესამოწმებლად. ამის შემდეგ კი მათ აბარებდნენ სხვადასხვა ქვეით ჯგუფებში, რომლებშიც გადიოდნენ ექვსწლიან სამხედრო წვრთნას. ამ დროის განმავლობაში სწავლობდნენ იარაღის გაკეთებას, იქნებოდა ეს ხმლის გამოწრთობა თუ მშვილდისა და მუშკეტების დამზადება. ყოველივე ამის შემდეგ ხდებოდნენ იანიჩარები ( ,, ახალი ჯარისკაცი“ ან ,,ახალი ჯარი“).

იანიჩართა კორპუსი შედგებოდა სამი ძირითადი ნაწილისგან: 1. აღა ბოლუქლერი - შედგებოდა 61 ორთასაგან (ასეული) და უშუალოდ იანიჩართა აღას განკარგულებაში იყვნენ. 2. ჯემაათ ორთალარი - შედგებოდა 101 ორთასგან და იყო ყველაზე ძველი სახეობა. 3. სეკბანები - მეჰმედ II (1444-1446 და 1451-1481) დროს შეიქმნა და 34 ორთასგან შედგებოდა. იანიჩარები ერთად ცხოვრობდნენ დიდ ყაზარმებში, იმ ქალაქებში, სადაც იყვნენ განაწილებული. მათ ეცვათ მხოლოდ აბჯარი და ჰქონდათ პატარა მრგვალი

ხმალი. რაც შეეხება იარაღს, იყენებდნენ მშვილდსა და თურქული იატანგანის ხმლებს, ხოლო, მოგვიანებით, მარტივად აითვისეს ცეცხლსასროლი იარაღიც სულთან მურად II-ის (1421-1444 და 1446-1451) დროს. მათ ეკრძალებოდათ ქორწინება, სანამ არ გადადგებოდნენ აქტიური მოვალეობის შესრულებიდან. თუ ბრძოლის ველზე არ იმყოფებოდნენ, მაშინ ციხე-სიმაგრეებისა და ქალაქების მცველებად მსახურობდნენ. იანიჩარები აღიქმებოდნენ სულთნის ყველაზე სანდო ჯარისკაცებად, მათ მიიღეს განსაკუთრებული პრივილეგიები და შეღავათები, ზოგიერთი მათგანი ვეზირადაც კი ინიშნებოდა.

იანიჩარები მნიშვნელოვან სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ ოსმალეთის იმპერიის გაფართოების პროცესში. გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი გახდნენ ოსმალეთის იმპერიის მეომარი ელიტა. იანიჩარები მონაწილეობდნენ იმპერიის ყველა მნიშვნელოვან ბრძოლაში, მათ შორის 1453 წელს კონსტანტინეპოლის აღებაში, ეგვიპტის მამლუქების დამარცხებაში, უნგრეთისა და ავსტრიის წინააღმდეგ ომში. ომიდან ისინი ყოველთვის იღებდნენ ნაძარცვის წილს, ხოლო მათი მთავარი მისია იყო სულთნის დაცვა.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში იანიჩარებმა გააცნობიერეს თავიანთი მნიშვნელობა და დიდი გავლენა და პრესტიჟი მოიპოვეს მმართველ ორგანოებში. მათ შეეძლოთ შეეცვალათ სულთნები სამხედრო გადატრიალებით და ხელი შეეშალათ ჯარის სტრუქტურის მოდერნიზაციის მცდელობისათვის. 1449 წელს იანიჩარები პირველად აჯანყდნენ და მოითხოვეს ხელფასების გაზრდა, რაც განხორციელდა კიდეც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ XVI-XVII საუკუნეებში იანიჩარები მხარს უჭერდნენ ვალიდე სულთნებს იმპერიაში ამბოხებების მოსაწყობად, არასასურველი სულთნის იძულებით შესაცვლელად და ა.შ. XVI საუკუნეში იანიჩარები უკვე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდნენ იმპერიის სტაბილურობისთვის. ისინი ძარცვავდნენ და ატერორებდნენ მოსახლეობას, მაგალითად, 1588 წელს სტამბოლის ხანძრის დროს ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად, ისინი ძარცვაში მონაწილეობდნენ. 1622 წელს სულთანმა ოსმან II-მ (1618–1622) იმპერიის კეთილდღეობისთვის გადაწყვიტა იანიჩართა კორპუსის დაშლა, მაგრამ იანიჩარებმა ახალგაზრდა სულთანი მოკლეს. XVII-XVIII საუკუნეებში მათი აჯანყებები კიდევ უფრო გახშირდა. ერთ-ერთი ასეთი აჯანყების დროს (1807 წელს) ისინი არათუ დაუპირისპირდნენ სულთან სელიმ III-ს (1789-1807) , რომელიც ჯარის მოდერნიზაციისთვის იღწვოდა, არამედ მოკლეს კიდეც ის. იანიჩარები ეწინააღმდეგებოდნენ ყველა სამხედრო

რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავდა მათი სტატუსის შელახვას. სელიმ III-ის მემკვიდრე სულთანი მაჰმუდ II (1808 – 1839) კომპრომისზე წავიდა და ხელი შეუწყო მათ ხელისუფლებაში დარჩენას, სინამდვილეში კი მათ წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდა და ძლიერ არმიას ქმნიდა. 1826 წლისთვის შეთქმულება უკვე მზად იყო, სულთანმა მათი მოკვლა ბრძანა, 6000 იანიჩარი სიკვდილით დასაჯეს, გადარჩენილები გადაასახლეს, ზოგი კი სულთნის არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოსმალეთმა ბალკანურ-კავკასიურ ქრისტიანულ ერებს გენოციდი მოუწყო. დატყვევებულ ქრისტიანებს კი მას შემდეგ, რაც მეომრებად აქცევდა, ხშირ შემთხვევაში კვლავ თანამემამულეთა წინააღმდეგ ომებში იყენებდა.

აღსანიშნავია, რომ იანიჩრები სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ დიდ თანამდებობებსაც იკავებდნენ, მათ შორის მრავალი ეთნიკურად ქართველიც იყო.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იანიჩართა კორპუსი წარმოადგენდა იმ მნიშვნელოვან ძალას, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ოსმალეთის ისტორიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.


რელიგია

# ზოროასტრიზმი

ზოროასტრიზმი სასანიდური ირანის ოფიციალური რელიგია იყო ძვ.წ. 600- ახ.წ. 650 წლამდე. ამ რელიგიამ დიდი როლი ითამაშა სასანიდური ირანის განვითარებაში. ზოროასტრიზმის მიმდევართა გეოგრაფიული არეალი ერთ დროს ანატოლიიდან სპარსეთის ყურემდე იყო გადაჭიმული და მათი რიცხვი მილიონებს შეადგენდა. მისი მიმდევრები დღეს სამხრეთ აზიაში, ირანსა და ამ ხალხთა უცხო ქვეყნების დიასპორაში მცირერიცხოვანია.

რელიგიის დასაბამს წინასწარმეტყველ ზარათუშტრას მიაკუთვნებენ, რომელსაც დასავლეთში იცნობენ მისი სახელის ბერძნული ვერსიით — ზოროასტრით. მისი სახელის ეტიმოლოგია საკამათოა და რამდენიმე განსხვავებული ახსნა არსებობს. თანამედროვე სპარსული ფორმით წინასწარმეტყველის სახელი არის ზართოშთი. ზარათუშტრას მიზნად დაუსახავს რეფორმა ძველი ინდო-ირანული რელიგიური პრაქტიკისა, რომელიც ძველი ინდოეთის ვედური რელიგიის პარალელურად ვითარდებოდა.

ზოროასტრიზმი მონოთეისტურ რელიგიას შეიძლება მიეკუთვნოს, თუმცა მას დუალისტური ბუნება აქვს, ექვსი არსების სერიით (ფუნქციითა და სტატუსით ანგელოზთა მსგავსად), რომლებიც აჰურა მაზდას (უზენაესი არსება) თანმხლები არიან და ქმნიან კეთილისმყოფელ შვიდეულს და მეორე ბოროტი და დესტრუქციული შვიდეულით. სწორედ ეს დაუსრულებელი კონფლიქტი ბოროტსა და კეთილს შორის განასხვავებს ზოროასტრიზმს სხვა მონოთეისტური მოძღვრებებისგან, რომელთაც მხოლოდ ერთი უზენაესი ძალა გააჩნიათ.

ზოროასტრელთა წმინდა წიგნია ავესტა. იგი სხვადასხვა დროს შემუშავებული ტექსტების კრებულს წარმოადგენს. მისი უძველესი ნაწილების შეთხზვას VII-VI საუკუნეებს მიაწერენ. ავესტა შექმნილია სხვადასხვა ეპოქის ირანულ ენებსა და დიალექტებზე. ამიტომ ავესტის ენას „ავესტურს“ უწოდებენ.

ავესტაში გადმოცემულია ზოროასტრული რელიგიის დოგმები, მას ზოროასტრულ ბიბლიასაც უწოდებენ ამის გამო. მისი უძველესი ნაწილია გათები, რომლის შექმნასაც ზარათუშტრას მიაწერენ. ავესტის ძირითადი ნაწილებია ასევე იასნა, იაშტი, ვენდიდანი და ხურდა ავესტა. ავესტაში ასახულია ირანული ტომების შორეული წარსული, მათი აზროვნებისა და ცხოვრების დონე.

ზოროასტრიზმის ისტორია ძვ.წ VIII-VII საუკუნეში იწყება. სწორედ ამ პერიოდში ჩაუყარა საფუძველი ზარათუშტრამ ახალ მონოთეისტურ რელიგიას. ახალმა რელიგიამ მარტივად შეძლო ირანის გეოგრაფიული საზღვრების დაძლევა და მეზობელ ქვეყნებში გავრცელება. რელიგიამ მარტივად მოახერხა ადამიანთა ნეოფიტურ გონებაში ჩაბეჭვდა და სულ უფრო დიდი ფართობი დაიპყრო. ზოროასტრიზმმა მოიცვა ინდოეთი, შუამდინარეთი, შუა აზია და კავკასია. ახალი რელიგიის გავრცელება მხოლოდ კულტის სიძლიერითა და ახალი ფილოსოფიური ხედვით არ აიხსნება. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ სპარსულ იმპერიას ამოძრავებდა დიდი მიზნები. მას სურდა რეგიონში წამყვანი ძალა გამხდარიყო და დაპყრობილ მიწებზე აქტიურად მიმდინარეობდა ახალი რელიგიის ქადაგება. გამონაკლისი არც კავკასია იყო. საქართველოში ზოროასტრიზმის გავრცელების შესახებ მრავალი ისტორიული წყარო გვამცნობს. ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, „შუშანიკის წამება“ ამის ერთ-ერთი მტკიცებულებაა. ჰაგიოგრაფიულ და არქეოლოგიურ მასალებთან ერთად

ქართულ წარმართულ ტრადიციებში მრავალი ელემენტი გვხვდება, რომელიც ზოროასტრიზმშიცაა. აგრეთვე, უნდა ვახსენოთ არქიტექტურული ძეგლები, რომლებშიც ჩანს ზოროასტრული არქიტექტურის გავლენა, მაგ: ხევსურეთში არსებული მიცვალებულთა სახლები და ნეკრესის ცეცხლის ტაძარი. არსებობს ვერსია, რომლის მიხედვითაც, ფარნავაზის მიერ აღმართული არმაზის კერპი ზოროასტრული აჰურამაზდას ნიშნებს შეიცავს. არმაზის კერპიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა ზოროასტრიზმის ცალკეული მიმდინარეობა, რომელმაც შეძლო ქართულ წარმართულ პანთეონთან ჰარმონიული თანაცხოვრება და გარკვეული ელემენტების გასხვისებაც. არსებობს ვარაუდი, რომ საქართველოში აქტიურად შემოდიოდა ზოროასტრული ლიტერატურა, სამწუხაროდ, ამის დამტკიცება დღეს უკვე შეუძლებელია, რადგანაც ზოროასტრული ლიტერატურის ნაწილი ირანშიც დაკარგულად ითვლება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოსა და ირანს შორის არსებობდა მჭიდრო კავშირები ეს მოსაზრება საკმაოდ რეალური იქნება. აგრეთვე, უნდა აღვნიშნოთ თბილისის ცეცხლის ტაძარიც, „ათეშგა“ (სპარსულად-ათეშგ-ცეცხლი). მისი აშენება IV-VI საუკუნეებით თარიღდება. თბილისის ათეშგას საკმაოდ მძიმე ხვედრი ერგო. მოგვიანებით, ის გადაკეთდა მეჩეთად. თბილისის ათეშგა საქართველოში არსებული ყველაზე კარგად შემონახული ზოროასტრული ძეგლია. უცხოელი მოგზაურები დეტალურად აღწერენ თბილისის ათეშგას და მარტივადაა შესამჩნევი ყველა ცვლილება. თითქმის 15 საუკუნოვანი პაუზის შემდეგ, 2019 წელს პირველად ჩატარდა ზოროასტრული რიტუალი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში არსებობდა ზოროასტრიზმის დიდი კერა, რომელიც ნელ-ნელა ქრისტიანობამ დაფარა. III საუკუნიდან ქრისტიანობა აქტიურად ვრცელდება მსოფლიოში და გამონაკლისი არც საქართველოა. სწორედ ქრისტიანობის გავრცელებამ ითამაშა დიდი როლი განმანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყებაში. ქრისტიანობა ქართველებისთვის არ წარმოადგენდა დამპყრობლის გავრცელებულ რელიგიურ კულტს. ვახტანგ გორგასლის მიერ წარმოებული განმანთავისუფლებელი ბრძოლა ზოროასტრიზმის წინააღმდეგაც იყო მიმართული. საქართველოს განთავისუფლებამ და ირანის პოზიციების დათმობამ საქართველოში ზოროასტრიზმის კულტის გაქრობა გამოიწვია. დროთა განმავლობაში ზოროასტრიზმის გავლენა მთელ მსოფლიოში შემცირდა. VII საუკუნეში ირანში არაბთა შემოსევამ და მათ მიერ ისლამის გავრცელებამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი ზოროასტრიზმს, როგორც ოფიციალური, სახელმწიფო რელიგიის არსებობას.

რა თქმა უნდა ირანელებისთვის რთული იყო საუკუნეების მანძილზე მათში ღრმად ფესვგადგმული რელიგიის ასე ერთბაშად უკუგდება და ახალი სარწმუნოების მიღება, ამიტომ, ძალიან ბევრი მათგანი მხოლოდ ფორმალურად, გარეგნულად გახდა მუსლიმი, ბევრი ირანიდან გადაიხვეწა, ბევრისთვის კი ერთგვარად მიმზიდველიც აღმოჩნდა ისლამი, რადგან თავდაპირველად ის არ იყო მკაცრ, სქოლატურ სისტემად ჩამოყალიბებული და ზოროასტრელთა ნაწილმა მასში ერთგვარი შვებაც კი ნახა.

დღეისთვის ზოროასტრელები რეალურ უმცირესობას წარმოადგენენ ირანში, მათი უმეტესობა თეირანში ცხოვრობს. გარდა ამისა, ბევრი მათგანი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს: ა.შ.შ-ში, ავსტრალიაში, შრილანკაში, ინდოეთში და პაკისტანში. მათი საერთო რაოდენობა 300 000-ს აღწევს.

# იუდაიზმი ხაზართა სახაკანოში

ევროპის ტერიტორიაზე IV საუკუნიდან გამოჩენა დაიწყეს ჰუნებმა. ეს თურქულ-მონღოლოიდური წარმოშობის ხალხი ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის სტეპებიდან დაიძრა დასავლეთის მიმართულებით და გერმანიასა და კასპიის ზღვას შორის მოქცეულ ტერიტორიაზე დასახლდა. ჰუნების გამორჩეული ბელადის, ატილას სიკვდილის შემდეგ ეს სახელმწიფო წვრილ ერთეულებად დაიშალა და სწორედ ამ ფაქტორებთან არის დაკავშირებული ხაზართა სახაკანოს წარმოქმნა.

ხაზართა სახაკანო დაახლოებით 650 წელს შეიქმნა და იარსება 969 წლამდე. მათ საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს ისეთ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, როგორებიც იყვნენ: სასანიანთა ირანი, ბიზანტია, უმაიანთა და აბასიანთა სახალიფოები.

სახაკანოში მმართველობის დუალური სისტემა იყო. უმცირეს მეფეს ერქვა შადი და მას ევალებოდა სამხედრო კამპანიების წარმოება. უპირატეს მეფეს ეწოდებოდა ხაკანი, იგი საკრალური და ხელშეუხებელი იყო.

ხაზარები წარმართები იყვნენ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ სხვა აღმსარებლობის ხალხს დევნიდნენ. ეს ფაქტი დასტურდება იოანე საბანისძის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში ,,წამება წმინდა მოწამე აბოსი“, სადაც ვხედავთ, რომ წარმოშობით არაბი აბო სწორედ ხაზართა სახაკანოში ხდება ქრისტიანი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხაზარები და ბიზანტიელები ხშირ შემთხვევაში მოკავშირეებად გვევლინებიან ახლო აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ.

XX საუკუნის პირველ ნახევარში, გაჩნდა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ხაზარებმა იუდაიზმი მიიღეს VIII საუკუნეში. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით, მრავალი აზრი გამოითქვა. აღსანიშნავია, რომ დღეს აღმოსავლეთ ევროპაში მცხოვრები კარაიმების წინაპრებად მეცნიერთა ნაწილი სწორედ ხაზარებს მიიჩნევს. (კარაიზმი იუდაიზმის განშტოებაა და მათ ხშირად იუდეველ პროტესტანტებსაც უწოდებენ.)

XII საუკუნეში არაბულ ესპანეთში მოღვაწეობდა გამოჩენილი პოეტი და ფილოსოფოსი იუდა ჰალევი, რომელმაც დაწერა ფილოსოფიური თხზულება ქუზარი (ხაზარი). ჰალევი თხზულებაში ამბობს, რომ ხაზართა ხაკანს სამჯერ დაესიზმრა ანგელოზი, რომელიც მას ესაუბრებოდა და სთხოვდა რწმენის შეცვლას. ხაკანმა გადაწყვიტა შეხვედროდა მუსლიმ, ქრისტიან და იუდეველ სწავლულებს და მათთან საუბრის შემდეგ გადაწყვიტა, გამხდარიყო იუდეველი.

ხაზართა იუდაიზმზე მოქცევაზე ჯერ კიდევ X საუკუნეში დაწერეს ირანელმა მოგზაურებმა: აჰმად იბნ რუსტაჰმა და იბნ ალ ფაქიჰმა. ორივე მათგანმა იმოგზაურა რუსეთის სტეპებზე, ნოვგოროდამდე მიაღწიეს და მათ ამ ადგილებამდე მისაღწევად მოუწევდათ სახაკანოს ტერიტორიაზე გადაადგილებაც, შესაბამისად ჰქონდათ ქვეყნის შიგნით არსებულ ვითარებაზე ინფორმაცია.

იაკობ კირკისანი, (კარაიმი ისტორიკოსი X საუკუნეში) ქითაბ არ-რიად ვაჰადაიკ-ში (ბაღების წიგნში) წერს, რომ ხაზარებმა იუდაიზმი მიიღეს მორდეხაის, იშთარისა და ახაშვეროშის დროს. მოგვიანებით, ხაზარებს უწოდებდნენ განდევნილ იუდეველებს. შუა საუკუნეების კარაიმ ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ნამდვილი იუდეველები მხოლოდ ისინი არიან, რომლებმაც ძვ.წ. 587 წლამდე მიიღეს იუდაიზმი.

ალ-მასუდიმ (X ს), რომელიც არაბულის ისტორიის ჰეროდოტედ არის მიჩნეული, აღწერა კავკასიის ხალხები. სახაკანოს მოსახლეობაზე საუბრისას ის აღნიშნავს, რომ იქ ცხოვრობენ მუსლიმები, ქრისტიანები, იუდეველები და წარმართები. ხაკანი და მისი გარემოცვა, აგრეთვე სხვადასხვა ტომის ბელადები არიან იუდეველები. იგი სახაკანოს მმართველი ფენის იუდაიზმზე მოქცევის თარიღად ასახელებს ჰარუნ არ-რაშიდის მმართველობის პერიოდს, ანუ 786-814 წლებს.

აბუ უბაიდ ალ-ბაქრი, ესპანეთში მოღვარე არაბი ისტორიკოსი (XI ს) აღწერს საკმაოდ საინტერესო სცენას. ხაზართა ხაკანს ჯერ ქრისტიანობა მიუღია, შემდეგ კი მიხვდა, რომ ეს არ იყო ის რელიგია, რომლისთვისაც იგი შექმნილი იყო და მოიხმო რელიგიური სწავლულები. მუსლიმებსა და იუდეველებს შორის, პირველნი უფრო მომზადებულნი აღმოჩნდნენ და ხაკანიც დაარწმუნეს ისლამის უპირატესობაში, მაგრამ ებრაელმა დაიქირავა მკვლელები, მოიშორა მუსლიმები და ხაკანიც დააჯერა იუდაიზმის ჭეშმარიტებაში.

იბნ აბასი (მუჰამადის ბიძაშვილი) აღწერს ისტორიას, სადაც ხაზარებმა გაარკვიეს, რომ ისინი იყვნენ იაფეტის, მოსეს ძის, შთამომავლები. მათ ამის გამო, თავიანთი თავი ებრაელებად გამოაცხადეს და იუდაიზმი მიიღეს.

როგორც ვხედავთ, მუსლიმი მოგზაურები და ისტორიკოსები საკმაოდ მრავალფეროვან ცნობებს გვაწვდიან ხაზარებზე. თუმცა ისინი ხაზარებს ასევე მოიხსენიებდნენ ბარბაროსებად და დაუნდობელ ხალხად. ამავე პერიოდში, სიტყვა ებრაელი გამოიყენება სალანძღავად. სწორედ ამას უსვამს ხაზს ებრაელი ისტორიკოსი მოშე გილი. იგი თავის მოსაზრებას ასაბუთებს ბულგარი ხანის შეურაცხმყოფელი მიმართვით ხაკანისადმი, სადაც მას ებრაელად მოიხსენიებს.

გვიან შუა საუკუნეებში ეს საკითხი პრაქტიკულად არ განიხილებოდა. ხაზართა შორის იუდაიზმის გავრცელების თემა აქტუალური მეოცე საუკუნეში გახდა. 1932 წელს აჰათანელ კრიმსკის შეაჯამა ებრაული ნაშრომები და გამოსცა პირველი წიგნი ამ საკითხთან დაკავშირებით, რასაც მოჰყვა 1954 წელს გამოცემული დუგლას მორტონ დუნლოფის ,,იუდაისტი ხაზარების ისტორია“. ეს ისტორიკოსები ძირითადად ეყრდნობოდნენ ნუმიზმატიკურ წარწერებსა და შუა საუკუნეების წყაროებს. რაც შეეხებათ არქეოლოგებს, მათ ვერ აღმოაჩინეს რაიმე სიმბოლო, რომელიც დაამტკიცებდა იმ დებულებას, რომ თითქოს იუდაიზმი მართლაც გავრცელდა სახაკანოში. ამას ემატება კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ნიკოლასის წერილი (დათარიღებული 914 წლით). პატრიარქი ახსენებს ხაზარებს, მაგრამ მათ რელიგიურ შეხედულებებს ხაზს არ უსვამს. შოლ სტამპფერი წყაროებიდან გამომდინარე ასკვნის, რომ ხაზარები წარმართები იყვნენ და იუდაიზმი არ მიუღიათ.

735 წელს მურვან იბნ მუჰამადმა 120000-იანი არმია დაძრა ხაზართა წინააღმდეგ. მისი მიზანი ხაზართა დამორჩილება და მათი ტერიტორიის ანექსია იყო, თუმცა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. მართალია, ხაზარებმა სახალიფოს უპირატესობა აღიარეს, მაგრამ ყველაფერი სწორედ ამით დამთავრდა. მურვანს ზამთარმა მოუსწრო, ამას დაემატა ხაზართა მოულოდნელი თავდასხმები და არაბთა არმიის დიდი ნაწილი განადგურდა.

ხაზარების ისტორიიდან ამ მოვლენების შემდეგ ცნობები საგრძნობლად იკლებს, რაც გამოწვეულია შემდეგი ფაქტებით: ბიზანტიის იმპერიამ გაწყვიტა სახაკანოსთან კავშირი, უმაიანი ხალიფები შეცვალეს აბასიანებმა, გაძლიერება დაიწყო

კიევის რუსეთმა, რომელმაც დაიწყო ხაზართა სახაკანოს ტერიტორიის ანექსია.

IX საუკუნეში რუსეთის ტერიტორიაზე ვიკინგების ლაშქრობების შედეგად უზარმაზარი ტერიტორია აღმოჩნდა სკანდინავიური დინასტიის რიურიკების ხელში, რომლებმაც დააარსეს კიევის რუსეთი. ამ სამეფომ დაიწყო საკუთარი ტერიტორიის გაფართოება მეზობლების ხარჯზე, რასაც მოგვიანებით ხაზართა სახაკანოც ემსხვერპლა. X საუკუნის მეორე ნახევრიდან კიევის რუსეთის მთავარმა სვიატოსლავ I-მა (942-973) დაიკავა სარკელისა და თამათარხას ციხე-სიმაგრეები, რამაც სახაკანოს ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა. 969 წელს რუსებმა ხაზარების დედაქალაქი ატილი დაიკავეს, რასაც მოჰყვა მათი სახელმწიფოს განადგურება. XII საუკუნიდან სახაკანოს ტერიტორიაზე ყივჩაყებმა შექმნეს სახელმწიფო და ჩაანაცვლეს ისინი.

ჩვენთვის საკმაოდ რთულია რომელიმე მოსაზრებას მივემხროთ, მაგრამ ფაქტია, რომ სახაკანოს ტერიტორიაზე ებრაელები ცხოვრობდნენ და შესაძლოა, მათ გამოუჩნდნენ კიდეც მხარდამჭერები. არცერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის ნახსენები, რომ ხაზარები იუდეველები გახდნენ და თანაც ამ მნიშვნელობის მოვლენა კონსტანტინოპოლის პატრიარქს არ გამორჩებოდა. ფაქტი ფაქტად რჩება, აღმოსავლეთ ევროპაში დღესაც ცხოვრობენ იუდეველები და ,,პროტესტანტი“ იუდეველები, რომელთა ვინაობის დადგენა საკმაოდ რთულია. არქეოლოგიური გათხრები არ გვაძლევს საფუძველს, დავამტკიცოთ ეს საკითხი. ხაზართა სახაკანოს განადგურების შემდეგ კი რუსეთის სტეპებზე ყივჩაყები ქმნიან სახელმწიფოს, რომლებიც წარმართები იყვნენ და ახალი სახლის ძველი მეპატრონეების ისტორია დიდად არ აინტერესებდათ, შესაბამისად ეს თეორია საკმაოდ ბუნდოვანია.

# კულტურა

# სამი მთავარი დღესასწაული სამხრეთ კორეაში

კულტურა ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სიტყვაა როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე ყოფით მეტყველებაში. მას მრავალი მნიშვნელობა აქვს, რაც თვით კულტურის ფენომენის სირთულითა და მრავალფეროვნებითაა განპირობებული. ყველა ქვეყანას აქვს საკუთარი კულტურა, რაც უნიკალურია და უცხოელების დიდ ინტერესს იწვევს. ასეთივე უნიკალური და მრავალფეროვანია სამხრეთ კორეის კულტურა და ტრადიციები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამი მთავარი დღესასწაული, რომელიც აღინიშნება სამხრეთ კორეაში.

პირველი ეს არის სეოლალი იგივე კორეული მთვარის ახალი წელი, იგი აღინიშნება მთვარის კალენდრის პირველ დღეს და გრძელდება 3 დღის განმავლობაში. ამ დროს კორეელების უმეტესობა მიდის მშობლიურ სახლში, რათა მშობლებთან ან ნათესავებთან ერთად შეხვდეს ახალ წელს, ამაში სამსახურიც ეხმარებათ და ანაზღაურებად შვებულებაში უშვებენ, უმეტესი ბიზნეს ცენტრები კი იხურება. ამ დღესასწაულზე აუცილებელია ოჯახის წევრებისთვის საჩუქრების ჩუქება, ამ საჩუქრებში კი ხშირად შედის ახალი ხილი, ჟენშენი, თაფლი, საჩუქრის კალათები (ტუნასთან, სპამთან, ტრადიციულ ტკბილეულთან, ხმელ თევზთან ერთად), ასევე ნაღდი ფულიც. ზეიმის პირველი დღე იწყება ე.წ ჩარიით, ეს არის მემორიალური ,,რიტუალი", რომლის დროსაც კორეელები ლოცულობენ წინაპრების საიქიო სიმშვიდისთვის და მათგან დალოცვას იღებენ. კორეელები ამ დროს იცვამენ ჰანბოკს (ტრადიციული კაბა). რიტუალის კერძები რეგიონების მიხედვით

განსხვავებულია, თუმცა მათ მაინც აერთიანებთ რამდენიმე კერძი, კერძოდ, ბრინჯის ნამცხვრის სუპი, ზღვის პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი და ლიქიორი. რიტუალის დასასრულს ისინი რიტუალურ საკვებს სახელად ეუმბოკს უზიარებენ ერთმანეთს, ეს მათ წინაპრების იმედებსა და სათნოებას გადასცემს ყველას, ვინც მონაწილეობს რიტუალში. ასევე ამ დღესასწაულზე ბავშვები ან ახალგაზრდები ისვრიან მშვილდებს, რის სანაცვლოდაც უფროსი ოჯახის წევრისგან ფულს იღებენ, ე.წ სებაეს, მშვილდი განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ ვინ ისვრის, გოგო თუ ბიჭი. ასევე დიდი დრო ეთმობა ოჯახის წევრებთან ერთად ხალხურ თამაშებს, ყველაზე გამორჩეულია იუტ-ნორი, რომელიც ოთხი ხის ჯოხის, ნიშნებისა და სათამაშო დაფის გამოყენებით ხდება. სეოლალის უმნიშვნელოვანესი ნაწილია საკვები. საახალწლო სუფრა რამდენიმე კერძისაგან შედგება, აქედან რამდენიმე კერძი უცვლელი და აუცილებელია საახალწლო სუფრაზე. მათ შორისაა დუკგუკის, ეს სიმბოლოა იმის, რომ ადამიანი ერთი წლით იზრდება, ასევე ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლეც მოაქვს. ხშირად საახალწლო სუფრაზე გაიჟღერებს კითხვა, რამდენი დუკგუკის თასი გიჭამიაო, რაც ასოცირდება იმასთან, თუ რამდენი წლის ხარ.

მეორე დღესასწაული ეს არის დანო (გაზაფხულის ფესტივალი), რომელიც ასევე მნიშვნელოვანია კორეაში. მისი ფესვები მაჰანის კონფედერაციის (კორეის სახელმწიფოების კონფედერაცია, რომელიც არსებობდა 2000 წელზე მეტი ხნის წინ) დროიდან მოდის.მიიჩნევა რომ დანო დახვეწილი, შამანისტური რიტუალი იყო, რომელიც შესრულდა ცის ღვთაებისთვის, თესვის სეზონის დასრულების დღესასწაულზე. ისტორიკოსები თვლიან, რომ ეს პრაქტიკა შემოვიდა სილას დინასტიაში ძვ.წ 57

წლიდან. დანოს დღესასწაული ასოცირდება პოზიტიურ ენერგიასთან, სილამაზესა და სინათლესთან. ამ დროს ხალხი ახალი ტანსაცმლით იმოსება, რომელიც ძირითადად ლურჯ და წითელ ფერებშია გაწყობილი. ქალები თმაში იმაგრებენ ანჟელიკის ყვავილებს, მათ სწამთ რომ ამ არომატულ სურნელს შეუძლია ბოროტებასთან ბრძოლა. დანოს ფესტივალზე ცოცხლდება მრავალი უძველესი ტრადიცია, დაწყებული წმინდა რიტუალებიდან, დამთავრებული სულიერი ცეკვებით, საჭმელებითა და სპორტით. სირეუმი, იგივე კორეული ტრადიციული ჭიდაობა, განუყოფელი ნაწილია დანოს ფესტივალისა. ამ დღეს ტრადიციული საჭმელი არის ტეოკი ან ბრინჯის ნამცხვარი, რომელიც არის მწვანე და ვიზუალურად ბორბალს ჰგავს. მოსახლეობა ცეკვავს, მღერის, ატარებს ტრადიციულ ნიღბებს. ადრეულ პერიოდში გლეხები ასევე კითხულობდნენ სატირულ ლექსებს, რომლითაც არისტოკრატიას დასცინოდნენ. დანოსთვის დამახასიათებელია ქვეყნის ყველა კუთხიდან მოსახლეობის შეკრება, რომლებიც სხვადასხვა შეჯიბრებებში იღებენ მონაწილეობას, ეს კი უდიდესი მნიშვნელობისაა, რადგან ინახავს წარსულის მდიდარ ტრადიციებს.

მესამე უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია ჩუსეოკი, იგივე კორეული მადლიერების დღე. იგი კორეის წარსულიდან იღებს სათავეს და გლეხებთან ასოცირდება, რადგან ეს არის მადლიერება წინაპრების მიმართ, ვინაიდანაც მათი დამსახურებაა უხვი მოსავალი. ის ძირითადად აღინიშნება 15 აგვისტოს, როდესაც სავსე, ანუ მოსავლის მთვარე გამოჩნდა და ოჯახები შეიკრიბნენ, რათა ემხიარულათ და მადლობა ეთქვათ წინაპრებისთვის. ასევე, ამ დღეს ქალები ამზადებდნენ საგვარეულო მემორიალურ ცერემონიალს, სუფრაზე უნდა იყოს ბრინჯი და ხილი. ისინი მიირთმევენ სპეციალურ საკვებს, რომელსაც სონგპეონი ეწოდება და ბრინჯის ნამცხვრის ნაირსახეობას წარმოადგენს. იგი წვრილად დაფქული ახალი ბრინჯისა და ცომისგან კეთდება, რომლისგანაც მრგვალი ფორმები იჭრება და ავსებენ სეზამის მარცვლებით, წაბლით, წითელი ლობიოთი ან სხვა მსგავსი მარცვლეულით. შემდეგ მას აწყობენ ფიჭვის ღერებზე, რადგან ორთქლდება და სახლს ავსებს შემოდგომის ახალი სურნელით. ჩუსეოკის წინა დღეს ოჯახის წევრები იკრიბებიან სიმღერების შესაქმნელად, რაც ასახავს ოჯახის მნიშვნელობას კორეულ საზოგადოებაში. ამ დღეს ისინი ერთმანეთს ჩუქნიან საჩუქრებს, არა მხოლოდ ოჯახის წევრებს, არამედ მეგობრებს და თანამშრომლებსაც, რაც შეეხება საჩუქარს, შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო და ყოველდღიური ნივთები. ეს ყველაფერი კი მადლიერების გამოსახატავად საუკეთესო საშუალებაა.

ამ დღესასწაულების და ტრადიციების გარდა კორეა სხვა, კიდევ უფრო მრავალფეროვანი კულტურით გამოირჩევა, განსაკუთრებით იმათთვის, ვისთვისაც აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურა უცხოა, ამიტომ ტურისტებისთვის ძალზედ საინტერესო იქნებოდა ამ ყველაფერში მონაწილეობის მიღება.

# არაბული სამზარეულო

აღმოსავლური კულინარია, რომელიც მოიცავს ბევრი ქვეყნის სამზარეულოს და ვრცელდება საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, ცნობილია თვისი მრავალფეროვნებითა და უძველესი რეცეპტებით. ამ დიდი კულინარიული წრიდან მინდა, გამოვყო არაბული სამზრეულო თავისი ნაირფერი კერძებით, რომლებიც ხასიათდება განუმეორებელი გემოთი და არომატებით.

არაბული სამზარეულო - ეს არის ფენომენი, რომელიც ვრცელდება მთელ არაბულ სამყაროში, აზია-აფრიკის კონტინეტებზე და განპირობებულია საერთო რელიგიითა და კულტურით. ის ჩამოყალიბდა რეგიონის მკვიდრთა რელიგიური რწმენის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობის მენიუში არ არის ღორის ხორცით მომზადებული კერძები. ამის ნაცვლად, იყენებენ ძროხის, ცხვრის და ფრინველის ხორცს - შემწვარი, მოხარშული, ჩაშუშული ან გამომცხვარი ღუმელში. ისლამი გავლენას ახდენს კვების რეჟიმზეც, ჭამისა და სტუმრების გამასპინძლების მანერაზე და მრავალი სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყანას აქვს თავისი განსაზღვრული ადათ-წესები და განსხვავებული სამზარეულო, ზოგიერთი კერძი მომზადებულია იდენტურად, განსხვავდება მხოლოდ სახელით, მაგალითად - სირიულ სამზარეულოში ერაყის დელიკატურას "კუზი" ჰქვია, მაგრამ მაღბრის ქალაქებში ამ პროდუქტს "კუსკუსს" უწოდებენ.

არაბი ბედუინების ძირითადი საკვები პროდუქტები იყო ფინიკი, პური, რძე (თხისა და აქლემის), ამ რძისაგან გაკეთებული იოგურტი და ნაღები. ხორცს გამოიყენებდნენ ძალზე იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებული დღესასწაულების დროს (ქორწილი, ბავშვის დაბადებადა ა. შ). ასეთი შემთხვევების დროს წვავდნენ მთლიან თხას ან ცხვარს სუნელებითა და ნუშით და სუფრაზე მიჰქონდათ ბრინჯთან ერთად.

სხვადასხვა არაბული ქვეყნების სამზარეულოს, მიუხედავად განსხვავებისა, გააჩნიათ ბევრი საერთოც. კერძოდ, ფართოდ გამოიყენება ცხვრის, თხის, ხბოს ხორცი, პარკოსნები, ხილი და ბოსტნეული-როგორც ახალი, ასევე გამხმარი. თევზისგან, კვერცხისაგან, მჟავე რძის პროდუქტებისაგან დამზადებულ კერძებს ცალკე ადგილი უჭირავს. არაბული სამზარეულო წარმოუდგენელია სანელებლების გარეშე - ხახვი, ნიორი, დარიჩინი, წითელი და შავი პილპილი, სურნელოვანი ბალახები, ზეთისხილი აქ ფართოდ გამოიყენება. უმეტეს შემთხვევაში, გამოიყენებენ ზეითუნის ზეთს, მაგრამ ხორციანი კერძების მოსამზადებლად ცხიმს ძალზე იშვიათად ხმარობენ. ხორცი იწვება 300 გრადუსამდე გახურებულ ფართო ტაფაზე, სიმხურვალისაგან ხორცზე წარმოიქმნება კანი, რომლის შიგნით ხორცი ნაზი და წვნიანი რჩება. არაბები დილით საუზმობენ საკმოდ მსუყედ და საღამოს უკვე ძალიან გვიან ვახშმობენ, აგრეთვე ნოყიერი საჭმლით.

ყველაზე პოპულარული პირველი თავი კერძი ხშირ შემთვევაში არის ხორცის სუპი ლობიოთი - ბრინჯით, მწვანე ლობიოთი და ბარდით. ბულიონის მოხარშვამდე ხორცს წვავენ ცხიმის გარეშე, შემდეგ ამატებენ ცივ წყალს და ხარშავენ მზადყოფნამდე, ხოლო ბოსტნეულს ამატებენ უკვე მზა გაწურულ ბულიონში. მეორე თავი კერძი ესაა ხორცი ან ფრინველი- მოშუშული ან შემწვარი, ფლავი მრავალნაირი. ხორცის კერძებს ამატებენ ქიშმიშს, ლეღვს, ნუშს, სუნელებს, წიწაკას შავსა და წითელს. მაგალითად, იემენელებში განსაკუთრებით პოპულარულია შემწვარი ახალგაზრდა ცხვარი, ფარშირებული ბრინჯით,

ქიშმიშით, ნუშით და სანელებლებით. ერაყელების საყვარელი საჭმელია ბრინჯისა და ცხვრის ხორცის ფლავი, რომელსაც დამატებული აქვს ქიშმიში, ლეღვი და ნუში. სირიასა და ლიბანში ტრადიციულ კერძად ითვლება კუბბა-შემწვარი და მოხარშული ბურთულები ცხვრის, ხბოს, ფრინველის ხორცისაგან. საუზმეულად გამოიყენება სხვადასხვა ახალი და დამწნილებული ბოსტნეული: ზეთისხილი, პომიდორი, წიწაკა და სხვა; აგრეთვე საზამთროს კაკლები, ფინიკი, თხილი და ნიგოზი. ტრადიციული სოუსები არაბულ სამზარეულოში შეიძლება იყოს როგორც ცხარე, არც ისე ძალიან. ცნობილია ჰელბას სოუსი, რომელიც დამზადებულია მდოგვის, წითელი წიწაკისა და არომატული სანელებლებისგან. ასევე, ადგილობრივი მოსახლეობა ამ პროდუქტის მოსამზადებლად იყენებენ ბოსტნეულს.

ბევრ არაბულ ქვეყანაში გავრცელებული კერძია სიმინდის ფაფა, რომელიც სუფრაზე მიაქვთ რძის მჟავე პროდუქტებთან ერთად, ან წვრილად დაკეპილ ხორცთან ერთად. ტკბილი კერძებიდან განსაკუთრებით ცნობილია ბაქლავა, ჰალვა და ცუკატები (სიროფში მოხარშული გამხმარი ხილი).

ყავა - ტრადიციული არაბული სასმელია, მისი მომზადების პროცესი წარმოადგენს საკმაოდ რთულ პროცედურას. საუდის არაბეთში, მაგალითად, ყავას ამზადებენ შემდეგნაირად: თავიდან ხალავენ მარცვლებს, გამუდმებით ურევენ ამ დროს ლითონის კოვზით, შემდეგ ყავას ხელით ნაყავენ როდინში. ყავის მოსახარშად გამოიყენებენ სპილენძის ან ლატუნის განსაკუთრებულ ჭურჭელს, რომელიც ჩაიდანს წააგაავს. ყავის მირთმევა სტუმრებისათვის მთელ ცერემონიალს მოიცავს: მზა ყავას მიართმევენ სტუმრებს სპეციალური ფინჯნებით, ამასთანავე იცავენ უფროს-უმცროსობის წესს. პატივსაცემ სტუმარს ყავას სამჯერ მიართმევენ, ამის შემდეგ ის ვალდებულია უკვე თავაზიანად თქვას უარი. ყავას, როგორც წესი, სვამენ შაქრის გარეშე. საუდის არაბეთში მასში ამატებენ მიხაკს და ილს, ერაყში - შაფრანს და ჯაოზის კაკალს. იემენური ყავა ყველაზე ცნობილი და პოპულარულია მთელ მსოფლიოში, ამ დროს, იქ ყავას კი არ სვამენ, არამედ მისი კანის ნახარშს. გემოთი ეს სასმელი წააგავს ყავაში შერეულ ჩაის. ნაყენს ხარშავენ თიხის ჭურჭელში და უმატებენ სანელებლებს.ადგილობრივ მაცხოვრებლებს ასევე მოსწონთ მწვანე ჩაის დალევა, ხორცის კერძების ჭამის შემდეგ. ასევე უგემრიელესი ხილის წვენები, რომლებიც ძალიან პოპულარულია ზაფხულში გასაგრილებლად.

ყველაზე ცნობილია სირია-ლიბანის სამზარეულო. ის ჩვენთანაც ფართოდაა გავრცელებული შაურმის სახით - ესაა ლავაშში გახვეული შამფურზე შემწვარი ხორცი. თუმცა ის, რაც ჩვენთან მზადდება და შაურმას ვეძახით, ხშირ შემთხვევებში ძალიან შორსაა ლიბანური ორიგინალისაგან. თუ გინდათ, ნამდვილი შაურმა გასინჯოთ, სირიას ან ლიბანს უნდა ესტუმროთ.

მაღრიბულ სამზარეულოს ძირითადად ახასიათებს ზღვის პროდუტები. თითქმის ყველა კერძს უმატებს არომატული სანელებლები, როგორიცაა ზაფრანა, კარავაის თესლი, დარიჩინი, შავი წითელი წიწაკა და ასევე ჯანჯაფილი. საუდის არაბული სამზარეულოს ბევრ რეცეპტში ნაყოფიერი ხილი გვხვდება, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია - ფინიკი. ის ძალიან სასარგებლოა საჭმლის მომნელებელი სისტემისთვის, ამიტომ მათ დღეში რამდენჯერმე ჭამენ.

არაბეთში არსებობს ასეთი გამოთქმა: "ვისაც კუჭი სავსე აქვს, ის ყოველთვის კარგ ხასიათზეა." ასე რომ, არაბები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გემრიელად ჭამას და სტუმრის პატივისცემაც არ ეშლებათ.

# ხელოვნება



# არაბული კალიგრაფია თანამედროვე ხელოვნებაში

როდესაც ჩვენ საუბარს ვიწყებთ არაბულ კულტურაზე, შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს არაბული კალიგრაფია. მისი სხვადასხვა სტილი საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა, რომლებიც ინდივიდუალური ფორმებითა და ხასიათით გამოირჩეოდა. თანდათანობით, ორნამენტული წარწერები მეჩეთების კედლების, ყურანის ხელნაწერების, მონეტებისა და ოფიციალური ხელშეკრულებების შემდეგ, ყოველდღიურ ნივთებზეც გაჩნდა. დღეს საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს კალიგრაფიის ხელოვნება, ბევრი ცდილობს დაეუფლოს არაბული დამწერლობის სხვადასხვა სტილს და მისი მეშვეობით შედევრები შექმნას.

ისლამური კულტურის შტრიხების თანამედროვე ხელოვნების ელემენტებთან შერწყმით შეიქმნა კალიგრაფიტი- კალიგრაფიისა და გრაფიტის უნიკალური კომპოზიცია. მისი ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია ინკმანი (ნამდვილი სახელი-Mohamed Kilani Tbib)- თუნისელი მხატვარ-კალიგრაფი და გრაფიკული დიზაინერი. მისი შემოქმედება გამოირჩევა ელეგანტურობითა და დახვეწილობით, მასში შერწყმულია დასავლური და აღმოსავლური ელემენტები, გამოცდილი თვალი კი საუცხოოდ ჰარმონიულ გეომეტრიულ ფიგურებსა და ფერებს შორის ხშირად გამოარჩევს მოკლე არაბულ ლექსებს. ინკმანი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო პოეზიით და თავადაც წერდა ლექსებს, ხოლო კალიგრაფიტით გრაფიკული დიზაინის სწავლის დროს დაინტერესდა, ტრაგიკული სასიყვარულო ისტორიის შემდეგ. ინკმანი კალიგრაფიით გაექცა ტკივილს და ცხოვრების ახალი მოწოდებაც იპოვა. მისი ერთ-ერთი გამორჩეული პროექტია "USINA"- „გმირების ისტორია", რომელიც 1928 წელს გახსნილ სამთო ქარხნის მუშებს მიუძღვნა, რომლებიც ქარხნის ტერიტორიაზე მუშაობდნენ, ცხოვრობდნენ და სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მძიმე პირობებში გაატარეს. 87 წლის შემდეგ ინკმანმა მათი მრავალწლიანი შრომის დასაფასებლად ეს მიტოვებული, დანგრეული შენობები მოხატა, რათა თავისი პატივისცემა გამოეხატა და სულ მცირე ისტორიული ანაბეჭდი მაინც დაეტოვებინა ამ ტერიტორიაზე.

2018 წელს ისლამური ხელოვნების ფესტივალის ორგანიზებით ჩატარდა პროექტი "Jedariya", რომლის ფარგლებში შარჯას ცენტრში შენობაზე ინკმანმა კალიგრაფიტით შეასრულა ერთ-ერთი თანამედროვე არაბი პოეტის ლექსის ტაეპი, რომელიც ამ ქალაქისადმია მიძღვნილი.

ინკმანმა კიდევ ბევრი ქალაქი გაალამაზა თავისი ხელოვნებით, მათ შორის დუბაი, სფაქსი, მონასტირი... მისი შემოქმედება არა მარტო კალიგრაფიტს, არამედ სკულპტურებსაც და ტილოებსაც მოიცავს, რომლებზეც კალიგრაფიის ულამაზები ფორმე



ბია გამოსახული.

ხალიდ ალ-საი არის სირიელი კალიგრაფი, რომელიც თავისი გასაოცარი ტილოებით გამოირჩევა. დაიბადა 1970 წელს, ქალაქ ჰომსში, მხატვრობის, მუსიკისა და კალიგრაფიის გარემოცვაში. ბავშვობა მაიადინში გაატარა, 4 წლიდან დაიწყო ხატვა, 18 წლის ასაკში კი უკვე შემდგარი ხელოვანი იყო. 1997 წელს კალიგრაფიის პირველ საერთაშორისო ფესტივალზე თეირანში ის აღიარეს, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საერთაშორისო კალიგრაფი. 2002 წლიდან მან მიჩიგანის უნივერსიტეტში არაბული კალიგრაფიის სწავლება დაიწყო. ხალიდის შემოქმედება არაბული დამწერლობის სხვადასხვა სტილის უნიკალურ ტილოებს მოიცავს, მათ შორის ნასხის, ქუფურის, სულუსისა და დივანის ულამაზეს ნიმუშებს. მის ნაშრომებში თითქოს ირღვევა ზღვარი ტრადიციულ კალიგრაფიასა და თანამედროვე მხატვრობას შორის. ხალიდ ალ-საის საკმაოდ ბევრი გამოფენა აქვს ჩატარებული როგორც შუა აზიის ქვეყნებში, ასევე ევროპაში.

„სირია-ისტორიის ბაღი“-სხვადასხვა სახით გადმოგვცემს ამ ქვეყნის ისტორიას. უზარმაზარ ნამუშევრებზე თითქოს ქაოსია, განსხვავებული ელემენტები კი საერთო ჯამში გასაოცარ კომბინაციას ქმნის. სურათი სამ ნაწილადაა გაყოფილი: ქვედა ნაწილში ჩანს სცენები ყოველდღიური ცხოვრებიდან, შუა ნაწილში- სირიული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები, ზედა კი სულიერ სამყაროს გამოსახავს. ნამუშევრის ძირითადი სტრუქტურა გამოხატავს სირიის 14 მნიშვნელოვან ქალაქს, მასთან დაკავშირებულ ასოებს, სიტყვებს, ლექსებს (მაგ. დამასკოსთან დაკავშირებით არის არაბული ასო ش („შ“), 40 ფოტო, პოემები მის შესახებ...).

ხალიდ ალ-საის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სირიის ტრაგედიასთან დაკავშირებულ სურათებს. მან შექმნა სირიის ომის კალიგრაფიული ქრონიკები. ტილოზე ბობმები და წითელი ისრები დაღვრილი სისხლის სიმბოლოა. სურათზე იკითხება ქალაქების სახელები, რომელთა ზომა გამოხატავს იმ ტრაგიკული მოვლენების მასშტაბს, რაც ქალაქმა გადაიტანა, მათ შორის განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ქალაქი ალეპო.

ერაყელი კალიგრაფი და მხატვარი საბაჰ არბილი ცნობილია თავისი კალიგრაფიული ქანდაკებებით. დაიბადა 1977 წელს. ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან დაინტერესდა

კალიგრაფიით. უელსის უნივერსიტეტში სწავლობდა ვიზუალურ ხელოვნებას. მისმა კალიგრაფიულმა ნამუშევრებმა, რომლებიც ტრადიციული დამწერლობისა და თანამედროვე ხელოვნების ნაზავს წარმაოდგენს, არაერთი პრიზი აიღო და კალიგრაფიის სამყაროში მიიწვიეს კიდეც, როგორც ექსპერტ-მრჩეველი და კონსულტანტი. არბილი წლების განმავლობაში სწავლობდა კალიგრაფიის სხვადასხვა სტილის წესებს, იკვლევდა წერის ტექნიკას, ამასთან ერთად ინჟინერიის შესწავლამაც იმოქმედა მისი ხედვის განვითარებაზე და შეძლო კიდეც გამოეხატა თავისი ინდივიდუალურობა. ქანდაკებებში სურდა წარმოეჩინა თანამედროვე მიდგომა კალიგრაფიის ხელოვნების მიმართ და მნახველზე ახალი, განსხვავებული კუთხით დაეტოვებინა შთაბეჭდილება და მან ამ მიზანს მიაღწია.

არბილმა კატარის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით შექმნა კალიგრაფიული ქანდაკება. ეს არის შეიხ ჯასიმ ბინ მუჰამად ალ თანიას, კატარის სახელმწიფოს დამაარსებლის, ლექსი. ქანდაკების სიმაღლე 7.5 მეტრს აღწევს და მისი ნახვა კატარში ნებისმიერ მსურველს შეუძლია. არბილის ბევრი ქანდაკება სწორედ არაბული პოეზის ნაწყვეტებს შეიცავს. 2014 წელს შარჯას ხელოვნების მუზეუმში მოეწყო არტისტის გამოფენა „ის“, სადაც სწორედ მსგავსი კალიგრაფიული ქანდაკებები იყო გამოფენილი. აღსანიშნავია ომანში გამოფენაზე წარდგენილი კალიგრაფიული შედევრი „მშვიდობის გამგზავრება“, რომელიც დამწვარი ხის ნაჭრებისგან შექმნილი კომპოზიციაა. თითქოს ასოები დატეხილი და განადგურებულია, რითაც ავტორს სურდა ერაყის მძიმე, ტრაგიკული წლები შეეხსენებინა მნახველისათვის.

არბილის ნამუშევრები მოიცავს არა მხოლოდ ქანდაკებეს, არამედ ტილოებსაც, რომლებიც ინახება ავსტრალიისა და გაერთიანებული ერების ისლამურ მუზეუმებში, ასევე ბევრ კერძო კოლექციასა და არქიტექტურულ შენობაში. მან მოაწყო უამრავი სოლო და ჯგუფური გამოფენა მსოფლიოს მასშტაბით.

ეს მხოლოდ მცირე ნიმუშებია იმ ხელოვნებისა, რომელიც არაბული კალიგრაფიის შთაგონებით იქმნება. ბოლო ათწლეულში გასაკუთრებით გაიზარდა მისი სხვადასხვა სტილის შესწავლით დაინტერესებულთა რიცხვი და აუქციონებზეც კალიგრაფიულ ნამუშევრები დიდი პოპულარობით სარგებლობს.

# უძველესი ჩინური სამხედრო სტრატეგიები- „შვიდწიგნეული“

ლიტერატურაში სამხედრო მეცნიერება განმარტებულია, როგორც ცოდნის სისტემა ომის სტრატეგიული ხასიათის, მისი თავიდან აცილების გზების, ბრძოლის წარმოების ხერხების შესახებ. იკვლევს შეიარაღებული ბრძოლის პრობლემებს, მის ფორმებს, სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მომზადებისა და წარმოების ხერხებს.

სამხედრო მეცნიერება უძველესი დროიდან იღებს სათავეს და ევოლუციის რთული გზა განვლო. ძველ საბერძნეთში, რომსა და ძველ ჩინეთში მხედართმთავრები და სახელმწიფო მოღვაწენი ბრძოლების შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე ქმნიდნენ მატიანეებს სამხედრო ლაშქრობების შესახებ, ტრაქტატებს, დარიგებებს. ამ თვალსაზრისით ცნობილია დასავლეთის სამხედრო თეორეტიკოსების უძველესი თხზულებები, მაგრამ მათ საპირწონედ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ არა დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთის კლასიკურ სამხედრო შრომებზე.

ომის შესახებ კლასიკური კონცეფციები ჩინეთში, ფილოსოფიური და პოლიტიკური აზროვნების კლასიკური სკოლების განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა. ეს იწყება ძვ.წ. I ათასწლეულიდან და იმ ეპოქაში არ არსებობდა არმიის, როგორც ერთი მთლიანის, ტაქტიკის ან სტრატეგიის ცნება. ამასთან დაპირისპირებული მხარეები ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ არისტოკრატებს შორის მიღებული ღირსების კოდექსი.

ნელ-ნელა საზოგადოებრივ წყობაში გარდატეხებთან ერთად იცვლება არმიის იერსახე, წარჩინებულთა ცერემონიებისგან მხოლოდ მოგონებებიღა რჩება და ბრძოლებიც მასიურ სასაკლაოდ იქცა. გარდა ამისა, რაინდობის კოდექსი დისციპლინის კულტით შეიცვალა. რადგან პიროვნულმა ღირსებებმა და ინიციატივამ გზა მკაცრ დისციპლინას დაუთმო, ამან თანდათან სამხედრო თეორიის და ეფექტური მანევრირების შექმნის აუცილებლობა წარმოშვა. სარდლებს არსებული სიტუაცია ერთიანობაში უნდა შეეფასებინათ - არა მხოლოდ სამხედრო, არამედ - პოლიტიკურ, ეკონომიკურ და მორალურ ასპექტებში. ასეთია ძველი ჩინური სტრატეგიის საფუძველი: „ომში გამარჯვება ომის წარმოების გარეშე“, რომელსაც თანამედროვე მეცნიერებაში „მანევრულ სტრატეგიას“ უწოდებენ და ეს ჯერ კიდევ ძველი ჩინელებისთვის იყო ცნობილი.

საბრძოლო მოქმედებების წარმართვა ტაქტიკური ხელოვნებისა და იარაღის სრულყოფას ითხოვდა. ფართოვდებოდა შეტაკებათა მასშტაბები, ვითარდებოდა სამხედრო სტრატეგია და ტექნოლოგიები. საბოლოოდ, საბრძოლო მოქმედებებისგან მიღებული გაკვეთილები და მეთაურობის გამოცდილება შესწავლის საგნად იქცა - ადამიანები ცდილობდნენ რაიმე ფორმით შემოენახათ მიღწეული და თანაც, წარსული შეცდომებისთვის თავი აერიდებინათ. ასე დაიბადა მეცნიერება სამხედრო ტაქტიკისა და სტრატეგიების შესახებ.

სამხედრო თემატიკაზე იმ არცთუ ისე მრავალრიცხოვან თხზულებებს შორის, რომელიც ჩინეთის გაერთიანებამდე - ძვ.წ. III საუკუნემდე შექმნილა და შემონახულა, ექვსი მთავარი ნაშრომი იყო. მათ სწავლობდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ. ზოგიერთმა ტრაქტატმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა. სუნგის ეპოქის (დაახლ. ახ.წ. 1078 წ.) სწავლულებმა ისინი შეკრიბეს, მათგან გამოარჩიეს ექვსი უმნიშვნელოვანესი უძველესი ტექსტი, რედაქტირება გაუკეთეს და თანგის დინასტიის (ახ.წ. 618-907 წწ.)

დროინდელი ერთი ნაწარმოებიც დაუმატეს. ასე წარმოიშვა "შვიდი სამხედრო ტრაქტატი" ანუ „შვიდწიგნეული". ეს შვიდი წიგნი, რომელიც სუნგის დინასტიის ეპოქიდან მოყოლებული „შვიდ სამხედრო ტრაქტატში" ერთიანდება, შემდეგია:

1. თაიკუნგი (太公) - „ექვსი საიდუმლო სწავლება" ( ჩინურად „ლიუ თაო" 六韜).

2. სუნ წი ( 孙子) - „ომის ხელოვნება" ( ჩინურად „სუნ წი პინგ ფა" 孙子兵法 );

3. უ ცი (吴起) „პატივცემული უ-ს ომის კანონები" ( ჩინურად „უ წი პინგფა" 吳子兵法) ნაწარმოებს შემოკლებით „უ წ'ი"-საც უწოდებენ (吳子);

4. სიმა ჟანგ ძუ (司马穰苴) - „სიმას მეთოდები" ( ჩინურად „სიმა ფა" 司马法);

5. ვეი ლიაო (尉缭) - „ვეი ლიაოს სწავლება" (ჩინურად „ვეი ლიაო წი" 尉缭子 );

6. უცნობი ავტორი - „ხუანგ ში კუნგის სამი სტრატეგია" ( ჩინურად „ხუანგ ში კუნგ სან ლიუე"-黄石公三略);

7. თაიწუნგი (太宗) და ლი ძინგი (李靖) - „თანგის თაიწუნგისა და ლი ვეიკუნგის დიალოგი" (ჩინურად „თანგ თაიწუნგ ლივეიკუნგ ვენ ტუეი" 唐太宗李卫公问对 );

ეს კრებული სამხედრო აზროვნების ანა-ბანად და სამხედრო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ სახელმძღვანელოდ იქცა. ვინაიდან სახელმწიფო თანამდებობა ფილოსოფიური ტრაქტატებისა და სამოქალაქო კანონების გარდა ტექნიკური საკითხებისა და სამხედრო ხელოვნების ცოდნას მოითხოვდა, „შვიდთავი" საიმპერატორო გამოცდების ჩასაბარებლად აუცილებელი კომპონენტი გახლდათ. აქვე განვმარტავთ, რომ ჩინეთში არსებული წესის თანახმად, ნებისმიერი თანამდებობის დასაკავებლად სახელმწიფო გამოცდის ჩაბარება იყო საჭირო, რაც ძალიან რთული გახლდათ და მრავალმხრივ განათლებას მოითხოვდა: კლასიკურ განათლებას, კონფუციური დოგმების, ლიტერატურის, სამოქალაქო კანონმდებლობის, სამხედრო ცოდნას, კალიგრაფიასა და სხვ. ამგვარად, სამხედრო საქმე „ტაო"-დ (და არა - „დაო", რაც არასწორ თარგმანს უკავშირდება. იხ. „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესები"- ავტ.) გადაიქცა - შემეცნებისკენ მიმავალ გზად, რომელიც საომარი პირობების გააანალიზების, მოწინააღმდეგის მდგომარეობის შეფასების, არმიის მართვისა და ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლეოდა.

იმისათვის, რომ შედარებით ნათელი გავხადოთ ჩინური სამხედრო კლასიკის მნიშვნელოვნება მსოფლიოს წინაშე, მოკლედ აღვწერთ რამდენიმე ისტორიულ და პოლიტიკურ მომენტს: როგორც წესი, სამხედრო თხზულების კერძო მფლობელობაში ქონა აკრძალული იყო და მას საიდუმლოდ ინახავდნენ (მაგალითად, თაი კუნგის „ექვსი საიდუმლო სწავლების" ქონა განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენდა მისი მფლობელისთვის, რადგან მმართველი დინასტიის დამხობის სურვილის ნივთმტკიცებად განიხილებოდა). ყველა ეს სწავლება თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერების სახით გადაეცემოდა და მუდამ მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. საბოლოოდ, იგი ბამბუკის ფირფიტებზე ჩაწერეს და დღის სინათლეზე იშვიათად გამოჰქონდათ. საიმპერატორო ბიბლიოთეკაში ინახავდნენ და ისე უფრთხილდებოდნენ, რომ თვით ცინის იმპერიის (ძვ.წ. 221-206 წწ.) დროს წიგნების მასობრივ დაწვასაც კი გადაურჩა. წვდომის უფლება მხოლოდ იმპერატორსა

და მასთან დაახლოებულ რამდენიმე უმაღლეს მოხელეს ქონდათ. ის კი არა, კრიტიკულ სიტუაციებში არქივის კარები ამ პრივილეგირებულ პირებსაც კი ეხშობოდათ.

რიგით პირველი, „ექვსი საიდუმლო სწავლება“ პოლიტიკური რჩევებისა და ტაქტიკური დარიგებების კრებულია, რომელსაც ლეგენდარული მრჩეველი - ძიანგ წია (姜子牙) (თაი კუნგი 太公 - „უხუცესი“- ეს მისი საპატიო წოდებაა) აძლევს ჭოუს დინასტიის (ძვ.წ. 1027-256 წწ.) მმართველს ჭოუვენ ვანგ-სა (周文王) და მის ძეს - ჭოუ უ ვანგ-ს (周武王, ძვ.წ. XII-XI მიჯნა). ისტორიული თაი კუნგი, რომელსაც ეს თხზულება მიეწერება, ჩინეთის პირველ მხედართმთავრად და სტრატეგიული მეცნიერების ფუძემდებლად მიიჩნეოდა. თანგის (ახ.წ. 618-907 წწ.) პერიოდში თაი კუნგი სამხედრო საქმის მფარველ წმინდანად იქცა, როგორც კონფუცი (ქუნ წ’ 孔子 ძვწ. 551-479 წწ. )- სამოქალაქო საქმისა.

მისი ნამდვილი სახელია ძიანგ შანგი და შანგის დინასტიის (ძვ.წ. 1650-1027 წწ.) მიწურულს ცხოვრობდა. მოხუცებულობაში, 72 წლის ასაკში, თავი მოიგიჟიანა და შანგის მმართველს გაერიდა, რომელსაც ემსახურებოდა, რადგან იგი აცდა ჭეშმარიტ გზას (ტაოს). თაი კუნგი მივიდა ჭოუს სამეფოში, სადაც იქაური ხელისუფლის ვენ ვანგის მრჩეველი და მხედართმთავარი გახდა, - მოგვითხრობს სიმა ციენი თავის „ისტორიულ ჩანაწერებში“ (სიმა ციენი 司马迁 - ძვ.წ. 145-86 წწ. ხანის პერიოდის ჩინელი ისტორიკოსი, ჩინური ისტორიოგრაფიის მამა). თაი კუნგმა ჭოუს მმართველს დაუფარავად მოახსენა, რომ მისი მიზანი შანგის დამხობა იყო. ასე გახდა თაი კუნგი სამხედრო შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი არა მხოლოდ ვენ ვანგის, არამედ მისი ძის - უ ვანგის დროსაც. ემსახურა მათ მანამდე, სანამ შანგის დინასტია არ გაანადგურა.

„ექვსი საიდუმლო სწავლება“ ყოვლისმომცველი ნაშრომია, სადაც არა მხოლოდ განხილულია სტრატეგია და ტაქტიკა, არამედ შემოთავაზებულია მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლის განხორციელებაც ეფექტური სახელმწიფო კონტროლისა და მისაღწევადაა საჭირო. ეს თხზულება ერთადერთი სამხედრო ტრაქტატია, რომელიც დაწერილია მმართველი დინასტიის წინააღმდეგ ბრძოლის პერსპექტივის თვალსაზრისით, რადგან ჭოუს მიზანი მმართველი შანგის დამხობა იყო.

თაი კუნგის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ასახულია „ექვს საიდუმლო სწავლება“-ში, შეიძლება მოკლედ ასე ჩამოვაყალიბოთ:

თაი კუნგის აზრით, სოფლის მეურნეობის განვითარება სახელმწიფოს წარმატების საფუძველია. მხოლოდ მატერიალური პირობების გაუმჯობესების შემდეგ შეიძლება გაიცეს ბრძანებები იმ იმედით, რომ ხალხი მას შეასრულებს. საუბრობს წახალისებისა და დასჯის მეთოდებზე, ყურადღებას უთმობს მმართველისა და სახელმწიფო მოღვაწეების ზნეობრივ საქციელს. აღსანიშნავია, რომ თაი კუნგი გამარჯვების მისაღწევად ყველა საშუალების გამოყენების მომხრეა. მათ შორისაა ისეთი მეთოდები, როგორიცაა: წინასწარი გათვლები, საომარი ფანდები და ხრიკები, მოქრთამვები, ჯაშუშობა, მოწინააღმდეგის წაქეზება გარყვნილებისკენ და ა.შ.

ავტორი განიხილავს სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც, როგორებიცაა: პიროვნული თვისებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მხედართმთავრისა და მეთაურების შერჩევა, მკაცრი იერარქია და დისციპლინა, ჯარისკაცთა წვრთნა და მომზადება, იარაღის სახეები, ახალი იარაღის შექმნა, კომუნიკაციები, ბრძოლის ტაქტიკა და ორგანიზაცია.

მანევრული ომის თვალსაზრისით განხილული თემებია: ბრძოლის ადგილის შერჩევა, სიმაგრეთა შტურმი; ღამის თავდასხმები; ხაფანგიდან თავის დაღწევა; მოსარიდებელი სიტუაციები და ადგილები; ფსიქოლოგიური ომის მეთოდები, მტრის ზონდირება და მისით მანიპულირება; მოწინააღმდეგის დემორალიზაცია და სხვ.

„შვიდწიგნეულის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, სუნ წის (სუნ ძი დამახინებული ფორმაა, რომელიც არასწორ თარგმანს უკავშირდება. იხ. შენიშვნა ზემოთ) „სამხედრო სტრატეგია“, რომელიც ტრადიციულად, „ომის ხელოვნებად“ მოიხსენიება, დასავლეთში კარგად არის ცნობილი. იგი დაიწერა ძვ.წ. VI საუკუნეში - ჩუნციუს ეპოქაში (ე.წ. „გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდი“). პირველად ის დაახლოებით 300 წლის წინ ერთ-ერთმა ფრანგმა მისიონერმა თარგმნა. არსებობს ცნობები, რომ ნაპოლეონი მას ეფექტურად იყენებდა. ნაშრომს ნაცისტების სამეთაურო შტაბის გარკვეული წევრებიც იცნობდნენ. მის შესწავლას დიდ დროს უთმობდნენ ჩინელი, იაპონელი და კორეელი სამხედროები.

სუნ წი-ს ნამდვილი სახელია სუნ უ და იგი ამოუცნობ პიროვნებად ითვლება - იმ პერიოდის ისტორიულ ტექსტებში საკმარისად არ მოიპოვება. იგი ცხოვრობდა ძვ.წ. 544-496 წლებში. დიდი ჩინელი ისტორიკოსის, სიმა ციენის „ისტორიულ ჩანაწერებში“ გადმოცემულია, რომ სუნ უ ცი-ს სამეფოში დაიბადა და ერთ დროს უ-ს სამეფოს მთავარსარდლად მსახურობდა. მან ჩუ-ს სამეფო გაანადგურა, ასევე სხვა სამეფოებიც დაამარცხა. შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და მალევე გარდაიცვალა. სუნ წის, გარდა იმისა, რომ უ-ს სამეფოში სამხედრო მრჩეველი და მთავარსარდალი ყოფილა, სამხედრო მეცნიერების შესახებ ტრაქტატიც დაუწერია, - გვამცნობს სიმა ციენი.

სუნ წი-ს წიგნმა იმიტომაც დაიმსახურა ტრაქტატის სტატუსი, რომ მასში ომის არსი ერთ, ყოვლისმომცველ მთლიანობაშია დაჭერილი და გააზრებული. თუმცა, ახსნილი და განმარტებულია მკაცრად პრაქტიკული თვალსაზრისით. ნაშრომს ერთი თავისებურება გააჩნია და სწორედ მას უნდა უმადლოდეს სუნ წი თავის პოპულარობას: მისი დებულებები ყოველთვის იოლად გადადიოდა ომის სფეროდან პოლიტიკისა და დიპლომატიის სფეროში. ტრაქტატის მიხედვით, ომი სახელმწიფოს უმთავრეს საქმიანობადაა მიჩნეული და თავისუფალია ყოველგვარი მეტაფიზიკური თუ ეთიკური პოსტულატებისგან. მიგვაჩნია, ჩინელი თეორეტიკოსები მორალით იმ დონეზე აპელირებენ, რა დონეზეც იგია საჭირო სამხედრო მოქმედებების ეფექტურად წარმართვისთვის.

სუნ წის „ომის ხელოვნების“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტი, სხვადასხვა სიდიდის 13 თავისგან შედგება, რომელთაგან თითოეული ცალკეული თემის განხილვას შეიცავს: წინასწარი გათვლები, ომის წარმართვის ხელოვნება, თავდასხმის დაგეგმვა, სამხედრო წყობა, სტრატეგიული სამხედრო ძალა, სისავსე და სიცარიელე, ბრძოლა; ცხრა სახეცვლილება, მანევრირება, ადგილმდებარეობის კონფიგურაციები, ადგილმდებარეობის ცხრა სახეობა, თავდასხმა ცეცხლის გამოყენებით და ბოლოს, ჯაშუშური საქმიანობა.

მაგრამ მიუხედავად ასეთი დაყოფისა, იგი ერთიანი ნაშრომია, რომელიც ლოგიკურად ვითარდება. წიგნის ყველა თავში სუნ წის მიდგომა ანალიტიკურია და საომარი კამპანიის წამოწყებამდე ყურადღებით დაგეგმვას ქადაგებს. მომდევნო პრიორიტეტია დიპლომატიური ინიციატივების ამოქმედება, მაგრამ სამხედრო მზადების უგულებელყოფა არ შეიძლება. მმართველმა შეიარაღებული კონფლიქტის გარეშე ანუ დიპლომატიური

ძალისხმევით, მტრის გეგმების ჩაშლითა და მისი სტრატეგიის განხორციელებისთვის ხელის შეშლით უნდა შეძლოს ტერიტორიების დაპყრობა, რაც სუნ წი-სთვის იდეალური გამარჯვების ტოლფასია. სუნ წის სტრატეგია და ტაქტიკა ეყრდნობა მტრის მანიპულირების შეცნობას, ხაზს უსვამს სისწრაფესა და მოულოდნელობის ეფექტს. იგი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შპიონაჟს, რაც ქვეყნის გარეთ დეზინფორმაციის გავრცელებასა და დაზვერვით საქმიანობას უკავშირდება. ავტორი მათი ფუნქციისდა მიხედვით მსტოვართა 5 სახეობას განასხვავებს და მიიჩნევს, რომ მმართველისთვის ჯაშუში ნამდვილი განძია. იგი ცალსახად ამბობს: „არ არსებობს სფერო, ჯაშუშის გამოყენება რომ არ შეიძლებოდეს“.

და ბოლოს, მოკლედ შევეხებით იმ ფსიქოლოგიურ ასპექტებს, რასაც თხზულების ავტორი არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს. თავისი ცოდნისა და გამოცდილების წყალობით სუნ წიმ შეიმუშავა სამხედრო თეორიები, რომელიც ფსიქოლოგიურ ომზე ფოკუსირდებოდა. იმ ეპოქაში, როდესაც მთელი სამხედრო მეთოდები მოწინააღმდეგის ფიზიკურ დათრგუნვას ეფუძნებოდა, ეს ინოვაციური მიდგომა იყო. სუნ წისთვის ლაშქრის სულიერი განწყობა და მტრის დემორალიზაცია მნიშვნელოვანი ასპექტებია, რომელსაც ომის მოგება ან წაგება შეუძლია.

რაც შეეხება „პატივცემული უ-ს კანონებს“, მისი ავტორი ნახევრად ლეგენდარული და საიდუმლოებით მოცული სუნ წისგან განსხვავებით, უ ცი გამოჩენილი ჩინელი მხედართმთავარი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ. დაიბადა ძვ.წ. 440 წელს ვეის სამეფოში (ვეის სამეფო არსებობდა ჩინეთში ჭანკუოს ანუ „მებრძოლ სამეფოთა პერიოდში“- ძვ.წ. 445-225 წლებში. მაშინ ჩინეთი ჯერ არ იყო ერთიანი იმპერია და მრავალი სამეფო-სამთავრო არსებობდა, რომლებიც ერთმანეთს ჰეგემონიის მოსაპოვებლად ეომებოდნენ: ვეის, უ-ს, ჩუ-ს, ცინის, ცი-ს, იან-ის, ჭაო-ს შუ-ს სამეფოები და სხვ).

უ ცი თავისი მიღწევებით, როგორც სამხედრო, ისე - სამოქალაქო ასპარეზზე, ღირსეულად იკავებს გამოჩენილი სუნ წის გვერდზე ადგილს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ისტორიულად, სამხედრო თეორიებზე მსჯელობისას, სუნ წი და უ ცი ყოველთვის ერთად მოიხსენიებოდნენ. როგორც სიმა ციენი „ში ძი“-ში („ისტორიული ჩანაწერების“ ჩინური სახელწოდება) მოგვითხრობს, უ ცი საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათის ადამიანი ყოფილა. კონფუციანური დოგმების აქტიური მხარდამჭერი იყო, თუმცა, მისი ქცევები აშკარად ეწინააღმდეგებოდა მას; მმართველობის სტილის ჰუმანურ მეთოდებს ემხრობოდა და ამასთან, გადმოცემით, როცა მის კარიერას საფრთხე დაემუქრა, საკუთარი ცოლიც კი მოკლა. განათლება ორ კონფუციანელთან მიიღო, შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის მეფეებთან იმსახურა - ჯერ ლუ-ს სამეფოს მაღალჩინოსანი იყო, მერე მშობლიურ ვეიში დაბრუნდა, მაგრამ თავის ხასიათის გამო იქაც მტრები გაიჩინა. მოგვიანებით, ჩუ-ს მმართველმა თავის პირველ მინისტრად აქცია. უ ცი გამოჩენილი მთავარსარდალი გახდა, მთელი რიგი რეფორმები გაატარა და საბოლოოდ, დიდების ზენიტზე, ძვ.წ. 361 წელს ჩუ-ს სამეფოში შეთქმულების მსხვერპლი გახდა - მოკლეს. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მისი მისი დრაკონული მეთოდები, რომლითაც არმიასა და სახელმწიფოს მართავდა, ბევრ არაკეთილმოსურნეს უჩენდა.

უ ცი-ს არამცთუ არცერთი ბრძოლა არ წაუგია, არამედ გამოუვალ სიტუაციაში იშვიათადაც ხვდებოდა. შემდეგ საკუთარი გამარჯვებების შესახებ ტრაქტატიც კი შეადგინა. ამიტომ, მისი იდეები და

მეთოდები, რომელიც „უ წი“-ში აისახა, მხოლოდ თეორიული შინაარსის კი არ გახლავთ, არამედ მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებასაც ეფუძნება.

„უ წი“ ძვ.წ. IV საუკუნეშია დაწერილი - ჭანკუოს ანუ „მეომარ სამეფოთა ეპოქაში“ და ამჟამად არსებული უძველესი ხელნაწერი ხანის ეპოქას ეკუთვნის. ნაშრომის დიდი ნაწილი დაკარგულია და რამაც ჩვენამდე მოაღწია, ექვსი თავისგან შედგება და სამხედრო საქმისთვის საჭირო თემებს ეძღვნება.

ესენია: 1) სახელმწიფოსთვის საჭირო დაგეგმარება; 2) მოწინააღმდეგის შეფასება; 3) ჯარის მართვა; 4) მხედართმთავრის გზა; 5) ცვლილებები; 6) მეთაურების გამხნევება.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ თავში სხვადასხვა თემა განიხილება, სტრატეგიათა საბაზო ელემენტების თვალსაზრისით, თავების შინაარსი მთლიანობაში მაინც სათაურს ეხმიანება და მის ირგვლივ კრავს აზრს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უ ცი საკმაოდ წინააღმდეგობრივი ბუნების ადამიანი გახლდათ და ეს მის თხზულებაშიც აისახა. იგი მართვის სფეროში კონფუციანური ჰუმანურობისა და სამართლიანობის მომხრე იყო, მაგრამ მაინც აუცილებლად თვლიდა სამხედრო ძლიერებას და შესაბამის საბრძოლო მოზადებას. საკუთარი გამოცდილებიდან იცოდა, რომ ეფექტური საჯარისო ფორმირებების გარეშე კონფუციანელი მორალისტები ცარიელ ადგილს წარმოადგენდნენ და ქვეყანაზე ბოროტება იზეიმებდა.

უ ცის აზრით, სახელმწიფო მართვის საქმეში ადამიანებისადმი დამოკიდებულება და მოტივაცია ერთმანეთისგან განუყოფელია. აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ინდივიდუალური ხასიათი, შესაძლებლობები და გამოცდილება, თან სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მეთოდებს გვთავაზობს. ლეგისტებისგან განსხვავებით, უ ცი-ს კარგად ესმოდა, რომ თავად წახალისებისა და დასჯის მეთოდები საკმარისი არ იქნებოდა წესრიგის დასამყარებლად. ამას იმით ასაბუთებდა, რომ საჩუქრების სიუხვე ხშირად, სიხარბისა და ინდივიადუალური გამორჩენის წახალისებას უფრო ემსახურება, ვიდრე - კოლექტიურ საქმეს. და პირიქით, გადაჭარბებულად მკაცრი სასჯელების შემოღებაც არაეფექტურია, რადგან კანონდამრღვევები მას აუცილებლად გაექცევიან - ზედმეტი სისასტიკე ღირსეულსაც კი აფრთხობს. ამიტომ, უ ცი ზომიერების მომხრეა.

რაც შეეხება საბრძოლო ტაქტიკას, წარმატების გასაღები შემდეგში მდგომარეობს: სიტუაციის ადეკვატურად შეფასება და ტაქტიკური უპირატესობებით დროული და ეფექტური სარგებლობა. გარდა ამისა, სუნ წის მსგავსად, სხვადასხვა ტაქტიკურ მანევრებს განიხილავს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შპიონაჟს ანუ ჯაშუშურ საქმიანობას.

„სიმას მეთოდები“ ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება. თხზულება მცირე ზომისაა და ჩანს, გაცილებით ძველი ტექსტების საფუძველზე შეკრიბეს. მიღებული თვალსაზრისით, მას შესაძლოა, საფუძვლად თაი კუნგის იდეები უდევს ანდა მისი შემქმნელები მისი იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. შეიძლება ითქვას, სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით, ნაშრომი იმაზე ახალს არაფერს გვეუბნება, ვიდრე ეს სუნ წი-ის „ომის ხელოვნებაში“ და თაი კუნგის „ექვს საიდუმლო სწავლებაშია“.

ქრონოლოგიურად, რიგით მეოთხე ნაწარმოების - „სიმას მეთოდების“ შექმნის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით, გამოჩენილი მხედართმთავრის, თიან ჟანგ ძუ (იგივე სიმა ჟანგ ძუ 司马穰苴) წყალობით მმართველმა ძინ ვანგმა (ძვ.წ. 547-490) დიდი გამარჯვებები მოიპოვა.

გამომდინარე იქიდან, რომ თიან ჟანგ ძუ „სიმას“ თანამდებობას იკავებდა და დიდი დამსახურებები გააჩნდა, უფლება მისცეს ტიტული გვარად ექცია. წიგნი ვეი ვანგის მმართველობის (ძვ.წ. 378-342 წწ) დროს შეუდგენიათ - სამეფო კარზე შექმნეს სპეციალური საბჭო, რომელმაც სამხედრო ხელოვნებაზე ყველა მნიშვნელოვანი ცნობა ერთ კრებულად შეკრიბა. იგი არსებითად, სიმა ჟანგ ძუ-ს მეთოდებს მოიცავს და ამიტომაც ეწოდა „სიმას სამხედრო მეთოდები“ ანუ ჩინური სახელდებით- „სიმა ჟანგ ძუ პინ ფა“.

ნაშრომში ნაკლებადაა საომარი სტრატეგიებისა და ტაქტიკის შესახებ საკითხები. შეიძლება ითქვას, ეს ტრაქტატი უფრო სამხედრო ადმინისტრაციის შექმნასა და სამხედრო კამპანიების ხელმძღვანელობას ეხება. კონკრეტულ განხილვებს, როგორსაც „ექვს საიდუმლო სწავლებაში“ ვკითხულობთ, მხოლოდ ბოლო სამ თავში ვხვდებით. თხზულებაში განხილულია ისეთი თემები, როგორებიცაა: კანონები, მმართველის პოლიტიკა, სამხედრო ორგანიზაცია, სამხედრო ადმინისტრაცია, ზოგადი სტრატეგიები და ტაქტიკური სვლები. „სიმას მეთოდების“ მიხედვით, პოლიტიკური ძალაუფლების საფუძველი ძალის შეგნებული გამოყენებაა. ამასთან, ტექსტში ისიცაა ხაზგასმული, რომ დაუშვებელია ომის შეყვარება და მისით გატაცება: „სახელმწიფო დიდიც რომ იყოს, ის, ვისაც ომი უყვარს, გარდაუვალი დაღუპვა ელის. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ცისქვეშეთში სიმშვიდეს დაუსადგურებია, ვინც ომს ივიწყებს, საფრთხეში აღმოჩნდება“ - აღნიშნავს ავტორი. სიმას მეთოდებში განხილულია ისეთი პოსტულატები, როგორიცაა: ჰუმანურობის წარმოშობა, „ცის შვილის“ (ანუ იმპერატორის. ჩინეთში გაღმერთებული იყო ცა და იმპერატორი მის შვილად მოიაზრებოდა. ავტ.) მოვალეობები, საბრძოლო პოზიციების განსაზღვრა და ჯარის მართვა, ბრძოლის წარმოების შესახებ მითითებები, საჯარისო შენაერთების გამოყენება და სხვ.

„სიმას მეთოდების“ ძირითადი ლაიტმოტივი ასეთია: „უხსოვარ დროში ჰუმანურობა ყოველგვარი ურთიერთობის საფუძველი იყო, ხოლო სამართლიანობას „პირდაპირობა“ მართავდა. მაგრამ როცა „პირდაპირობით“ სასურველ ზნეობრივ და პოლიტიკურ მიზნებს ვერ მიაღწიეს, ძალაუფლების გზას მიმართეს. ძალაუფლება ომიდან წარმოიშობა და არა ადამიანთა შორის არსებული ჰარმონიით. ამიტომ, თუ ხალხში სიმშვიდის დასასადგურებლად გარკვეული ოდენობის ადამიანის განადგურებაა საჭირო, მკვლელობა დასაშვებია. თუ ხელისუფლებაზე თავდასხმაა საჭირო, იმიტომ, რომ მას საკუთარი ერი არ უყვარს, თავდასხმა დასაშვებია. თუ ომის შეჩერება მხოლოდ ომითაა შესაძლებელი და სხვა გზა მოჭრილია, იგი დასაშვებია. ამიტომაცაა, რომ ჰუმანურობა უყვართ, სამართლიანობას ხალისით ემორჩილებიან, სიბრძნეს ეყრდნობიან, ხოლო ერთგულებს - ენდობიან. ამასთან, მმართველობა ხალხის სიყვარულს მოიპოვებს, თუ ამ უკანასკნელს იგი უფრთხილდება“.

„შვიდწიგნეულის“ მეხუთე თხზულებაა „ვეი ლიაოს სწავლება“. როგორც ვარაუდობენ, თხზულებას „ვეი ლიაო წი“ (ანუ „ვეი ლიაოს სწავლება“) მისი ავტორის, ისტორიული პიროვნების, ვეი ლიაოს მიხედვით ეწოდება. ერთ-ერთი წყაროს თანახმად, იგი შანგ იანგთან (ლეგიზმის ერთ-ერთი დამაარსებელი, ძვ.2. 390-338 წლები) სწავლობდა. სხვა ვერსიას თუ დავეყრდნობით, ვეი ლიაო ჩინეთის გაერთიანებისთვის დაუნდობელი ბრძოლის დროს ცინის პირველი იმპერატორის (ე.წ. „ყვითელი იმპერატორი“) მთავარი მრჩეველი იყო. ასეა თუ ისე, ვეი ლიაო გამოჩენილი სამხედრო სტრატეგი გახლდათ, რომელსაც ესმოდა,

რომ „მეომარ სამეფოთა პერიოდში“ სახელმწიფოს სამხედრო სფეროსა და სამოქალაქოს ერთიანობა თუ გადაარჩენდა მხოლოდ. უ ცისგან განსხვავებით, იგი საკუთარი სამხედრო გამოცდილებიდან პირადი მაგალითებით მსჯელობების ილუსტრირებას არც ერთხელ არ ახდენს. რჩება შთაბეჭდილება, რომ მისი შემქმნელი წმინდა წყლის თეორეტიკოსია და მხედართმთავრობასთან შეხება არ ქონია. თუმცა, იმდენად დეტალურად წერს არმიის ორგანიზაციისა და დისციპლინის შესახებ, რომ მის ფართო სამხედრო განათლებაში ეჭვს ვერასგზით შევიტანთ.

თხზულება დაწერილია ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს. „ვეი ლიაო წი“ დიალოგური სტრუქტურისაა და ეს საუბარი ვეი ლიაოსა და ვეის მმართველ - ხუეი ვანგს შორის მიმდინარეობს. ტრაქტატის მიხედვით, სახელმწიფოს ძირითადი რესურსი სოფლის მეურნეობა და მოსახლეობაა, რომელთა განვითარებასაც უპირატესი ყურადღება უნდა მიექცეს. ჰუმანისტური ფასეულობები დასაცავია, თუმცა, სხვაგვარად აზროვნებისა და არასახელმწიფოებრივი გამოვლინებების ჩასახშობად სასტიკი მეთოდების გამოყენებაც დასაშვებია. იგი ემხრობა მკაცრ სახელმწიფო ორგანიზაციას, რომელიც მმართველ დაჯგუფებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს ეფუძნება. ამგვარ ურთიერთობას ავტორი იერარქიული საფეხურის ყველა დონეზე აუცილებლად მიიჩნევს. საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა წახალისებისა და დასჯის ეფექტური სისტემის შექმნას, რომელთა უმეტესობა ჩვენთვის ნაცნობი სხვა სამხედრო ტრაქტატების მსგავსია: დაუშვებელია ბრძანებისგან გადახვევა და ინიციატივა დასჯადია, მიუღებელია მამაცობის სპონტანური გამოვლინება, ჯილდოვდებიან საბრძოლო დამსახურებისთვის და ა.შ.

რაც შეეხება ტაქტიკური მეთოდებს, როგორც აღინიშნა, იგი პრაქტიკულად არ განიხილება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ „სიმას მეთოდების“ მსგავსად, თხზულებაში ვხვდებით ბევრ ისეთ პოსტულატებს, რაც „ექვს საიდუმლო სწავლებასა“ და „ომის ხელოვნებაში“ უკვე ასახულია.

ჩინური ტრაქტატის, „ხუანგ ში კუნგის სამი სტრატეგიის“ შექმნას ტრადიცია „ექვსი საიდუმლო მოძღვრების“ ავტორს - თაიკუნგს (ძვ.წ. XII-XI სს მიჯნა) მიაწერს, თუმცა, ოფიციალურად ეს დადასტურებული არ გახლავთ და ნაწარმოების ავტორი უცნობია. შესაბამისად, შექმნის საუკუნეც არ ვიცით, თუმცა, „მეომარ სამეფოთა პერიოდს“ აკუთვნებენ (ძვ.წ.V-IIIსს.).

„სამმა სტრატეგიამ“ თავისი ისტორიული მნიშვნელობა ჭანგ ლიანგის (张良ძვ.წ. 251-186 წლები) წარმატებების პერიოდში შეიძინა, როდესაც ცინის სისხლიანი მმართველობის დასასრულის შემდეგ ხანის დინასტია (ძვ.წ.206- ახ.წ.220 წწ.) აღზევდა. ტრადიციის მიხედვით, „სამი ტრაქტატი“ პატივცემული ბრძენის საუბრებს შეიცავს, რომლის გამონათქვამები შეკრიბეს, რედაქტირება გაუკეთეს და სისტემაში მოიყვანეს. სხვა ვერსიით, მისი შექმნა თვით ჭანგ ლიანგის შემოქმედებაა. კიდევ ბევრი ვარიანტი განიხილება, მაგრამ წყაროების არარსებობის გამო მისი ნამდვილი ავტორის ვინაობის დადგენა შეუძლებელია.

ნაშრომი სამი ნაწილად იყოფა, რომელთაც ტრადიციული ჩინური მანერულობით „უმაღლესი“, „საშუალო“ და „უმდაბლესი“ ეწოდებათ. პირველ ნაწილში მმართველობის სისტემაში სასტიკი და რბილი მართვის ფორმების ავ-კარგიანობას განიხილება და აღიარებულია, რომ სიტუაციისდა მიხედვით, ორივე საჭიროა. მეორეს თანახმად, ხელმძღვანელის ნებისმიერი მოქმედება მიმდინარე საქმიდან უნდა გამომდინარეობდეს. მეთაური გეგმებს სხვა გეზს სიტუაციის

ცვლილებისთანავე უნდა აძლევდეს. მესამე ნაწილი გვეუბნება, რომ დაქვემდებარებულებს დავალება შესასრულებლად უნდა მიეცეს ინდივიდუალური თვისებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. შემდგომში განხილულია ამ ძირითადი პოსტულატების გამოყენების ნაირგვარობები. ტრაქტატში ძირითადი თემები ეხება სახელმწიფო მართვის საკითხებს, ადმინისტრაციულ საქმიანობას, მეთაურების თვისებებს, ქვეშევრდომთა მოტივაცის, წახალისებისა და სასჯელის მეთოდებს. ხაზგასმულია სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპების ერთგულება, მაგრამ იმავდროულად, მოითხოვება კანონის განუხრელად დაცვა. ავტორი ხელისუფლების აბსოლუტიზირების პრინციპს ემხრობა. მსგავსი პოსტულატები მიგვანიშნებს, რომ ნაშრომში კომბინირებულია კონფუციონიზმის, ლეგიზმისა და ტაოიზმის იდეები.

სამხედრო თეორიის საკითხებში ყურადღება გამახვილებულია მეთაურისთვის საჭირო თვისებებზე. „სამი სტრატეგია“ იზიარებს სუნ წის შეხედულებებს, რომ უმნიშვნელოვანესი როლი ომის წარმოების სისწრაფეს ენიჭება და ოპერატიულად მოქმედების უუნარობა კრახის საფუძველია.

რაც შეეხება „შვიდწიგნეულის“ ბოლო შემადგენელი კომპონენტის - თხზულება „კითხვები და პასუხები“-ს წარმოშობა უცნობია. მიუხედავად ამისა, ტექსტის ოფიციალურ შექმნის თარიღად VII საუკუნე (თანგის დინასტიის დასაწყისი) მიიჩნევა. ვარაუდობენ, რომ ლი ძინგი (იგივე ლი ვეიკუნგი 李卫公), რომელიც 571-649 წლებში ცხოვრობდა, მისი ნამდვილი ავტორი ვერ იქნება, რადგან თანგისა (618-907 წწ.) და სუნგის (960-1279 წწ.) დინასტიების ბიბლიოგრაფიებში ამ ტრაქტატის ხსენებაც კი არ არის. თუმცა ცნობილია, რომ სუნგის იმპერატორი - შენწუნგი სწავლობდა თანგის პერიოდის სამხედრო ნაშრომს „ლი ძინგ პინ ფა“(„ლი ძინგის სამხედრო მეთოდები“). ერთ-ერთი ვერსიით, „ლი ძინგ პინ ფა“ „კითხვებისა და პასუხების“ მეორე სახელწოდებაა. ასეა თუ ისე, ეს ნაშრომი შვიდ კლასიკურ სამხედრო ტრაქტატში ერთიანდება და ღირსეული ადგილი უჭირავს სამხედრო მეცნიერებაში.

ტრაქტატი აგებულია დიალოგური ფორმით, სადაც თანგის იმპერატორი თაიწუნგი (იგივე ლი შიმინი 李世民, მმართველობის წლები: 627-649, თანგის დინასტიის დამაარსებლის - კაოწუნგის (618-626) ძე) კითხვებს უსვამს ლი ძინგს, რაზედაც იგი პასუხს სცემს. ლი ძინგმა თავის სამხედრო კარიერა ჯერ კიდევ სუის დინასტიის (551-618 წლები) დროს დაიწყო. შემდეგ იგი დედაქალაქის- ჩანგანის დაცემის შემდეგ თანგის ლაშქარს შეუერთდა და ლი შიმინის ანუ თაიწუნგის მარჯვენა ხელი გახდა. ხელმძღვანელობდა ჯარებს აჯანყებებისა და საგარეო ლაშქრობების, თურქების დაპრობების დროს. ამიტომ ის საუბრები, რომელიც იმპერატორსა და მხედართმთავარს შორის იმართება, მხოლოდ თეორიული კონცეფციები კი არ გახლავთ, არამედ ბრძოლებში გამობრძმედილი სარდლის ტაქტიკური გამოცდილება და რჩევებიცაა.

შინაარსის მიხედვით, ზემოხსენებული თხზულება დანარჩენი ექვსი ტრაქტატისგან მკვეთრად გამოირჩევა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ თანგის არმიამ უძველესი პერიოდის ჩინური ლაშქრისგან განსხვავებით ძირეული ცვლილება განიცადა, რამაც ტაქტიკა და საბრძოლო მანევრების მეთოდები მკვეთრად შეცვალა. ამის მიუხედავად, „კითხვებსა და პასუხებში“ ავტორი ახალ პირობებზე ადაპტირებულ ახალ სტრატეგიებს კი არ გვთავაზობს, არამედ წინამორბედ სამხედრო ნაშრომებს დეტალურად განიხილავს და აანალიზებს. საგულისხმოა, რომ იმ დებულებებს, რომლებიც

ნასესხებია სხვა ტრაქტატებიდან, თანდართული აქვს კომენტარები და ილუსტრირებულია ბრძოლების მაგალითებით. გარდა ამისა, განხილულია ის შემთხვევები, როდესაც სხვა შრომებში მოყვანილი დებულებები ერთმანეთს ან სულაც - ავტორის გამოცდილებას ეწინააღმდეგება. ვფიქრობთ, დანარჩენი ექვსი ტრაქტატისგან განსხვავებით, რომლებიც სამხედრო მიგნებებითა და რჩევებითაა სავსე, თაიწუნგისა და ლი ძინგის დიალოგების შესახებ თხზულება პლუს, სამეცნიერო ნაშრომიცაა.

როგორც აღვნიშნეთ, სამხედრო მეცნიერება ჩინეთში უძველესი დროიდან იღებს სათავეს და საუკუნეთა მანძილზე დაგროვილ თეორიულ მიგნებებსა და პრაქტიკულ გამოცდილებებს იტევს. ზემოაღნიშნული კრებული არა მხოლოდ ჩინეთის, არამედ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობაა.

უნდა ითქვას, რომ უძველეს ლიტერატურათაგან უმეტესობა დროთა განმავლობაში მხოლოდ ისტორიული

რარიტეტის სტატუსს სჯერდება და თანამედროვეობაში პრაქტიკული

თვალსაზრისით გამოყენების შანსს კარგავს ცივილიზაციის მზარდი ტემპისა და ტექნოლოგიების განვითარების გამო. მაგრამ „შვიდი სამხედრო ტრაქტატი“ იმ იშვიათ ნაშრომთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც XXI საუკუნეშიც არ მისცემია დავიწყებას და აქტუალობას არ კარგავს - მან საკმაოდ დიდი გავლენა იქონია XX-XXI საუკუნის სამხედრო აზროვნებაში და შეიძლება ითქვას, ათასწლეულების შემდეგ ხელახლა იბადება. მაგრამ „შვიდწიგნეულის“ უნიკალურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი არ იზღუდება მხოლოდ ლოკალური სამეცნიერო არეალით და სცდება სამხედრო-პოლიტიკურ ფარგლებს: მასში წარმოდგენილ პოსტულატებს, დღესდღეობით, წარმატებით იყენებენ ფინანსურ სფეროში, საფონდო ბირჟაზე, საერთაშორისო ვაჭრობაში, ფსიქოლოგიაში, პედაგოგიკაში და სპორტშიც კი.

# ფაჰრელნისა ზაიდი - მხატვარი პრინცესა

ფაჰრელნისა ზაიდი (თურქ:Fahrelnisa Zeyd; არაბ: الأميرةفخرالنساءزيد; 7იანვარი 1901–5 სექტემბერი 1991) იყო თურქი მხატვარი, ცნობილი თავისი ფართომასშტაბიანი აბსტრაქტული ნახატებით, ლითოგრაფიითა და სკულპტურებით. მისი შემოქმედება აერთიანებდა ისლამურ და ბიზანტიურ ხელოვნებას. ზაიდი იყო ერთ-ერთ პირველი ქალი, რომელმაც სტამბოლის ხელოვნების სკოლაში დაიწყო სიარული. ოსმალეთის იმპერიის სამეფო ოჯახის შთამომავალი ცხოვრობდა სხვადასხვა ქალაქში და გახდა მაღალი საზოგადოების წევრი ლონდონში, ომამდელ ბერლინსა და ომის შემდგომ პარიზში. მისი ნამუშევრები გამოიფინა ნიუ-იორკის, პარიზისა და ლონდონის ინსტიტუტებსა და მუზეუმებში. 1970 წელს ზაიდი გადავიდა ამანში, იორდანიაში და დააარსა ხელოვნების სკოლა. 2017 წელს ტეიტის თანამედროვე ხელოვნების ეროვნულმა მუზეუმმა ზაიდს უწოდა „მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ქალი ხელოვანი“.

ფაჰრელნისა ზაიდი დაიბადა 1901 წელს ელიტარულ ოჯახში, ქალაქ ბუიუქადაში. ზაიდის ბიძა ჯევათ ჩობანლი ფაშა ოსმალეთის იმპერიის ვეზირი იყო, ხოლო მამა შაქირ ფაშა დაინიშნა ელჩად საბერძნეთში, სადაც გაიცნო ზაიდის დედა სარა ისმეთ ჰანიმი. 1913 წელს ზაიდის ოჯახს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. ზაიდის უფროსმა ძმამ, ჯევათმა, მამა სასიკვდილოდ დაჭრა.

ზაიდმა მხატვრობა ბავშვობიდანვე დაიწყო. მისი ერთ-ერთი პირველი ნახატი, რომელიც დღემდე შემორჩენილია, არის ბებიის პორტრეტი. 1919 წელს კი ზაიდი ჩაირიცხა სტამბოლის ქალთა სამხატვრო აკადემიაში.

19 წლის ასაკში ზაიდი დაქორწინდა მწერალ იზეთ მელიჰ დევრიმზე. თაფლობის თვე ვენეციაში გაატარეს და ზაიდი სწორედ აქ ეზიარა დასავლურ ხელოვნებას, რომელმაც მოგვიანებით მის მხატვრობაში საკმაოდ დიდი როლი ითამაშა. ზაიდს პირველი ქორწინებიდან სამი შვილი ეყოლა, თუმცა უფროსი ვაჟი ფარუქი სამი წლისა გარდაიცვალა ალისფერი ცხელებისგან. მეორე ვაჟი ნეჯადი მხატვარი გახდა, ხოლო ქალიშვილი, შირინი-მსახიობი.

1934 წელს ზაიდი დევრიმს დაშორდა და იქორწინა ერაყის პრინც ზაიდ ბინ ჰუსეინზე, რომელიც 1935 წელს დაინიშნა ერაყის ელჩად გერმანიაში. ბერლინში გადასვლის შემდეგ ზაიდი, როგორც ელჩის ცოლი, ბევრ წვეულებას მართავდა. ავსტრიის ანექსიის შემდეგ ელჩი და მისი

მეუღლე ერაყში დაბრუნდნენ და ბაღდადში განაგრძეს ცხოვრება. ბაღდადში ყოფნისას პრინცესა სევდამ მოიცვა, დეპრესია ტანჯავდა, ამიტომ ექიმის რჩევით ევროპაში დაბრუნდა. მომდევნო წლები პარიზში, სტამბოლსა და ბუდაპეშტში გაატარა. ხატვა იყო ერთადერთი რამ, რასაც შეეძლო მისი მდგომარეობის გაუმჯობესება.

*Fight Against Abstraction, 1947, ზეთი, ტილო, 101 x 151 სმ*

შემოქმედების ადრეულ ეტაპზე ძირითადად ხატავდა პორტრეტებს, ინტერიერს, გატაცებული იყო ხატოვანი ხელოვნებით. ამ პერიოდის ცნობილი ტილოებია: „ანტიკური პორტრეტი“; „ჩემი საზაფხულო სახლი“; „ცხოვრების სამი გზა(ომი)“; „მესამე კლასის მგზავრები“ და სხვ. 1945 წელს სტამბოლში ზაიდმა თავისივე ბინაში მოაწყო პირველი გამოფენა. მომდევნო წელს კი კიდევ ორი გამოფენა სტამბოლსა და იზმირში. იმავე წელს ბინ ჰუსეინი ლონდონში ერაყის ელჩად გაგზავნეს და ოჯახიც იქ გადასახლდა. ზაიდმა საელჩოს ერთ-ერთი ოთახი თავის სახელოსნოდ მოაწყო.

ამ პერიოდში ზაიდის ნამუშევრებში მკაფიოდ გამოიკვეთა დასავლური გავლენა, განსაკუთრებით კი-ფრანგული ომის შემდგომი აბსტრაქტული ფერწერა. მისი აბსტრაქტული ნამუშევრები შეფასებულია, როგორც ისლამური, ბიზანტიური, არაბული და სპარსული გავლენების სინთეზი, შერწყმული ევროპულ სამხატვრო მიღწევებთან.

ეს სურათი წარმოადგენს ერთგვარ გარდამტეხ წერტილს ზაიდის შემოქმედებაში; გადასვლა ხატოვანი(ფიგურული) ხელოვნებიდან აბსტრაქციაში. 40-იანი წლების ბოლოს ის მთლიანად აბსტრაქციაში გადაეშვა. ტილო ასახავს შინაგან ბრძოლას და იმ გამბედაობას, რაც ზაიდს სჭირდებოდა თავისი ახლებური ხედვის გადმოსაცემად. ეს დიდი ნაბიჯი იყო მუსლიმი ქალისთვის სახელოვნებო ასპარეზზე. სურათზე შეგვიძლია დავინახოთ სახეები, ხელები და შეკრული მუშტიც კი, რომელიც ადგილისთვის იბრძვის ტილოს მარცხენა ნაწილში.

*My Hell, 1951, ტილო, ზეთი, 205 x 528 სმ*

ზაიდის გამოფენები, რომლებიც პარიზსა და ლონდონში ეწყობოდა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ეს გამოწვეული იყო არა მხოლოდ მხატვრის ნამუშევრებით დაინტერესებით, არამედ მისი მაღალი წარმომავლობისა და სტატუსის გამოც. 1948 წელს წმინდა გიორგის გალერეაში მოწყობილი გამოფენის გახსნას დედოფალი ელისაბედ II-ც დაესწრო. 1950-იან წლებში ზაიდს უკვე მოპოვებული ჰქონდა საერთაშორისო აბსტრაქციონისტი მხატვარი ქალის სახელი.

ზაიდმა ეს მონუმენტური სურათი 1951 წელს შექმნა და ხატვის პროცესში ტილო სახელოსნოს ორ კედელზე ჰქონია გადაჭიმული. სახელიც, „ჩემი ჯოჯოხეთი“, სურათთან ერთად ნათლად გამოხატავს იმ ტკივილს და მძიმე წლებს, რაც პრინცესამ გამოიარა. ტილოზე ჩანს ევროპული აბსტრაქციონიზმისა და ისლამური ხელოვნების კონტრასტი. მთელს სურათზე

დომინირებს თეთრი და შავი ფორმები, ხოლო გვერდითა ნაწილებიდან შემოდის ყვითელი და წითელი ფერები. მარტივი სამკუთხედისებრი ფორმებისგან შექმნილია მოძრავი კომპოზიცია, რომელსაც ბევრი მის მთავარ შედევრს უწოდებს. ეს ნამუშევარი, ზაიდის შვილებმა სტამბოლის მუზეუმის თანამედროვე ხელოვნების კოლექციას გადასცეს საჩუქრად.



*Break of the Atom and Vegetal Life, 1962 ტილო, ზეთი 210 x 540 სმ*

1958 წელს ზაიდ ალ-ჰუსეინმა უარი თქვა მეფე ფაისალ II-ის რეგენტობაზე და ოჯახთან ერთად ნეპალის ყურეში, კუნძულ ისკიაზე გადავიდა საცხოვრებლად. ამავე წლის 14 ივლისს მოხდა სამხედრო გადატრიალება, რაც სამეფო ოჯახის წევრების დახვრეტითა და მონარქიის გაუქმებით დასრულდა. ზაიდის ოჯახი გადაურჩა სიკვდილს და მათ მისცეს გარკვეული დრო დაეტოვებინათ ქვეყანა. პრინცესა საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა. აქ იგი თითქოს ნელ-ნელა ჩამოსცილდა აბსტრაქციონიზმს და საკუთარი ოჯახის წევრების პორტრეტების შექმნა დაიწყო. ნოსტალგიამ ზაიდის ხელოვნება კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ორიგინალური გახადა.

1962 წელს ზაიდმა შექმნა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტილო- „ატომის დაშლა და მცენარეთა სიცოცხლე“. 2013 წლის ოქტომბერში, დუბაიში, კრისტის აუქციონზე ეს სურათი 2,741 მილიონ დოლარად გაიყიდა და ახლო აღმოსავლეთის მხატვრების ყველაზე ძვირადღირებული ნამუშევრების სათავეში მოექცა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ტილოს სავარაუდო ღირებულება 3-4 მილიონ დოლარამდე იყო. სურათი თითქოს ორ ნაწილადაა გაყოფილი. მარჯვენა ნაწილში დომინირებს წითელი, ხოლო მარცხენაში- მწვანე ფერი. მისი შვილის, რაად ბინ ზაიდის, სიყვებით ფაჰრელნისამ ეს ტილო უმოკლეს დროში, გასაოცარი ტემპით შეასრულა, რადგან ხატვის პროცესში თითქოს ტრანსში იმყოფებოდა და გარე სამყაროს, ფაქტობრივად, მოწყვეტილი იყო. ეს ერთ-ერთი ბოლო აბსტრაქტული სურათია, რომელიც ზაიდმა შექმნა.

*SOMEONE FROM THE PAST, 1980, ზეთი, ტილო 2.1 x 1.2 მ*

1975 წელს, მეუღლის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ ფაჰრელნისა ზაიდი იორდანიაში, შვილთან გადავიდა საცხოვრებლად, სადაც დააარსა თავისივე სახელობის სამხატვრო აკადემია. ის თხუთმეტი წელი ასწავლიდა ახალგაზრდა ქალებს ფერწერას. 70-იან წლებში ისევ

დაუბრუნდა პორტრეტების ხატვას, აბსტრაქციამ თითქოს მეორე პლანზე გადაინაცვლა. ამის გამო, ბუნებრივია, ჩნდებოდა კითხვები რაზეც ზაიდმა ამგვარად უპასუხა: „ჩემი აზრით, ის(პორტრეტები) ასევე აბსტრაქტულია, მათ შორის განსხვავება არაა. მე არ ვხატავ ადამიანის სახეს, ვცდილობ გამოვსახო მისი შინაგანი სამყარო. ადამიანის შინაგანი სამყარო კი- აბსტრაქტულია.“ პორტრეტების ფონი ძირითადად მონოქრომულია, სახეებს კი ნუშის ფორმის თვალები ამშვენებს, რომლებიც საკმაოდ მკვეთრადაა გამოსახული და მნახველის ყურადღბას იქცევს, ეს თვალები ძალიან სევდიანია და თითქმოს მათში ცრემლის მარცვალიც კი ჩანს.

„ვიღაც წარსულიდან“ 1980 წელს შექმნილი ავტოპორტრეტია, სადაც სხვადასხვა კულტურული გავლენების გაერთიანება იგრძნობა. ყურადღებას იქცევს ბიზანტიური სამოსი; თვალები ნუშის ფორმისაა, გრძელი თხელი თითები კი სპარსულ სტილშია შესრულებული. ეს ელემენტები, ფაჰრელნისა ზაიდის თქმით, აღნიშნავს იმას რომ, ის ოთხი ცივილიზაციის შთამომავალია, თუმცა ეს ნაბიჯი გამიზნული არ ყოფილა და ელემენტები თავისდაუნებურად ხატვის პროცესში გამოიხატა.

მხატვარი პრინცესა 1991 წელს, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. ფაჰრელნისა ზაიდი გამორჩეული ხელოვანი იყო არა მხოლოდ მისი განსაკუთრებული სტილით, არამედ იმითაც, რომ ის იყო ქალი, რომელმაც თავისი შემოქმედებით დააკავშირა აღმოსავლური და დასავლური სამყარო. ამის დასტურია, ის , რომ დღეს მისი ნამუშევრები ინახება მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში, მათ შორის: ტეიტის თანამედროვე ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში(ლონდონი), მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში(ნიუ-იორკი), გუგენჰაიმის ეროვნულ მუზეუმში(აბუ-დაბი), სტამბოლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში(სტამბოლი)...

# სალაჰ ად-დინის ციტადელი

## قلعة صلاح الدين

სალაჰ ად-დინ იუსუფ იბნ აიუბი, ევროპაში ცნობილი როგორც სალადინი (დ. 1137/1138 - გ. 4 მარტი 1193), იყო ეგვიპტის სულთანი 1171 წლიდან და აიუბიდების დინასტიის დამაარსებელი.

დაიბადა ერაყის ქალაქ ტიკრიტში, საიდანაც მისი ოჯახი გააძევეს მოსულში. 1164-69 მონაწილეობდა მოსულის მმართველების - ზენგიდების - ლაშქრობაში ეგვიპტეში. 1169 დაინიშნა ეგვიპტის ვეზირად, ხოლო 1171 ხელთ იგდო ერთპიროვნული ძალაუფლება და სულთნის ტიტული მიიღო. ამ დროიდან იწყება ეგვიპტეში მისი სახელობის ფულის მოჭრაც. 1174-76 დამპყრობლური ომების შედეგად შეიერთა სირია, შუამდინარეთი, იემენი და შემქნა ვრცელი იმპერია რომელიც წინ აღუდგა ჯვაროსნულ ლაშქრობებს. 1187 წლის 3-4 ივლისს სალადინის ჯარებმა დაამარცხეს ჯვაროსნები სოფელ ჰატინთან (პალესტინა); იმავე წლის 2 ოქტომბერს აიღეს იერუსალიმი და ევროპელები განდევნეს სირიისა და პალესტინის დიდი ნაწილიდან. 1191 წ. სალადინი დაუპირისპირდა ინგლისის მეფის რიჩარდ ლომგულს(1189-1199), ის დამარცხდა, მაგრამ რიჩარდმა იერუსალიმის აღება ვერ შეძლო. ორი მონარქის ურთიერთობა, რომელიც საბრძოლო დაპირისპირების გარდა რაინდულ ურთიერთპატივისცემაზე იყო აგებული, აირეკლა იმდროინდელ ევროპულ რომანსებში. საბოლოოდ, 1192 წ. ზავმა პალესტინაში მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დროებით სიმშვიდე ჩამოაგდო. სალადინი გარდაიცვალა დამასკოში, 1193 წ. 4 მარტს.

სალაჰ ად-დინი იყო ჯვაროსნების ერთ-ერთი მთავარი მეტოქე. მიუხედავად ამისა, მას დიდი პატივისცემით მოიხსენიებდნენ მთელს ქრისტიანულ ევროპაში. ეს პატივისცემა კი დაკავშირებული იყო მის რაინდულ თბისებებთან.

რაც შეეხება სალაჰ ად-დინის ციტადელს, ის წარმოადგენს ისლამური კაიროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღირსშესანიშნაობას და ითვლება შუა საუკუნეების უმდიდრეს საბრძოლო ციხე-სიმაგრედ. მდებარეობს მუყატტამის მთაზე და აქვს ძალიან კარგი სტრატეგიული მდებარეობა. ისტორიამ, სამწუხაროდ, ვერ შემოგვინახა ფაქტები პირველი მშენებლობის შესახებ. დაარსების თარიღად და ათვლის წერტილად მიიჩნევა 975 წელი, როცა აქ მოვიდნენ ბიზანტიელები. 1108 წლამდე ამ ტერიტორიას აკონტროლებდა ბიზანტიის იმპერია. ამის შემდგომ, ციხე-სიმაგრეს დაეუფლნენ ფრანკები, რომლებსაც მეთაურობდა რაინდი რობერტ საონსკი. მოგვიანებით, ანტიოქიის სამთავრომ იგდო

ხელთ ეს ტერიტორია. იქ მცხოვრები ქრისტიანები ცდილობდნენ, რომ ციხე-სიმაგრე მიუვალი ყოფილიყო და შიგნით აგებდნენ საცხოვრებლებს, ეკლესიებს, ცისტერნებს, სადაც წყალს ინახავდნენ.

1188 წელს სალაჰ ად-დინმა თავისი ლაშქრით დაიმორჩილა ციხე-სიმაგრე და ძირ-ფესვიანად შეცვალა ყველაფერი. მან ციტადელის შიდა სივრცეში დაიწყო მეჩეთების აგება. დიდი ყურადღება მიექცა სასახლის მშენებლობას, თავისი ბაღით, აივნებითა და აბანოებით. სამწუხაროდ, სულთანი ციტადელის საბოლოო სახის ხილვას ვერ მოესწრო. მისი მშენებლობა დაასრულა სულთან ქამილმა, რომლის დროსაც ეს ადგილი იქცა ეგვიპტის მთავრობის რეზიდენციად. 1287 წელს ციტადელს საფრთხე დაემუქრა და საბოლოოდ იგი მამლუქებმა დაიმორჩილეს. უფრო მოგვიანებით, ტერიტორიას მართავდა სულთანი კალაუნი, ხოლო ციტადელი ტრიპოლის პროვინციის გავლენის ქვეშ მოექცა.

ციხე-სიმაგრე მოწმეა მრავალი ისტორიული მოვლენისა. დაწყებული ჯვაროსნული ლაშქრობებიდან, დამთავრებული მუჰამად ალის მოღვაწეობით(ძვ. წ. 1220-1264 AH / 1805-1848).

ამბობენ, რომ ციხე-სიმაგრესთან სუფთა ჰაერი იყო და ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ადგილის შერჩევისა.

ლეგენდის მიხედვით, სალადინმა საქონლის ხორცის ნაჭრები კაიროს სხვადასხვა უბანში ჩამოკიდა. ერთ-ერთი ადგილი სწორედ კაიროს ციტადელის ტერიტორია იყო. ხორცის ნაჭრები ყველგან გაფუჭდა და მხოლოდ ციტადელის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკიდულმა ნაჭრებმა შეინარჩუნა პირვანდელი ფორმა და ხარისხი. ამიტომაც, სწორედ ამ ადგილას გადაწყდა მშენებლობის დაწყება.

ციტადელთან სამი მეჩეთია განთავრებული. ესენია ალ-ნასირ მუჰამადის მეჩეთი - ადრეული მამლუქების პერიოდიდან; სულეიმან ფაშას მე-16 საუკუნის მეჩეთი, რომელიც პირველი ოსმალური სტილის მეჩეთია ციტადელში; მესამე კი მუჰამად ალის მეჩეთია, რომელიც კაიროს ციტადელის წვერზე მდებარეობს. მშენებლობა კი მიმდინარეობდა 1828-1848 წლებში.

მუჰამად ალის მეჩეთი

მეჩეთი აშენდა მუჰამად ალის უფროსი ვაჟის - ტუსუნ ფაშას ხსოვნის უკვდავსაყოფად. ის გარდაიცვალა 1816 წელს.

მუჰამად ალის მეჩეთი მდებარეობს ციტადელის ყველაზე მაღალ წერტილზე. მართალია, ეს მეჩეთი კაიროში არც ყველაზე დიდია და არც ყველაზე ძველი, მაგრამ ქალაქის ერთ-ერთ ღირსესანიშნაობად არის მიჩნეული და ამას აქვს რამდენიმე მიზეზი:

მისი ექსტერიერი გამორჩეულია, რადგან შესრულებულია ოსმალურ სტილზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია მინარეთები და გუმბათები.

ცნობილი ფაქტია, რომ მუჰამად ალის სურდა მამლუქების საბოლოო გაქრობა და მიაღწია კიდეც ამ საწადელს. უამრავი მამლუქი სიცოცხლეს გამოესალმა სწორედ ციტადელის სასახლის ეზოში. მას უნდოდა, რომ რეკონსტრუქცია გაეკეთებინა ციხე-სიმაგრისთვის,

ამიტომაც მამლუქების აშენებულ შენობებს ანგრევდა და აშენებდა თავისებს. თავიდან არქიტექტორად დანიშნა ფრანგი პასკალ კოსტე. ამ უკანასკნელმა სულთანს შესთავაზა ეგვიპტური სტილის გეგმა, თუმცა ბუნებრივია მისთვის ეს მიუღებელი იქნებოდა, რადგან მამლუქების კვალის გაქრობა სურდა. ამიტომაც, სტამბულიდან მოიწვია იუსუფ ბუშნაკი. მას კი გეგმაში ჰქონდა ოსმალური სტილის შენობების აგება. სულთანმა მიიღო ეს პროექტი.

მშენებლობა დაიწყო 1830 წელს და დამთავრდა 1848 წელს. მშენებლობა საბოლოოდ დასრულდა საიდ ფაშას დროს 1857 წელს. მუჰამედ ალის მეჩეთი გახდა სიმბოლო ეგვიპტის დამოუკიდებლობისა ოსმალეთის იმპერიისგან. სულთანი ოცნებობდა, რომ კაირო გამხდარიყო ''მეორე სტამბული'' ან ''პარიზი აფრიკაში'', ეს მეჩეთი კი ამ გეგმის მხოლოდ დასაწყისს წარმოადგენდა, თუმცა საბოლოოდ მან ვერ მოახერხა ამ იდეის განხორციელება.


ლიტერატურა

## საბაჰათინ ალი



საბაჰათინ ალი 1907 წლის 25 თებერვალს დაიბადა. იგი იყო ნოველისტი, პოეტი, ჟურნალისტი.

ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში დაიწყო ათათურქის პარტიის გაკრიტიკება, რის გამოც დააპატიმრეს 1933 წელს.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ფინანსური პრობლემები შეექმნა. მოგზაურობის დროს იგი მოკლეს ხელისუფლების დაკვეთით 1948 წლის აპრილის დასაწყისში.

საბაჰათინ ალი საუკეთესო ნოველისტად მიიჩნევა თურქეთში.

## მოულოდნელად ჩამქრალი კანდელის ამბავი

ჩემი სნეული ნერვების გამო მირჩიეს ამ უკაცრიელ და მშვიდ ადგილებში მესეირნა და სწორედ ამ ადგილებიდან ვბრუნდებოდი საღამოს დიდი ხნის სეირნობის შემდეგ. ცხელი შემოდგომის დღის მიწურული იყო . ბუნება, რომელიც ღამის მოახლოებას გრძნობდა, ადგილს ვერ პოულობდა. ცდილობდა, თავისი რხევა-რყევით საღამოს სიგრილე უფრო ხარბად შეესუნთქა.

როდესაც სველი თოკის მსგავსად მბზინავ მინდვრებს შორის მოქცეულ ბილიკებს მივუყვებოდი, მოპირდაპირე გორაკზე მდგარმა ქვის მაღალმა შენობამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. წითელთვალება მოჩვენებას ემსგავსებოდა იგი მაშინ, როცა მზე მის უფარდო ფანჯრებს ურტყამდა. ღობეჩამონგრეული ბაღჩის შუაგულში გადავაწყდი სევდისმომგვრელ დიდებულ სანახაობას, რომელიც ან დანგრეულ ციხე-სიმაგრეს, ან მიტოვებულ სასახლეს მოგაგონებდათ.

ამ შენობის ნახვის სურვილმა შემიპყრო, თან ვიფიქრე, არც ისე გვიანი იყო. გამხმარი მინდვრების გავლის შემდეგ, ნახევრად ღია, ჟანგიან კარს ჩავუარე. იქიდან კი-ქვაღორღიან გზას გავუყევი. ორივე მხრიდან გარშემორტყმული ვიყავი ველური ხეებითა და ძველი ყვავილნარებით. ამომშრალი აუზის ნაპირას კი მარმარილოს ძველი ქოთნები ელაგა. მათ შორის , როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, თეთრ ქრიზანთემას გაუხარია, რომელსაც თითქოს იმ შავი ფარდის მიღმა დამალული წარსულის ჩვენება მოვალეობად ჰქონდა დაკისრებული. შენობა, რომელთან მიახლოებაც კი ადამიანს უმიზეზოდ შეაცბუნებდა, უცნაური სტილისა იყო. იგი არ ჰგავდა არცერთ სხვა არქიტექტურულ სტილს: ცილინდრის ფორმის შენობა, რომლის დიამეტრი არ აღემატებოდა 12 მეტრს, უეცრად ვიწროვდება და და,ამგვარად, დეტალი, რომელიც კოშკს მოგაგონებდათ, სივრცეში უფრო იშლებოდა და შუშის გუმბათით გვირგვინდებოდა. მთელი შენობა კი მოგაგონებდათ ზეთის ძველებურ კანდელს.

შეუძლებელი იყო, რაიმე აზრი მოგსვლოდა კითხვაზე, თუ რატომ ააშენეს ის ამ გზით და რა ჯოჯოხეთური ქარი ბობოქრობდა აქ. ვიწრო, გრძელი ფანჯრების მიღმა

ვერაფერს დაინახავდით შემაძრწუნებელი სიბნელის გარდა.

ქვის რამდენიმე საფეხური ავიარე და დაჟანგულ, დალურსმნულ, დიდ კარებს მივუახლოვდი. მივეყრდენი ხეებს, რომელთაც წლებია, ადამიანის ხელი არ შეხებია და ლპობისკენ მიუქცევიათ პირი.

დიდხანს ვუცქერდი ნახევრად ჩასული მზის უკანასკნელ წითელ სხივებს, რომელთაც ის გველის ენასავით იწვდიდა. ვუყურებდი გაყვითლებულ მდელოებს და მუჭა-მუჭად შეგროვილ ღრუბლებს. არაფერი არ მოძრაობდა ჩემ გარშემო. ხვლიკებიც კი, ხავსიან ქვებზე შებინდების ყურება-ყურებით ნელა მიიწევდნენ წინ. აქა-იქ გაიგონებდით ბზარის ხმას, თითქოს ხის სველ დაფები ჭრიალებდნენ მზეზე.

ამ უხმაურო წყვდიადში მომესმა ყრუ ხმა, როგორსაც გამოსცემს ღრმა ჭაში ქვების გარკვეული ინტერვალებით ჩაგდება. ჯერ ვერ ვსაზღვრავდი, საიდან მოდიოდა ეს ხმაური. მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, რომ თურმე ეს ხმები სახლიდან აღწევდა ჩემს ყურთასმენამდე.

ხმები იმავე ინტერვალებით მოაბიჯებდნენ ჩემკენ. ეს ხმები უფრო მეტად მოეფინა არემარეს და დაეშვა მძიმე ნაბიჯებით ქვის კიბის საფეხურებზე და შეწყდა იმ კართან, რომელსაც მე ვეყრდნობოდი. ერთდროულად მომიცვა შიშმა, ცნობისმოყვარეობამ და გაოცებამ. თავს ვერ ვატრიალებდი, მაგრამ ვგრძნობდი , როგორ ნელა, უხმაუროდ იღებოდა კარი და ყინულივით ცივი სუნთქვა ისადგურებდა ჩემს კეფაზე. მთელი ძალით მოვტრიალდი და ამ შებინდებისას გადავაწყდი ჩონჩხად ქცეულ, წითელ, დიდთავა, იდუმალ კაცს.

ჯოჯოხეთის მცენარეთა ბოჭკოებს მოგაგონებდათ მისი წითური თმა და წვერი. ჰქონდა საოცრად დაჭორფლილი კანი. თვალები... წითურ, დაჭორფლილ ქუთუთოებს შორის კი მოუჩანდა ფერმკრთალი მწვანე თვალები, გრანიტის ხავსის მსგავსი. მაგრამ ეს თვალები სრულიად არაფრის მთქმელი იყო.

ტანთ ემოსა შავი, გახუნებული სამოსი. ფეხზე კი- ლაქის დაძველებული ჩექმები. კაცი იფიქრებდა, რომ ვიღაცის დაკრძალვის დღიდან მოყოლებული, უკვე წლებია, არცერთხელ არ გაუხდია და ერთსა და იმავე ტანისამოსში დახეტიალობს. და ახლა ეს შავი სამოსი მის ჩამომხმარ ტანზე თვალშისაცემად ფართო მოგეჩვენებოდათ, რაც ყველაფერთან ერთად, მას საშიშ შესახედაობასაც აძლევდა.

ხელი გამომიწოდა.- ო, ღმერთო. ასე არასდროს არაფრის და არავისი შემშინებია ამქვეყნად. მისი ხელები ისეთი მილეული, ისეთი უსიცოცხლო იყო... ამ მოსასხამში, რომელსაც სიშავის გამო ღამის სიბნელისგან ვერ განარჩევდით, ის ჰგავდა ჰაერში ჩამოკიდებულს. ამ დროს დავიყვირე შიშისგან , თითქოს ბუ შემომჯდარიყო უეცრად ჩემს მხარზე.

-რა გნებავთ?

ის მშვიდად დაიხარა და მსუბუქი ხმით, რომელიც არა გულ-მკერდიდან, არამედ პირიდან ამოსდიოდა, მკითხა:

-თქვენ იცით მოულოდნელად ჩამქრალი კანდელის ამბავი ?

არა! - ვუპასუხე.-ო...არა...-

-თუ ასეა, გამომყევით!

დავემორჩილე და გავყევი, რადგან სხვა გზა არ მქონდა. მისი ყოველი თითის შეხება ჩემს მკლავზე გაუსაძლისი ტკივილის ტოლფასი იყო.

გავიარეთ სრიალა ადგილი და შევუდექით იმ ვიწრო ქვის კიბეებზე ასვლას, რომელიც მინარეთის კიბეს მახსენებდა. აქამდე ასე ძალიან არაფრის შემშინებია. წყვდიადი სახეზე ბუს ფრთასავით მეთამაშებოდა, მისი სურნელება კი ძვალ-რბილში მატანდა.

ჩვენი გადაადგილებისას გარშემორტყმული კედლებიდან

წამოსული ბათქაშის ხმა ნაბიჯების ყრუ ხმას ერეოდა. და მე, მიუხედავად ჩემი ასეთი დიდი შიშისა, არ დავნებდი და კიბეს, რომელიც არც ვიცოდი სად და როგორ დასრულდებოდა, ბოლომდე ავუყევი. ჩემს მხარზე გადმოდიოდა ძალა, რომელიც შიგნიდან მჭამდა და იმისთვის, რომ არ ჩამოვრჩენოდი, უვიწროეს საფეხურებზე მაიძულებდა, სწრაფ-სწრაფად მევლო. ყოველ სართულთან მოახლოებისას, ჯერ ჩნდებოდა ჩემი წინამძღოლის თავი აბურდული თმებით და შემდეგ გამოჩნდებოდა ხოლმე სინათლე, რომელიც ვრცელდებოდა მთელ მის სხეულზე. ეჰ...ღამე ამ კიბეებიდან ძალიან ნათელი ჩანდა.

ყოველ სართულზე შეამჩნევდით ნახევრად ღია კარებს. კარებს ცარიელ ოთახებში შეჰყავდით... და ღამე, რომელიც სხივის სახით შემოდიოდა, ჩვენამდე ამ უვიწროესი ფანჯრებიდან აღწევდა. ფანჯრების მიღმა კი ხეების სილუეტები, შერეული მთები,

სიცოცხლისა და სინათლის სამყარო გადაშლილიყო. ამ სინათლემ კითხვის დასმის ერთგვარი გამბედაობა შემმატა.

-საით მივდივართ? რატომ მივდივართ?

ჩემკენ იხრება მისი ყინულივით ცივი სუნთქვა, რომელიც ჩემს სახეზე დათარეშობდა. ის კვლავ იმავეს მიმეორებს:

-იცი მოულოდნელად ჩამქრალი კანდელის ამბავი?

-არა!

-მაშინ წინ იარე!

მისი თითების შეხებისგან მთელ სხეულში მაჟრიალებდა. ტაატით მივბობღავდი წინ.

ამჯერადაც კიბეებზე ასვლისას ჯერ თავი ქრებოდა და ჩემს წინ რჩებოდა მხოლოდ შავი, ფართო შარვალში ჩარგული ხის ტოტის მსგავსი ფეხები, რომლებიც სწრაფ-სწრაფად ინაცვლებდნენ ადგილს საფეხურიდან საფეხურამდე. ამასობაში მესმის, როგორ ირევა ერთმანეთში ჩვენი ნაბიჯებისა და მიწიდან წამოსული კივილის შემზარავი ხმები ერთმანეთში.

ამის შემდეგ მოდიოდა მეორე და მესამე სართული. კვლავ ნახევრად ღია კარები, ცარიელი ოთახები, ფანჯრები, რომლებიც დანით მიყენებულ ჭრილობას ჰგავდა და ვიწრო, გრძელი, შავი ხეები, რომელთაც მხოლოდ რამდენიმე ფოთოლი შემორჩენიათ.

ყოველ სართულზე უფრო და უფრო დაუძლურებული, ტუჩების ცახცახით ვეკითხებოდი:

-საით მივდივართ? რატომ მივდივართ?

მაგრამ პასუხი არ იცვლებოდა.

-იცით მოულოდნელად ჩამქრალი კანდელის ამბავი ? მაშინ, იარეთ!

და საშიში გასასვლელი თავიდან იწყებოდა. როგორც იქნა, შევჩერდით. შევჩერდით მაშინ, როცა მე უკვე დავიწყებული მქონდა ჩემი ვინაობა და ადგილსამყოფელი და ისიც, რამდენ ხანს მივუყვებოდი ამ უსასრულო აღმართს. ჩვენ სახურავიდან აღმოვჩნდით დანიშნულების ადგილას. იმ დროს, როდესაც მან ჩემს მხარს ხელი გაუშვა, რათა სახურავი კვლავ დაეხურა,

ღრმა ძილიდან გამორკვეულივით ირგვლივ მიმოვიხედე. ეს იყო მრგვალი ოთახი. შუშის გუმბათის დანახვისთანავე მივხვდი, რომ ჩვენ კოშკის ყველაზე მაღალ სართულზე ვიმყოფებოდით. ეს ოთახი, ყველა ოთახისგან განსხვავებით, ლამაზად იყო მოწყობილი. შავბნელი კედლების კიდეებზე დიდებული სავარძლების ჩრდილები იპყრობდა ჩემს ყურადღებას. გუმბათის ქვეშ ოთახის შუაში იდგა მრგვალი ფორმის მაგიდა, რომელზეც იდგა ზეთის კანდელი უმოძრაო, მსუბუქი ალით. კანდელი ზუსტად იმ შენობის ფორმისა იყო, რომელშიც ვიმყოფებოდით.

შორს, კუთხეში იდგა საწოლი, რომელზეც თითქოს ვიღაც იწვა, მაგრამ კარგად ვერ

ვარჩევდი, მართლა იწვა თუ არა მასზე ვინმე. აუტანელმა ცნობისმოყვარეობამ მიბიძგა, ახლოს მივსულიყავი და მენახა. ვნახე... ისე დავიღრიალე, როგორც ყულფმოჭერილმა ცხოველმა. იქ ჩონჩხი იწვა. ჩამომხმარი და გაშავებული ხორცი ლოყის ძვლებს მისწებებია, ხოლო ყვითელი თმები მიმოფანტულად ელაგა დალპობილ ბალიშზე.

იმ წამს გაისმა ხარხარი , დამსხვრეული შუშის მსგავსი, რომელმაც ყურთასმენა წამიღო. შავსამოსიანი მომიბრუნდა:

-ძალიან შეგეშინდა ? -მკითხა - რატომ? რატომ გეშინია ? შენგან, ანუ სიცოცხლისგან განსხვავებული რამ გგონია, არა ? მაგრამ ეს ხომ სისულელეა ?! ის ჩვენგან, ჩვენ კი მისგან არაფრით არ განვსხვავდებით. განა ეს კბილები არაა, დიდებული კბილები ... ნეტა იცოდე, რა ტკბილი სიტყვების წარმოთქმა შეეძლო მის ბაგეებს, ჩვენს ლაპარაკს ის ვერც შეედრებოდა. ამ კბილების ნახვას , რომელთა ნახვაც შენში ახლა ზიზღს იწვევს, სულმოუთქმელად ელოდნენ. სულმოუთქმელად ელოდნენ მის გაღიმებას, რათა მათი მშვენიერებით დამტკბარიყვნენ. ეს თმები, რომლებიც მის ყელს შემოხვევია და შენ ასე ძლიერ დახრჩობის შიშით შეუპყრიხარ, ვარაუდით მაინც თუ შეგიძლია ივარაუდო, რომ ადრე მზისქვეშეთში სიცოცხლით სავსე მბზინვარება რომ ჰქონდათ?

ეს ქალი ჩემი იყო. როგორც ეს ხელები და ეს პირი, რომელიც გელაპარაკებათ არის - ჩემი, ისიც ასევე მე მეკუთვნოდა. იცი, რა იოლად შეძლო ჩემი მკლავებიდან გათავისუფლება?

ჩვენ შორის არ არსებობდა არანაირი მანძილი. მის მდგომარეობამდე მისასვლელად სულაც არ გვჭირდება რაიმე საბაბი. ჩვენ ამ ჩონჩხს ისე ძლიერ ვგავართ, რომ მხოლოდ ისეთ ბრმა და ბრიყვ არსებას თუ შეეშინდება მისი, როგორიც ადამიანია.

ამ კაცის ხმა მუდმივად იცვლებოდა. თითქოს მის ყელში ფარდა ყოფილიყო, რომელიც იწეოდა მაშინ, როცა მრისხანება იპყრობდა მის სულს, ხოლო როგორც კი ეს ბრაზი უნელდებოდა, ფარდაც დაბლა ეშვებოდა და ხმა არა მისგან, არამედ კედლიდან წამოსულს ემსგავსებოდა.

სიტყვებს თავს ვერ ვუყრიდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა და გაუბედავად ვკითხე:

-რა გახდა მიზეზი სიკვდილისა, რომელმაც ასე შეგძრათ, მაგრამ ჭეშმარიტებასთან დაგაახლოვათ? რა?

-არც არაფერი !- მიპასუხა. -არც არაფერი არ ყოფილა ამის მიზეზი. შენსავით ცხოვრებას ჩაბღაუჭებული , ამ ქვის შენობასავით მყარი იყო. შემდეგ ხელით შუშის გუმბათზე მანიშნა და - ამ ვარსკვლავებივით გასხივოსნებული და მშვენიერი იყო- დასძინა.

ბედნიერების სიმხურვალეს ცეცხლივით ვგრძნობდით, მისი ალით ვთბებოდით და ვანათებდით...მაგრამ...

ხმა ისევ შენელდა:

-მაგრამ იცი? არსებობს ერთი ძალა, რომელიც ამ ზეთის კანდელებს სრულიად მოულოდნელად აქრობს. როცა ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა, სახეში შევხედე:

-მოდი-მითხრა,- ერთად წავიკითხოთ მოულოდნელად ჩამქრალი კანდელის ამბავი და მაშინ შეიტყობ ამ ქალის სიკვდილის ამბავსაც. ის მიუახლოვდა ოთახის შუაში მდგარ მაგიდას და აიღო ხავერდოვანი, თხელი წიგნი, რომელიც კანდელის წინ იდო.

-ეს, ახლა რომ უყურებ იმ გარდაცვლილის წინაპრის დაწერილია,- თქვა.

დიდი ტახტი მაგიდასთან მოსწია. გვერდიგვერდ დავსხედით. და მე, გამხმარ ფოთლისფერ და სქელ ფურცლებზე ვკითხულობდი ძველ, მაგრამ გასაგებ

ხელნაწერს. თვალები შიგადაშიგ გამირბოდა ჩვენგან მოშორებით მწოლიარე ჩონჩხისკენ და თან ვუყურებდი სფინქსივით მდგარ კაცს, რომელსაც თავზე წითელი შუქი ურტყამდა:

“ასობით ნაწარმოების ავტორი ვარ. ყოველ ჩემს ნაშრომში ჩემი გულისა და სულის ნაწილს ვაქსოვდი. ჩემი ნაშრომები ახლოს იდგა ჭეშმარიტებასთან, მაგრამ მე ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ჩემს ნაწერებში ვერასდროს ვიპოვიდი სიმართლის ნასახს. არაფრით

განვსხვავდებოდი სხვა დიდებული მწერლებისგან: ის, რაზეც მე ვსაუბრობ არის მხოლოდ იმ სიტყვების შეცვლილი ვერსია, რომლებიც ჩემამდე უკვე არაერთხელ იყო გამეორებული სხვათა ნაწერებში. მე მინდოდა უბრალოდ ისეთი რამის თქმა, რაც ჯერ ყურებს არ ჰქონდა გაგონილი და მსურდა, თვალით შემოსაზღვრულ სამყაროს გავცდენოდი. ნიკაპით ხელისგულებს, ხოლო იდაყვებით მუხლებს დავეყრდენი, მიწას მივაშტერდი და შემდეგ ჰორიზონტს გავხედე . მოვისურვე, მენახა და მცოდნოდა ის, რასაც ჩემი თვალები ვერ ხედავდნენ. მიწა დამცინავად დუმდა, ხოლო ჰორიზონტი უდარდელად, გულგრილად მტოვებდა და გარბოდა ჩემი თვალსაწიერიდან. მეუბნებოდნენ „შენი თვალები ზედმეტად სუსტი და უძლურია იმის სანახავად, რაც ჩვენ საიდუმლოდ დავტოვეთ. მაშ, როგორ აპირებ იმ სიმართლის გამხელას, რომელსაც ჩვენ ასე მოწადინებით ვმალავთ?... მაგრამ მე ძებნა არ შემიწყვეტია. ვეძებდი და ვეძებდი.

ერთ დღესაც ისევ, მაგიდაზე დალაგებულ რვეულებში ჩავიძირე, თეთრ ქაღალდზე მიმოფანტულ წვერის ღერებს დავცქეროდი. მინდოდა, თითოეული წვერი თხელ, ნაზ კალმად ქცეულიყო და ეს ფურცლები გაევსო პასუხებით, რომელთა ძიებისთვისაც ძალღონეს არ ვიშურებდი. მაგრამ მოულოდნელად ქაღალდი და წვერი გაუჩინარდა. ჩემს ოთახში უეცრად ჩამობნელდა. როცა თავი ავწიე, კანდელი, რომელიც წლებია არცერთხელ არ ჩამქრალა, ჩამქრალი დამხვდა. ვინაიდან არც ქარი ყოფილა და არც სხვა წინაპირობა, რასაც შეეძლო ჩაექრო იგი, დავეჭვდი, რომ ზეთი იყო ჩამთავრებული. ხელში ავიღე და დავაკვირდი. ვნახე, რომ ყველაფერი წესრიგში იყო - ზეთიც და პატრუქიც. დავაპირე, ისევ დამენთო... მაგრამ საოცრება! არ ინთებოდა. მხოლოდ უსიამოვნო სუნს ვგრძნობდი. ის წითელი ალი კი სულაც არ ჰგავდა ძველებურ მოგიზგიზე ალს.

მანამ, სანამ ვფიქრობდი ჩაქრობის მიზეზზე, დაკარგული ალის მსგავსი სინათლე ვიგრძენი საკუთარ თავში. ჩემ წინ არსებული კანდელის უკან იდო მისი მსგავსი განუსაზღვრელი რაოდენობის სხვა კანდელებიც. ზოგი ჩემი კანდელის მსგავსად ჩამქრალა, ზოგი კი იწვოდა წითელი, უცვლელი ალით. მაგრამ შიგადაშიგ მათგან ერთ-ერთი , სრულიად უმიზეზოდ ნელა ქვრებოდა. ჩამქრალი კანდელების კვლავ დანთება კი შეუძლებელი ხდებოდა.

გამოვფხიზლდი. საკუთარ თავს შთავაგონე, რომ სიმართლე, რომელსაც ასეთ მონდომებით დავეძებდი, აქ უნდა მეძებნა. მინდოდა ერთხელ და სამუდამოდ გამერკვია მიზეზი კანდელების ჩაქრობისა.

ამისთვის მე ავაშენე ჩემი კანდელის ფორმის შენობა და იქ გადავედი საცხოვრებლად. ვიცოდი, რომ იმ დიდებულ ჭეშმარიტებას, რომელიც ვგრძნობდი, რომ ჩემ გარშემო ტრიალებდა, აქ ვიპოვიდი. ახლა კი, როცა ამ ოთახში ჩემს უახლოეს ადამიანებსაც არ ვრთავ შემოსვლის ნებას, თვალებს ვაცეცებ ზემოთ და იქ, სადღაც მაღლა დავეძებ ჩამქრალი ლამპრის ცეცხლს. თან ვაგრძელებდი კანდელების სულისშემძვრელი ისტორიების კითხვას.

ვხედავდი ორ ნათურას, რომლებიც ერთმანეთისკენ იხრებოდნენ და იჩენდნენ სურვილს, ერთმანეთს შეერთებოდნენ. მათ შორის აბრეშუმის ქსოვილის მსგავსად გახვეული და მბრწყინავი შუქის სხივები ციმციმებდა. ისეთი საოცარი მსგავსებით ანათებდნენ, ვერც კი წარმოიდგენდით, რომ ამ ორი ალის წყარო სხვადასხვა კანდელი იყო. მაგრამ ერთ დღეს, კანდელი, რომელიც ბლომად იყო მომარაგებული ზეთით, მოულოდნელად ჩაქრა. მეორე მოციმციმე შუქიც, რომელსაც თითქოს სურდა, შეენარჩუნებინა გლოვის ელფერი, არ დააყოვნა და მასთან ერთად ჩაქრა.

მე შევამჩნიე კიდევ ოთხი თუ ხუთი სამარი ხმალივით მოელვარე და დიდი კანდელების გვერდით წიწილებივით პატარა ზომის კანდელები. ისინი ერთად წვის სიხარულით იწვოდნენ, მაგრამ გულგრილმა ქარმა ყოველი მათგანი განურჩევლად ჩააქრო.

მე უკვე ერთი სული მქონდა, გამეგო, რომელი ურყევი ძალა ართმევს მათ ცეცხლს. ამ დროს დავინახე ახალი, ლამაზი და მოოქროვილი ზეთის კანდელი. აშკარა იყო, რომ ოსტატის ნახელავი იყო, რადგან საოცრად თვალისმომჭრელი დახვეწილობით გამოირჩეოდა. წყალში მოქცეული მისი ტკბილი შუქი მოგაგონებდათ შიშველ მხრებზე ჩამოყრილ წაბლისფერ თმებს.

და მისი ალი ისეთი ქათქათა და სიცოცხლით სავსე იყო, რომ გეგონებოდა ის ამით უსასრულობას გამოხატავდა, მაგრამ უჩინარ ძალას მისი სიცოცხლე უნდა შეემოკლებინა.

მაგრამ ისიც, როგორც სიზმარი ისე სწრაფად გაქრა. ნუთუ ძალას, რომელიც ასე მოულოდნელად და უმიზეზოდ აქრობდა წვის სურვილით შეპყრობილ კანდელებს, ჰქონდა ისეთი ლამაზი თავშესაფარი მათ დასამალად, როგორიც მათ მშვენიერებას შეეფერებოდა?

წიგნი, რომლის ბოლოსაც ვუახლოვდებოდი, ხელისგულებს შორის მოვაქციე და დავიწყე იმ სტრიქონების კითხვა, რომლებიც მორჩილებასა და ნდობას მიცხადებდნენ და უარს ამბობდნენ ამბოხებასა და სიბრაზეზე. თან ხელში მეჭირა კანდელის წითლად მბჟუტავი შუქი.

“ვგრძნობდი, რომ მაქსიმალურად უნდა გამეწყვიტა კავშირი ჩემს გარესამყაროსთან, რათა საბოლოო მიზნისთვის მიმეღწია. სხეულში გაუგონარი მტვრევის ხმა გონებას უფრო მინათებდა. ხელების კანკალი უფრო გამიმძაფრდა. ყველაფერს, რასაც ვხედავდი, დავუწყე მედგარი თვალით ყურება. ჰოი, ჭეშმარიტებავ, მე შენ ფეხდაფეხ მოგდევ და მალე, ძალიან მალე დაგიჭერ”.

სხვა გვერდები გრძელდებოდა არეული ხელნაწერით.

“ვხედავ... ვხედავ შავ ხელს, რომელიც ამ მბჟუტავ ალს ჩუმად იპარავდა. ჩემს თვალებს, რომლებიც ძლივს არჩევდნენ ნაწერს, შეუძლიათ ამ ალს შორს გაჰყვნენ.

ვგონებ, მალე შევძლებ, გითხრათ, თუ სად იმალება ეს ყოველივე. ცოტაც და მალე გავიგებ, რა იდუმალი ძალა აქრობს მათ და საით მიემართება ალი. ჰოი, სიცოცხლევ! როგორ ყოველი მხრიდან მეცლები!”

ბოლო გვერდამდე მივედი. აქ უკვე ხელნაწერის წაკითხვა თითქმის შეუძლებელი იყო. გახელებულმა ცნობისმოყვარეობით თვალთან ახლოს მივიტანე და კითხვა განვაგრძე.

“მართალია, ხელები უკვე აღარ მემორჩილება და თვალებშიც კარგად ვეღარ ვიხედები, რომ ნაწერის წაკითხვა შევძლო, მაგრამ ამას განა აქვს რამე მნიშვნელობა? მე ხომ უკვე ძალიან ახლოს ვარ ჭეშმარიტებასთან.

მესმის ფრთების ფართხალი ჩემს თავზე. ჩემ წინ ისევ ჩამწკრივებულად დგას

კანდელები. ვხედავ, მათკენ გადაჭიმულა დიდი და შავი მოჩვენება. ღმერთო, საიდან გაჩნდა ეს მოჩვენება  და საით მიემართება ეს ალი?

ნეტავ როდის აიწევა საბოლოოდ ეს ფარდა, რომელიც ხან თითქოს იხსნება ჩემ თვალწინ, მაგრამ შემდეგ კვლავ დაბლა ეშვება.

თუმცა ახლა უკვე აშკარაა, რომ მე ჭეშმარიტებასთან  ძალიან ახლოს ვარ. შუქი, რომლის სიმძლავრეც თანდათანობით მატულობს, უფრო და უფრო მიახლოვდება... ჩემ გარშემო ნელნელა ყოველივე უფრო განათდა...აი...აი... ის ძალა , რომელიც სანთლებს მოულოდნელად აქრობს".

ეჰ! წიგნი აქ დასრულდა. იმ კაცს შემოვეხვიე გიჟივით, რომელიც გვერდით მეჯდა და რომელსაც ხმა არ ამოუღია იმ დროს, როცა მე ვკითხულობდი.

-მითხარით, - მივუგე. -რატომ შეწყდა აქ წიგნი? მითხარით, რა ძალა აქრობს მოულოდნელად ამ კანდელებს? მითხარით, რატომ არ დაწერა ამ ადამიანმა, რატომ არ განაგრძო მოყოლა?

შავსამოსიანი ფეხზე ნელა წამოდგა და მსუბუქი ხმით:

-ერთ დღეს- თქვა,- ის ხელში კალმით ამ მაგიდასთან მჯდარი გარდაცვლილი იპოვეს...

უეცრად მან ისე გადაიხარხარა, რომ ჩვენს თავზე მინები შეაზანზარა.

-მაგრამ-თქვა, -ძალა, რომელიც უმიზეზოდ და მოულოდნელად აქრობდა  ზეთით გაჯერებულ, დახვეწილფითილიან და უნაკლო ნაღვენთის მქონე კანდელებს, ამ ადამიანის გარჯაზე ძლიერ წუხს. ის ჭეშმარიტება კი, რომელსაც არ უნდოდა ბოლოს აღმოჩენილი, მაგრამ აუხსნელი დიდი საიდუმლო უკვალოდ გამქრალიყო, უცვლელად გაგრძელდა მის შვილებში.

მკლავზე ხელი ჩამჭიდა და საწოლისკენ გაემართა. იქ: თითქოს სურდა, გაეგრძელებინა ჩივილი, მაგრამ მაჩვენა პირღია ჩონჩხი. შემდეგ ისეთი ისეთი ხმით, როგორსაც გამხმარი ტოტების შრიალი გამოსცემს ქარში, განაგრძო:

-ასეა-თქვა, -იმ დროიდან მოყოლებული მის შთამომავლობიდან ყველა, სრულიად უმიზეზოდ ყველაზე ნათელ პერიოდში, ამგვარად ჩაქრა.

გავოგნდი, როცა ჩონჩხის თავის ქალის რომელიღაც ნაწილიდან ორი წვეთი ცრემლი გადმოვარდა. მკლავი ამ ცრემლების გასაწმენდად აიწია და ოთახში მოულოდნელად ჩამობნელდა.

მაგიდაზე მდგარი კანდელის წითელი ალი, რომელიც მანამდე არასდროს მინავლულა და არც კი ათრთოლებულა,  ჩაქრა.


პოლიტიკა

# ფერეიდნელი გურჯები

საქართველო მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი ქვეყანაა. ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო იგი ოდითგანვე მტრების ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ქვეყანას სხვადასხვა ეთნოსისა და რჯულის წარმომადგენლის შემოსევების მოგერიება უწევდა. VI საუკუნეში ბიზანტია და სასანიანთა ირანი იბრძოდნენ საქართველოსთვის, VII სუკუნეში- არაბები, XI საუკუნეში- თურქ-სელჩუკები, XIII საუკუნეში-მონღოლები, XVI საუკუნეში- ოსმალები და ყიზილბაშები.

ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შედეგების მქონე აღმოჩნდა XVI-XVII საუკუნეებში სეფიანთა ირანის შაჰების ლაშქრობები. ჯერ 1541-1554 წლებში შაჰ-თამაზ I ოთხჯერ დაესხა თავს საქართველოს და მარტო ერთი ლაშქრობისას 30 ათასი ქართველი ტყვედ წაიყვანა ირანში. მოგვიანებით, 1614-1617 წლებში შაჰ-აბას I-მა მოაწყო ოთხი დიდი ლაშქრობა აღმოსავლეთ საქართველოში. მათ გააპარტახეს და მიწასთან გაასწორეს კახეთი, მაშინ დანგრეული მრავალი ქალაქი აღარ აღმდგარა. შაჰ-აბასმა დაცარიელებულ ივრისა და ალაზნის ნაყოფიერ ველებზე თურქმანების ჩამოსახლება დაიწყო, რასაც შემდგომ ქართველთა დიდი აჯანყება მოჰყვა. ირანელებმა ამ წლებში კახეთიდან 200 ათასი ქართველი გადაასახლეს ირანის პროვინციებში- ფერეიდანში, ისპაჰანში, ხორასანსა და მაზანდარანში. შაჰ-აბასი ქართველების გადასახლებით რამდენიმე სტრატეგიულ მიზანს ისახავდა: მას სურდა ურჩი ქართლ-კახეთის დასუსტება, ახალი ქართული დასახლებებით იცავდა საკუთარ მნიშვნელოვან რეგიონებს მომთაბარე ტომების შემოსევისგან, ქართველების მეშვეობით ირანში ნერგავდა ინტენსიურ მეურნეობას და

ქართველი მეომრებით თავის ლაშქარს ავსებდა.

ფერეიდანში, სპარსელების გარდა ცხოვრობენ: სომხები, თურქები და ირანული მოდგმის მომთაბარე ტომები- ბახთიარები, ლურები და ქურთები. სწორედ ამ ხალხის გვერდით ცხოვრობდნენ ქართველები, რომელთა სოფლებიც მაღალი მთის კალთებზეა გაშენებული. თავიანთი ცხოვრების მანძილზე ქართველებს დიდი შევიწროვება და უბედურება განუცდიათ. ხშირი შეტაკება უხდებოდათ მათ მეზობლად მცხოვრებ მომთაბარე ბახტიარებსა და ქურთებთან. ამ შეტაკებას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ ირანში ფერეიდანი არის ერთადერთი ადგილი, სადაც ქართველებმა შეინარჩუნეს ქართული ენა, კულტურა და აქვთ ეროვნული თვითშეგნება. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ 1621 წლამდე ფერეიდნის ქართველებს ქრისტიანული სარწმუნოება ჰქონდათ, მაგრამ შაჰმა გადაწყვიტა რომ ისინი გაემაჰმადიანებინა. ხალხმა ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაუწია ახალი რელიგიის მიღებას, მაგრამ ქრისტიანთა ერთი ჯგუფი ძალაუნებურად დამორჩილდა შაჰის ბრძანებას. ხელმწიფის მიზანი იყო ქრისტიანთა მიერ აქ აგებული ტაძრები მიზგითებად ექციათ და იქიდან მუეძინის ხმა გამოსულიყო. განასაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ შაჰის წარმომადგენლებისთვის ქრისტიანობის სასულიერო პირებს: ეპისკოპოსებს, ბერ-მონაზვნებს და მღვდლებს, ბოლოს ისინიც იძულებულნი გახდნენ ეღიარებინათ მაჰმადიანური სარწმუნოება. ქართველებს ფერეიდანში ჩასახლებიდანვე აუგიათ ეკლესიები თუ ქრისტიანული ტაძრები და მტკიცედ დაუცვიათ თავიანთი სარწმუნოებისათვის დამახასიათებელი ადათ-წესები.

ფერეიდნელ ქართველთა მიერ უცხოენოვან გარემოში 400 წლის მანძილზე

მშობლიური ენის შენარჩუნებას, ალბათ, მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება. ქართული ენის ასეთი სიმტკიცე ქართული სულის ძლიერების ერთ-ერთი გამოვლინებაა. ფერეიდნულმა კილომ მრავალი ძველი სიტყვა და გამოთქმა შეინარჩუნა, რომელიც დღევანდელ ქართულში აღარ მოიძებნება. საუკუნეების განმავლობაში უცხო ეთნიკურ გარემოცვაში მყოფი ფერედნელებისთვის ქართული ენა მათი ეროვნული თვითშეგნებისა და ეროვნული კულტურის შენარჩუნების ხელშემწყობ პირობად იქცა. დასავლეთ ირანში, ისპაჰანის პროვინციის მახლობლად მდებარე ამ პატარა მთებით მოცულ ქალაქში, სადაც 4000-მდე ოჯახი ცხოვრობს, ქუჩებში ყოველ ნაბიჯზე ქართულ წარწერებს შეხვდებით.

დღესდღეობით ფერეიდნული ქართული განსხვავდება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისაგან, რაც გარკვეული ისტორიული, ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ვითარებით არის განპირობებული. ფერეიდნული იზოლირებული დიალექტია, იგი ოთხი საუკუნეა, რაც მოწყვეტილია სამშობლოს, მაგრამ მიუხედავად ასეთი პირობებისა, მან თავისი სახე არ დაკარგა, მან კარგად შეინახა კახურ-ინგილოურის XVII საუკუნეში დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებები. ამასთანავე, ფერეიდნული ქართული განიცდის სპარსულის ძლიერ გავლენას. ამგვარად, ფერეიდნელი ქართველების მიერ ენის შენარჩუნებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ერთადერთი ძაფია, რომელიც აკავშირებს ფერეიდნელ ქართველობას სამშობლოსთან.

ქართული სოფლების რაოდენობა დაახლოებით 15-16 ან მეტია, მაგრამ დასახელებულ სოფლებშიც არიან ისეთები, რომლებიც ქართულად თითქმის აღარ საუბრობენ. ქართველების უბანს ეწოდება „გურჯი მაჰალ“, თუმცა ირანულ ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებში ამ სახელს აღარ ახსენებენ. ისინი ბახტიარების საერთო აღწერაში შედიან, როგორც მაჰმადიანები, მათი ვინაობის აღუნიშნავად. თვით ქართველებიც კი შორეულ ქალაქებში თავიანთ ვინაობას ბახტიარების სახელით ასაღებენ, რათა უფრო გასაგები იყოს ირანელებისთვის. ფერეიდნული სოფლების უმრავლესობას ქართული სახელი ჰქვია. მაგალითად, ქვემო მარტყოფი, ზემო მარტყოფი, თორელი, ჩუღურეთი, ვაშლოვანი, ნინოწმინდა, რუსპირი, შავსოფელი და ა.შ.

ირანში მცხოვრები ქართველობა, ფერეიდანის გარდა ყველგან გადაგვარებულა, მაგრამ ზოგან მაინც ახსოვთ თავიანთი ჩამომავლობის ისტორია. იციან, რომ ისინი ოდესღაც საქართველოდან გადმოსახლებული ქრისტიანები ყოფილან, ხოლო შემდეგ გამაჰმადიანებულან. ფერეიდნელი ქართველების სამშბლოსადმი ასეთი სიყვარული წარმოუდგენელი ფაქტია. მათ დღემდე ძლიერ უყვართ და ეტრფიან ქვეყანას, რომელიც თვალითაც არ უნახავთ. მთელი ოთხი საუკუნე აშორებთ ისტორიულ მიწა-წყლისაგან, თუმცა ვერც მტერი და ვერც დრო იქცა დაბრკოლებად, მათ ისევ ძლიერ უყვართ თავიანთი სამშობლო.

მართალია, ფერეიდნელები ოთხი საუკუნეა ირანის მიწაზე ცხოვრობენ და ირანელებად ითვლებიან, მაგრამ ისინი წამითაც არ ივიწყებენ იმას, რომ ქართველები არიან, რომ მათი ისტორიული სამშობლო საქართველოა და დიდი და პატარა ოცნებობს საქართველოში ჩამოსვლასა და მის ნახვაზე. ჯერჯერობით მხოლოდ მცირე რაოდენობის ფერეიდნელი ქართველი დაბრუნდა საქართველოში, იგი არ გადაზრდილა აქტიურ ფაზაში მრავალ მიზეზთა გამო.

# რუსეთ-თურქეთის ენერგოურთიერთობა: პარტნიორობა თუ კონკურენცია

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები დაახლოებით ექვს საუკუნეს ითვლის. ამ პერიოდის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებმა ბევრი დაბრკოლება გადალახა. რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა ხშირად იცვლებოდა, რაც სერიოზულ გავლენას ახდენდა, როგორც ორ სახელმწიფოზე, ასევე მთლიანად რეგიონზე. თუმცა, მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის განმავლობაში ამ ურთიერთობებმა განსაკუთრებული ხასიათი შეიძინა. განსაკუთრებული ადგილი უკავია 2000-იანი წლების დასაწყისს, როდესაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა ვლადიმერ პუტინი და თურქეთის სახელისუფლებო ძალა გახდა „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“. შედეგად, დაიწყო რუსეთ-თურქეთის ურთიერთობათა თანდათანობითი გადასვლა კონკურენციიდან მრავალგეგმიან პარტნიორობამდე. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ორბუნებოვანია: კერძოდ, გეოპოლიტიკური კუთხით კონკურენტული და ეკონომიკური თვალსაზრისით ურთიერთთანამშრომლური, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა ე.წ. „არაბული გაზაფხულის“, სირიის სამოქოლაქო ომისა

და ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა.

მოკლედ შეგვიძლია განვიხილოთ თურქეთ-რუსეთის ურთიერთობის ისტორიული განვითარება ენერგეტიკის სფეროში. 1960-70-იან წლებში საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის დასრულდა უნდობლობის ატმოსფერო და ორმხრივმა ურთიერთობებმა გამოცოცხლება დაიწყო. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის დახმარებით დაიწყო თურქეთში ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნებისა და სხვადასხვა სფეროში სამრეწველო ობიექტების მშენებლობა (Hodaloğulları, Aydın 2016:745). აქ უნდა გავიხსენოთ თურქეთის პრემიერ-მინისტრ თურგუთ ოზალის მიმართვა ხალხისადმი: „ალაჰმა არ დაასაჩუქრა ჩვენი მიწა-წყალი ნავთობით, ამიტომ ჩვენ მოგვიწევს ბევრი მუშაობა, რათა გავიდეთ თანამედროვე მსოფლიო არენაზე“. [მაკარაძე 2012:29] პრემიერ-მინისტრის ამ ნათქვამში შეგვიძლია დავინახოთ თურქეთის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა ეკონომიკური, ენერგეტიკული და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას ნავთობითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებთან.

თურქეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ბუნებრივი აირის სექტორი, რადგან მისი მაჩვენებელი ქვეყნის ენერგეტიკაში 35%-ის ტოლია. ასევე, ბუნებრივ აირს სტრატეგიული და ინდუსტრიული დანიშნულება აქვს და პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე, ზრდასა და იმპორტზე (Rzayeva 2016:3). მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და შესაბამისად, ენერგორესურსების ნაკლებობის გამო თურქეთი მუდმივად ეძებდა საჭირო ენერგიის წყაროებს.

ბუნებრივი აირის სექტორში თურქეთმა პირველ ხელშეკრულებას ხელი 1984 წლის 18 სექტემბერს საბჭოთა კავშირთან მოაწერა. საბჭოთა მხარეს წარმოადგენდა კომპანია SoyuzGazExport

(სოიუზგაზექსპორტი), ხოლო თურქეთის მხარეს - BOTAŞ (ბოთაში)(Rzayeva 2016:2). BOTAŞ - Boru Hatları Petrol Taşıma Anonim Şirketi - მილსადენებისა და ნავთობის სატრანსპორტო კორპორაცია 1974 წელს დაარსდა. ის არის სახელმწიფო კომპანია, რომელიც დომინირებს ბუნებრივი აირის სექტორში, კერძოდ, მას ქვეყანაში ბუნებრივი აირის 80% შემოაქვს, თურქეთის ტერიტორიაზე აშენებს გაზსადენებს, აწესებს ფასებს და ბუნებრივი აირის ექსპორტს აწარმოებს. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ BOTAŞ-მა დაიწყო სამუშაოები და 1985 წელს გაზსადენის მარშრუტი განისაზღვრა: რუსეთიდან უკრაინის, მოლდოვას, რუმინეთისა და ბულგარეთის გავლით თექირდაღიდან თურქეთში. თურქეთ-რუსეთის ბუნებრივი აირის მილსადენს მეორენაირად „დასავლეთის გაზსადენსაც“ უწოდებენ. ხოლო მარშრუტს რუსეთიდან თურქეთამდე - „ტრანს-ბალკანურ გაზსადენს“. 1986 წლის 14 თებერვალს ანკარაში BOTAŞ და SoyuzGazExport-ს შორის 25 წლიან ხელშეკრულებას მოეწერა ხელი ბუნებრივი აირის შესყიდვასთან დაკავშირებით. 1987 წელს თურქეთმა დაიწყო გაზის ყიდვა და გამტარიანობა წელიწადში 6 მილიარდი კუბური მეტრით განისაზღვრა. ეს მილსადენი თურქეთში ბულგარეთიდან - მალქოჩლარიდან - სტამბოლის, იზმირის, ბურსას და ესქიშეჰირის გავლით ანკარაში ჩადის. (Hodaloğulları, Aydın 2016:746).

ბუნებრივი აირის სექტორში მეორე ხელშეკრულებას - „ლურჯ ნაკადს“- ხელი 1997 წლის 15 დეკემბერს BOTAŞ-სა და GazExport-ს შორის მოეწერა. გაზსადენი რუსეთის ფედერაციიდან შავი ზღვის გავლით თურქეთში ჩადის. ხელშეკრულების მიხედვით, თურქეთი ყოველწლიურად 16 მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის ბუნებრივ აირს იღებს. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ლურჯი ნაკადის (იზობილნოე - დჟუბგას) სულ 370 კილომეტრი სიგრძისაა. შავ ზღვაში (დჟუბგა - სამსუნის) გაზსადენი 390 კილომეტრიანია და 24 დუიმიანი ორი პარალელური მილსადენისგან შედგება. თურქეთში (სამსუნი - ანკარას) გაზსადენი 48 დუიმიანი 501 კილომეტრიანი სიგრძის 3 ძირითადი მილსადენისგან შედგება. გაზსადენი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიასა და შავ ზღვაზე გაზპრომმა, ხოლო თურქეთში - BOTAŞ-მა ააშენა. თურქეთის ტერიტორიაზე გაზსადენი სამსუნიდან ამასრაში, ჩორუმში, ქირქქალეში და იქიდან ანკარაში მიდის. გაზსადენი 2005 წლის 17 ნოემბერს ოფიციალურად გაიხსნა. „ლურჯი ნაკადი“ ბუნებრივი აირის სფეროში თურქეთის მხრიდან გაკეთებული ყველაზე დიდი პროექტია, რომლითაც თურქეთი გერმანიის შემდეგ რუსული გაზის ყველაზე დიდი მომხმარებელი გახდა.(Hodaloğulları, Aydın 2016:749).

როგორც ვხედავთ, 20-ე საუკუნის 90-იან და 2000-იანი წლების დასაწყისში თვალშისაცემია თურქეთის დამოკიდებულება რუსულ ბუნებრივ აირზე. ამავდროულად, თურქეთი რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შესამცირებლად პარალელურად ირანიდან და აზერბაიჯანიდან იწყებს გაზის შესყიდვას.

1996 წლის 8 აგვისტოში თეირანში თურქეთსა და ირანს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „აღმოსავლეთ ანატოლიის გაზსადენის“ აშენებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების მიხედვით, ირანი თურქეთს ყოველწლიურად 10 მილიარდი კუბური მეტრის მოცულობის გაზს მიყიდიდა. გაზსადენი 1491 კილომეტრი სიგრძისაა. გაზსადენი დოღუბაიაზიდიდან იწყება, ერზრუმს, სივასს, კაისერს გაივლის და ანკარაში ჩადის. მილსადენის ნაწილი კაისერიდან კონიას გავლით სეიდიშეჰირში მიდის. გაზსადენის მშენებლობა 2001 წლის ბოლოს დასრულდა. და თურქეთმა 2001

წლის 10 დეკემბერს გაზის შესყიდვა დაიწყო.

თურქეთისთვის დიდი მნიშვნელობის მქონეა ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი (BTE). ამ მილსადენით შაჰ დენიზის ბუნებრივი აირის საბადოდან ამოღებული გაზი საქართველოს გავლით თურქეთში ჩადის. 15 წლიან ხელშეკრულებას თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ხელი მოეწერა 2001 წლის 12 მარტს. BOTAŞ-სა და SOCAR-ს შორის დაიდო ხელშეკრულება თურქეთისთვის ყოველწლიურად 6,6 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მიწოდებასთან დაკავშირებით. აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიაზე გაზსადენის სიგრძე 980 კილომეტრი სიგრძისაა. გაზსადენის მშენებლობა 2004 წლის 16 ოქტომბერს დაიწყო და 2007 წლის 4 ივლისს დასრულდა.

რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შესამცირებლად თურქეთი ალჟირისგან ყიდულობს 4 მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის, ხოლო ნიგერიისგან 1,2 მილიარდ კუბურ მეტრ თხევად გაზს. დაჭირხნილ გაზს თურქეთი ზამთრის თვეებში იყენებს, Egegasისა (ეგეგაზი) და Marmara Ereglesi-ის (მარმარა ერეგრესი) ტერმინალები ამ პერიოდში 100%-იანი დატვირთვით მუშაობს. თითოეული მათგანი 20 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს გამოიმუშავებს და თურქეთის მოსახლეობას გაზმომარაგებით უზრუნველყოფს. ქვეყანაში თხევადი გაზი სახელმწიფო კომპანია BOTAŞ-ს შემოაქვს.

რუსეთის ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკამ ეკონომიკის დაახლოების კუთხით გაფართოება დაიწყო, რაც თურქეთის საგარეო პოლიტიკასა და ეკონომიკურ ურთიერთობებზე აისახა.

2009 წელს რუსეთის პრემიერ მინისტრის ვლადიმერ პუტინის თურქეთში ვიზიტის შედეგად ქვეყნებს შორის 20 პროტოკოლს მოეწერა ხელი. ამ პროტოკოლებმა მოიცვეს არამარტო ბუნებრივი აირისა და ნავთობის საკითხები, არამედ კულტურა, ვაჭრობა და მსგავსი სფეროები. ყველა ხელმოწერილი პროტოკოლი მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვანი თემა გახდა თურქეთის მხარდაჭერა „სამხრეთის ნაკადისთვის“, რომელიც პროექტ „ნაბუკოს“ კონკურენტი იყო. როგორც ჩანს, თურქეთი ერთი მხრივ, შეეცადა ნაბუკოს პროექტით შეემცირებინა რუსეთზე ბუნებრივი აირის კუთხით დამოკიდებულება, თუმცა მეორე მხრივ, სამხრეთის ნაკადით ისევ რუსეთისგან გადაწყვიტა ბუნებრივი აირის შესყიდვა.

პროექტების „ნაბუკოსა“ და „სამხრეთის ნაკადის“ მთავარი მიზანი ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება იყო. „ნაბუკო“ მიზნად ისახავდა რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით კასპიის ზღვის რესურსების გადატანას საქართველოს, თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის გავლით, ხოლო „სამხრეთის ნაკადი“ - უკრაინისა და პოლონეთის გვერდის ავლით რუსეთიდან შავი ზღვის ფრკერზე აშენებული მილსადენებით ბულგარეთის, საბერძნეთის, იტალის, სერბეთის, უნგრეთის, სლოვენიისა და ავსტრიისთვის 63 მილიარდი კუბური მეტრი სიმძლავრის ბუნებრივი აირის მიწოდებას. თუმცა, არცერთი პროექტი არ განხორციელდა: ერთ-ერთი მთავარი ინვესტორის, გერმანული ენერგოკომპანიის RWE-ს მიერ უარის თქმის შემდეგ „ნაბუკოს“ პროექტის აშენება გაურკვეველი დროით გადაიდო. ხოლო 2013 წლის „უკრაინის კრიზისის“, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის, რუსეთისთვის ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების დაწესებამ, ასევე ბულგარეთის დუმილმა „სამხრეთის ნაკადის“ მის ტერიტორიაზე განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში

შესვლის უფლებასთან დაკავშირებით პროექტის განხორციელება ჩაშალა.

2014 წლის 1 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თურქეთში ვიზიტისას განაცხადა პროექტ „სამხრეთის ნაკადის“ „თურქული ნაკადით“ ჩანაცვლების შესახებ. ეს ვიზიტი იმ კუთხითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ თურქეთმა რუსეთისგან მიიღო 6%-იანი ფასდაკლება ბუნებრივ აირზე და დამატებით 3 მილიარდი კუბური მეტრი გაზის იმპორტი. ეს ფასდაკლება წლიურად 30 მილიარდ კუბურ მეტრს უდრიდა, რაც ბუნებრივი აირის იმპორტირებისთვის 700 მილიონიანი დოლარის ოდენობის ეკონომიას ნიშნავდა (Hodaloğulları, Aydın 2016:747).

ამ ვიზიტით თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო, თუმცა დიდხანს არ გაგრძელებულა: 2015 წლის 24 ნოემბერს თურქული F16-ის მიერ სირიის საზღვარზე ჩამოგდებული Su-24 ტიპის რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ  რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში ახალი გვერდი გადაიშალა და ეს პროქტი გაურკვეველი დროით გადადო (Hodaloğulları, Aydın 2016:747). ურთიერთობები განახლდა თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიპ ერდოღანის მიერ პუტინისთვის გაგზავნილი წერილის შემდეგ, სადაც მან ბოდიში მოიხადა და გამოხატა მზადყოფნა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დალაგებისთვის.

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს თვითმფრინავის კრიზისიდან 9 თვის შემდეგ 2016 წლის 9 აგვისტოს პეტერბურგში, კონსტანტინეს სასახლეში შეხვდა. გამართულ სამიტზე მიიღეს მესიჯები გაფუჭებული ურთიერთობის ხელახლა აღდგენისა და ეკონომიკური ურთიერთობის ზრდასთან დაკავშირებით (Haber Analiz Türkiye Rusya İlişkileri 2016:64).

რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში გამართული სამიტი იმ კუთხით არის მნიშვნელოვანი, რომ ეს იყო პირისპირ პირველი შეხვედრა 2015 წლის 24 ნოემბერს დაწყებული „თვითმფრინავის კრიზისის“, ასევე 2016 წლის 15 ივლისის გადატრიალების მცდელობის შემდეგ ერდოღანის პირველი უცხოური ვიზირი. ყურადღების მიმქცევი იყო ის ფაქტიც, რომ პუტინი იყო პირველი უცხოელი ლიდერი, რომელმაც გადატრიალების მცდელობის შემდეგ პირველმა აღმოუჩინა დახმარება ერდოღანს.

ვიზიტის შედეგად ხელი მოეწერა 12 პუნქტიან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც დაიგეგმა

1. უმაღლესი დონის ურთიერთთანამშრომლობის საბჭოს სხდომათა განახლება.

2. ჩარტერულ რეისთა დაწყება.

3. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩათვლით ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობის ამკრძალავი კანონების გაუქმება.

4. თურქ მეწარმეთა მიმართ აკრძალვების გაუქმება.

5. უვიზო რეჟიმის გასაგრძელებლად ერთობლივი ნაბიჯების გადადგმვა.

6. აქქუიუსთვის სტრატეგიული ინვესტიციის სტატუსის მიცემა.

7. პროექტ „თურქული ნაკადის“ დაჩქარება.

8. თურქულ-რუსული ერთობლივი საინვესტიციო საბჭოს დაფუძნება.

9. სამხედრო მრეწველობაში ურთიერთთანამშრომლობის ზრდა.

10. თურქულ-რუსულ-აზერბაიჯანული სამმხრივი სამიტის დაარსება.

11. ანკარა-მოსკოვის ხაზის ნდობისა და მეგობრობის ხაზად გარდაქმნა.

12. პროექტ „თურქული ნაკადის“ სწრაფად განხორციელება (Haber Analiz Türkiye

Rusya İlişkileri 2016:64).

ორმხრივი შეხვედრის შემდგომ გამართულ პრეს-კონფერენციაზე პირველად განცხადება პუტინმა გააკეთა. მან თქვა, რომ ორივე მხარის პრიორიტეტია დაუბრუნდნენ კრიზისამდე არსებულ მდგომარეობას და ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიზანია. ასევე დაამატა, რომ სავაჭრო ურთიერთთანამშრომლობაში ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს ენერგეტიკული ურთიერთანამშრომლობა იკავებს. ენერგეტიკული ურთიერთთანამშრომლობის დასაწყებად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. ბირთვული ელექტროსადგურისა და „თურქული ნაკადის“ მსგავს საკითხებში ის ნაბიჯები გადაიდგა, რაც შესაძლებელი იყო (Haber Analiz Türkiye Rusya İlişkileri 2016:64).

პროექტ „თურქული ნაკადის“ მშენებლობასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას სტამბოლში 2016 წლის 10 ოქტომბერს ხელი მოაწერეს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა. პროექტით დაიგეგმა გაზის გადატანა რუსეთის საზღვრიდან (ანაპა) თურქეთამდე (ქიიქოი) შავი ზღვის ფსკერზე ორი პარალელური მილსადენით. თითოეული მილსადენის გამტარობა განისაზღვრა წელიწადში 15,75 მლრდ მ3-ით. რუსეთმა სწრაფად დაიწყო ამ მილსადენის აშენება ბაზარზე არსებული მოთხოვნის დასაჯავშნად, რაშიც მან გამოიყენა „სამხრეთის ნაკადისთვის“ წინასწარ გამზადებული მილები. პროექტი 2019 წლის ბოლოსთვის დასრულდა და საზეიმოდ გაიზსნა 2020 წლის 8 ივნისს. ამ დღეს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ვიზიტით ეწვია თურქეთს. „თურქული ნაკადის“ შესაქმნელად გამოყენებული იქნა 12 მეტრი სიგრძის 300 000 ცალი მილსადენი. გაზსადენის სრული გამტარობა შეადგენს 31,5 მლრდ მ3-ს. ეს პროექტი იმითაც არის უნიკალური, რომ 930 კილომეტრის მანძილზე 813 მილიმეტრიანი დიამეტრის მქონე მილები 2200 მ სიღმეზე არის განთავსებული.

როგორც თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე ვკითხულობთ, ეს პროექტი დააკმაყოფილებს არამარტო თურქეთის მოთხოვნას გაზზე, არამედ ევროპის მოთხოვნასაც. რუსეთსა და უკრაინას შორის დაძაბული ურთიერთობის გამო დროდადრო თურქეთს უწყდებოდა ბუნებრივი აირის მიწოდება, განსაკუთრებით ზამთრის თვეებში თურქეთის ენერგომომარაგება საფრთხის ქვეშ იდგა. ახალი გაზსადენით თურქეთსა და ევროპას საიმედო გზით შეუძლიათ ბუნებრივი აირის მიღება. ასევე, საბოლოოდ დასრულდა რუსეთის დამოკიდებულება უკრაინის მიმართ ევროპაში გაზის გადასაზიდად: რუსული გაზი თურქეთის გავლით პირველად გადავა ევროკავშირის ქვეყნებში. „თურქული ნაკადით“ დაგეგმილია „დასავლეთის გაზსადენიდან“ მიღებული გაზის ჩანაცვლება. ეს პროექტი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია თურქეთის სურვილისკენ გახდეს ენერგო ჰაბი რეგიონში.

პროექტ „თურქული ნაკადის“ განხორციელებით ბუნებრივი აირის სფეროში თურქეთის დამოკიდებულება რუსეთზე რომ არ გაზრდილიყო (აქვე უნდა გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ 2020-იან წლებში ბუნებრივი აირის რამდენიმე ხელშეკრულებას ვადა ეწურება: 2021 წელს - აზერბაიჯანთან, კერძო კონტრაქტს გაზპრომთან, ალჟირთან, 2025 წელს - „ლურჯ ნაკადს“ და 2026 წელს - ირანთან (

Rzayeva 2016:7). ეს იმის მანიშნებელია, რომ კონტრაქტის ამოწურვის შემთხვევაში გაზის სულ მცირე დეფიციტმა შესაძლოა დიდი პრობლემა წარმოშვას). თურქეთი ჩაერთო ევროკავშირის ახალ პროექტში - „სამხრეთის გაზის დერეფანი“, რომელიც ითვალისწინებს შაჰ დენიზის ბუნებრივი აირის საბადოში აღმოჩენილი ახალი გაზის რესურსების ევროკავშირში გადატანას. ეს პროექტი „შაჰ დენიზ 2“-ის სახელით არის ცნობილი და რამდენიმე ფაზას მოიცავს: სამხრეთ კავკასიური გაზსადენი(SCP), ტრანს-ანატოლიური გაზსადენი (TANAP), ტრანს-ადრიატიკული გაზსადენი(TAP).

პროექტ „სამხრეთის გაზის დერეფნით“ გადაწყდა წელიწადში 16 მლრდ მ3 ბუნებრივი აირის გადატანა. კომპანიათა შორის წილები შემდეგნაირად არის გადანაწილებული: BP (20%), SOCAR (20%), Statoil (20%), Fluxys (19%), Enagás (16%) და Axpo (5%). ხოლო პროექტის სრული ღირებულება 40 მლრს დოლარს შეადგენს, ხოლო სიგრძე დაახლოებით 3500 კმ-ია.

სამხრეთ კავკასიური გაზსადენი 692 კმ სიგრძისაა და დაპროექტდა საქართველო-თურქეთის საზღვრამდე გაზის ტრანსპორტირებისათვის. 2011 წლის 25 ოქტომბერს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის მოეწერა ხელი ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც 2018 წლიდან 6 მილიარდი მეტრ კუბის მოცულობის ბუნებრივ აირს იყიდდა თურქეთი ყოველწლიურად. ასევე 2012 წლის 26 ივნისს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ტრანს -ანატოლიური მილსადენის პროექტის შექმნასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ამ მილსადენით ყოველწლიურად 10 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი ევროპაში გაიყიდებოდა. თურქეთში სამხრეთ კავკასიური გაზსადენი ტრანს-ანატოლიურ გაზსადენს ყარსში შეუერთდა და 1850 კმ სიგრძისაა.

რაც შეეხება ტრანს-ადრიატიკის გაზსადენს, მან უნდა გადაკვეთოს საბერძნეთი და ალბანეთი, საიდანაც იგი ადრიატიკის ზღვის ფსკერზე მდებარე მილსადენით სამხრეთ იტალიისაკენ გადავა. ტრანს-ადრიატიკის გაზსადენის სრული სიგრძეა 870 კმ თაა განსაზღვრული.

30 ნოემბერს ისპალაში (თურქეთი) სახეიმოდ გაიხსნა TANAP - ევროპის დამაკავშირებელი რგოლი, რომელსაც ესწრებოდნენ თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები, ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, სოკარის პრეზიდენტი როვნაგ აბდულაევი, თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ფათიჰ დონმეზი და სხვანი. გახსნის ცერემონიალზე აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი სიტყვით წარსდგა, სადაც მან საუბრისას რამდენჯერმე მიმართა თურქეთის პრემიერ მინისტრს, როგორც ძმას. მან თქვა: „დღეს არის ისტორიული დღე. TANAP- მა, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში ვაშენებდით დღეს საბოლოოდ მიაღწია ევროპის საზღვარს. დღევანდელ დღეს ყველას გულწრფელად გილოცავთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ TANAP-ის სიცოცხლე ხანგრძლივი იქნება, სარგებელს და განვითარებას მოუტანს როგორც აზერბაიჯანელ და თურქ, ასევე მეზობელ ხალხებს“. საუბრის განმავლობაში მან ხაზი გაუსვა ორ ქვეყანას შორის მანამდე განხორციელებული პროექტების მნიშვნელობას და საუბრის დასასრულს დასძინა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ის საერთო პროექტი, რომელსაც ჩვენ მომავალში განვახორციელებთ, იქნება ისეთივე წარმატებული, როგორიც TANAP, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ერზრუმი, ბაქო-თბილისი-ყარსი. თურქეთი და აზერბაიჯანი თავდაჯერებულად წინ მიდიან მომავლისკენ. გაუმარჯოს თურქულ-აზერბაიჯანულ მეგობრობასა და ძმობას.“

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა პროექტ „თურქული ნაკადის“ განხორციელებას ხელი მოაწერა, ის ცდილობს ბუნებრივი აირის რაც შეიძლება მეტი მიმწოდებელი ჰყავდეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აზერბაიჯანული და კასპიის ზღვისპირა ქვეყნების ბუნებრივი აირი საკმაოდ იაფია რუსულ და განსაკუთრებით ირანულ გაზთან შედარებით. შესაბამისად, პროექტი „სამხრეთის გაზის დერეფნით“ თურქეთს ექნება მეტი ბერკეტი მოლაპარაკებების დროს რუსეთისა და ირანისგან გაზზე მოითხოვოს ფასის დაკლება.

ამ ორი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებით თურქეთმა გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი თავისი მიზნისკენ გახდეს ენერგო „ჰაბი“ და ენერგომომარაგების კუთხით უსაფრთხო მარშრუტის მქონე ქვეყანა რეგიონში, რაც შეუწყობს მისი, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნის როლის ზრდას. ყოველივე ამით, თურქეთის რესპუბლიკა შესაძლოა შეეცადოს ევროკავშირის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შეახსენოს საკუთარი რეგიონული ძალა.

ასევე, ხაზგასასმელია თურქეთისა და აზერბაიჯანის, როგორც პარტნიორი ქვეყნების ურთიერთობა და ერთმანეთის მიმართ მხარდაჭერა როგორც რეგიონულ, ისე მსოფლიო პროცესებში. უკვე განხორციელებული პროექტები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ორ ქვეყანას შორის კავშირები დღითიდღე მყარდება.

აუცილებელია, აღვნიშნოთ რუსეთის მონაპოვარი. პროექტ „თურქული ნაკადით“ მან მოიპოვა ალტერნატიული გზა ბუნებრივი აირის თურქეთისა და ევროკავშირის ბაზარზე გადასატანად, რითაც შეამცირა უკრაინაზე დამოკიდებულება და შესაძლო კონფლიქტებისგან მიყენებული ეკონომიკური ზარალი.

პროექტ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ გახსნით ერთმანეთს დაუკავშირდა კასპიისპირეთი და ევროპული ბაზარი, რისი გაფართოების შემთხვევაშიც რეგიონის ენერგო რუკა მთლიანად შეიცვლება.

აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ სამხრეთი კავკასიის, მათ შორის საქართველოს საკითხი: „სამხრეთის გაზის დერეფნით“ კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობა და მან გაიმყარა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ხიდის როლი.